



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

მწვანე კავკასია

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი



2018



ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

მკვლევარები: მამუკა აბულაძე, კონსტანტინე კანდელაკი

წინამდებარე ანგარიში შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციების „მწვანე კავკასია“ და „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“-ს მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSR DG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSR DG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

წინამდებარე ანგარიშის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია „მწვანე კავკასია“ და „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“ და ეს არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა



შინაარსი

მონიტორინგის მიზანი.....	3
მეთოდოლოგია.....	4
მიზანი 1: საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება.....	6
მიზანი 2: რეგიონის ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი მართვა-გამოყენება.....	13
მიზანი 3: სამრეწველო და ენერჯო სექტორების პოტენციალის განვითარება.....	18
ამოცანა 3.1. მრეწველობის განვითარების სისტემური ხელშეწყობა.....	19
ამოცანა 3.2. ენერჯოსექტორის მრავალმხრივი და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.....	24
ამოცანა 3.3. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა.....	31
მიზანი 4: საბაზო ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განვითარება.....	37
მიზანი 5: სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა.....	45
მიზანი 6: რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.....	52
მიზანი 7: მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა.....	56
ამოცანა 7.1. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა.....	58
ამოცანა 7.2. მცირე და საშუალო ბიზნესების მრავალმხრივი საინფორმაციო და კონსალტინგური მომსახურების უზრუნველყოფა.....	60
ამოცანა 7.3. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფუძნების მხარდაჭერა.....	62
მიზანი 8: ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის განვითარება.....	70
მიზანი 9: ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება.....	73
ამოცანა 9.1. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.....	74
ამოცანა 9.2. პროგრამული ინიციატივების და მათი განხორციელების მხარდაჭერა.....	78
ამოცანა 9.3. ტურისტების მომსახურების დონის ამაღლება.....	85
მიზანი 10: კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებების მოწესრიგება.....	88
მიზანი 11: სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება.....	93
მიზანი 12: განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება.....	100
მიზანი 13: ქმედითი გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელება.....	107
მიზანი 14: მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარების, გენდერული უთანასწორობის შემცირების, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის უზრუნველყოფა.....	114
დასკვნები და რეკომენდაციები.....	121
დანართი 1.....	129
დანართი 2.....	133
დანართი 3.....	136
დანართი 4.....	138
დანართი 5.....	144
დანართი 6.....	147
დანართი 7.....	149
დანართი 8.....	151
დანართი 9.....	154
დანართი 10.....	156

მონიტორინგის მიზანი

2010 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო 2 რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2013 წელს ეს სტრატეგიები განახლდა, ასევე, კიდევ 7 რეგიონისთვის ათვისდა და საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014-21 წლების განვითარების სტრატეგიები.

2014 წელს ყველა რეგიონში მომზადდა რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების 3-წლიანი სამოქმედო გეგმები (2015-2017), რომლებიც სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა მოიწონეს. ამ გეგმებში აისახა როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი კონკრეტული პროგრამები, ასევე, მუნიციპალიტეტების მიერ ან მათთან თანამშრომლობით განსახორციელებელი ყველა ის პროექტი, რომელსაც გააჩნია რეგიონული ან ადგილობრივი მნიშვნელობა.

სამოქმედო გეგმების მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს პროექტები, რომლებიც ფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპვ). ამ ფონდის ნაწილის განკარგვა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ ხდება. 2013 წლის თებერვალში მთავრობამ დაამტკიცა რგპვ-დან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები, რომლითაც შემოღებულ იქნა შედარებით დემოკრატიული პროცედურა, როდესაც ფონდში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტს ჯერ მუნიციპალიტეტის საკრებულო იწონებს და მხოლოდ ამის შემდეგ აფასებს მის ტექნიკურ მხარეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2015 წლიდან რგპვ-დან მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების აუცილებელი წინაპირობა გახდა მათი ასახვა რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში, ხოლო თავად ამ გეგმის შემუშავებისათვის მომზადდა და მთავრობამ მოიწონა სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც გაიწერა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცედურები. კერძოდ, მუნიციპალიტეტების მიერ ფონდში წარსადგენი საპროექტო წინადადებები ჯერ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებთან შექმნილ, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფებში განიხილება, გადის ფილტრაციასა და რანგირებას სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ამით შედარებით გაიზარდა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების მიერ დასახული გეგმების გამჭვირვალობა და გაჩნდა მათ შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობები.

„ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის №1365 განკარგულებით. ამდენად, 2018 წლისთვის გავიდა მისი მოქმედების 8-წლიანი ვადის ნახევარი, ამასთანავე, დასრულდა სტრატეგიის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი.

ქვემო ქართლის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავდა და მონიტორინგი განხორციელდა მწვანე კავკასიას და სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის პროექტის „ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი“ ექსპერტების მიერ, რომელიც მხარდაჭერილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

მეთოდოლოგია

სტრატეგიის თითოეული მიზნისთვის, სადაც ეს შესაძლებელი იყო, შერჩეულ იქნა რაოდენობრივი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეფასება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული მაჩვენებლების მიხედვით. რამდენადაც მონიტორინგის პერიოდი მოიცავს 2014-2017 წლების შუალედს, მაჩვენებლების დინამიკის განსაზღვრისთვის, მოხდა 2017 წლის (საბოლოო) მაჩვენებლების შეფარდება, ძირითადად, 2013 წლის (საწყის) მაჩვენებლებთან.

მიზნის მიღწევის (შედეგების) კრიტერიუმების მიხედვით მაჩვენებლების დინამიკის ქულებით შეფასება:

მონიტორინგის პერიოდის საბოლოო მაჩვენებლის შეფარდება საწყის მაჩვენებელთან, %	ზრდა/კლება, %-ით	ქულა
მაჩვენებელი უმნიშვნელოდ შემცირდა, უცვლელი დარჩა ან უმნიშვნელოდ მოიმატა	-5%-დან +5%-მდე	0
მაჩვენებელმა მცირედ მოიმატა	+5 დან +25%-მდე	1
მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად მოიმატა	+25%-დან +50%-მდე	2
მაჩვენებელმა მკვეთრად მოიმატა	+50%-დან +100% და მეტი	3
მაჩვენებელმა მცირედ დაიკლო	-5 დან -25%-მდე	-1
მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად დაიკლო	-25%-დან -50%-მდე	-2
მაჩვენებელმა მკვეთრად დაიკლო	-50%-დან -100% და მეტი	-3

სტრატეგიის თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრულ იქნა მისი შინაარსის შესაბამისი ერთი ან რამდენიმე რაოდენობრივი ან ხარისხობრივი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც, საჯარო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია სტრატეგიის ამოცანის შესრულების შეფასება. რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით ქულებით შეფასება, ძირითადად, იგივე პრინციპს ეყრდნობოდა, რაც მიზნის მიღწევის (შედეგების) კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისას, ხოლო ხარისხობრივი კრიტერიუმებით შეფასება ხდებოდა 4 ბალიანი სკალით - 0,1,2,3 ქულებით (თითოეული კრიტერიუმის გრადაცია დეტალურად მოცემულია „ქვემო ქართლის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგიაში“, greencaucasus.org.ge-პუბლიკაციები). იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებამ შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია არ გასცა და მისი მოპოვება სხვა ღია წყაროებიდანაც ვერ მოხერხდა, ამოცანის შესრულება შეფასდა 0 ქულით.

მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდეს შემდეგმა საჯარო ინსტიტუციებმა:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაცია
- ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო
- ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტები: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დმანისის მუნიციპალიტეტი, წალკის მუნიციპალიტეტი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტი, გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი)
 - სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
 - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლებისა ცენტრი
 - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
 - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
 - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
 - ააიპ პროექტების მართვის სააგენტო
 - სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
 - სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტო
 - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
 - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო
 - შპს საქართველოს მელიორაცია
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
 - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
 - სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
 - სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
 - სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
 - სსიპ აწარმოე საქართველოში
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
 - საავტომობილო გზების დეპარტამენტი
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

სტრატეგიის 14 მიზნისა და 172 ამოცანის განხორციელების შესაფასებლად შემუშავებულ იქნა სულ 231 კრიტერიუმი, მ.შ. 41 რაოდენობრივი (გრადაცია -3-დან-დან 3 ქულამდე) და 190 ხარისხობრივი (გრადაცია 0-დან 3 ქულამდე). ამდენად, მონიტორინგის შედეგად დადგენილი სტრატეგიის განხორციელების მთლიანი მაჩვენებლის შესაძლო ამპლიტუდა მერყეობდა -123-დან +693-მდე ქულის ფარგლებში. მონიტორინგის პერიოდში (2014-2017 წლებში) სტრატეგიის თითოეული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებები შეფასდა შესაბამისი მიზნის მიღწევისა და ამოცანების განხორციელების კრიტერიუმების შეფასების მიხედვით მიღებული ქულების ჯამის შეფარდებით შესაძლო მაქსიმალურ ქულასთან, პროცენტებში.

მიზანი 1: საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება

შეფასება მოხდა ამოცანების შესრულების 2 რაოდენობრივი და 6 ხარისხობრივი კრიტერიუმით, მაქსიმალური ქულა იყო 24 (100%). მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა **17 ქულით (71%)**.

ამოცანების შესრულება

1.1. თვითმმართველობის უფლებამოსილებებისა და რესურსული შესაძლებლობების თანდათანობითი გაფართოება.

ამოცანის შესრულება ფასდება 3 კრიტერიუმით:

- ა) მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებების გაფართოება;
- ბ) რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ზრდის ტემპების შედარება სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის ტემპთან,
- გ) რეგიონის მუნიციპალიტეტების ქონების ღირებულების ცვლილება.

მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებების გაფართოება (საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით) შეფასებამოხდა ექსპერტული შეფასების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
თვითმმართველობის უფლებამოსილებები გაფართოვდა	2

2014 წელს მიღებული “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით” თვითმმართველობებს გადაეცათ რიგი უფლებამოსილებები. მათ შორის:

- წყალმომარაგებისა (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება, რაც 2009 წლიდან ცენტრალური ხელისუფლების, კერძოდ სსიპ “გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” უფლებამოსილებას წარმოადგენდა;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის,
- ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა.¹

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ზრდის ტემპის შედარება სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის ტემპთან და ქონების ზრდის მაჩვენებლების შეფასება მოხდა მუნიციპალიტეტების მონაცემების საფუძველზე.


შეფასება	ქულა
----------	------

¹ ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის ტემპთან შესაბამისობაშია (+/- 5 პროცენტ. პუნქტით)	1
--	---

თითოეული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდის ტემპის შეფასების შემდეგ გამოითვალა ჯამური მაჩვენებლები მთელი რეგიონისათვის, წლების მიხედვით. მონიტორინგის პერიოდში მათი ზრდა (+54,6%-ით) შედარდა იმავე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას (+53,5%-ით).

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობები (ფაქტი), ათასი ლარი



წელი	რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
2013	45,909	11,570.4	1,734.2	14,523.8	7,296.4	8,564.7	5,725.0
2014	45,813	17,068.8	19,378.0	12,377.0	6,763.7	8,607.2	5,929.0
2015	51,756	19,412.8	24,290.0	20,794.9	8,029.7	11,268.0	6,367.1
2016	49,311	29,763.4	22,759.0	20,794.9	7,165.0	11,322.3	8,297.0
2017	44,914	28,244.7	22,207.3	26,036.4	7,420.4	10,153.5	8,420.7

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მონიტორინგის პერიოდში ასევე გაიზარდა რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელები (ათასი ლარი, ფაქტი):

ქვემო ქართლი	2014	2015	2016	2017
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	38,994.5	42,408.0	44,226.4	40,355.4
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	12,910.7	18,968.8	22,031.3	23,145.0
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	15,035.8	20,346.3	24,970.4	28,206.5
დმანისის მუნიციპალიტეტი	6,809.7	6,911.2	8,289.4	6,299.0
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	7,516.4	10,240.6	8,639.2	11,493.3
მარნეულის მუნიციპალიტეტი	19,378.0	24,290.0	24,099.5	22,405.8
წალკის მუნიციპალიტეტი	5,748.1	6,258.4	8,189.3	7,932.0

რეგიონის თვითმმართველობების ჯამური ქონების ცვლილება შეფასდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების ინფორმაციის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ

არსებული და სახელმწიფოსგან გადაცემული ქონების აუდიტორული შეფასების ჩაუტარებლობის გამო მუნიციპალიტეტების უმრავლესობას უჭირს არსებული ქონების საბალანსო ღირებულების დადგენა.

შეფასება	ქულა
რეგიონის თვითმმართველობების ჯამური ქონების საბალანსო ღირებულებამ მნიშვნელოვნად მოიმატა	3

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მთლიანი ქონების საბალანსო ღირებულება, ლარი

წელი	რუსთავი	მარნეული	დმანისი
2013	48646324	25838109	21420493
2014	54431953	31611966	23741634
2015	61424590	40905988	26637629
2016	63102973	49097693	30569436
2017	69296839	55048288	34365708

ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება, ლარი

წელი	ბოლნისი
2013	44500
2014	43200
2015	46300
2016	50100
2017	52000

1.2. რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

მონიტორინგის პერიოდში რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება შეფასდა ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონული ადმინისტრაციისა და მუციპალიტეტის მუციპალიტეტების ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა რამდენადმე გაუმჯობესდა	2

ადგილობრივი ბიუჯეტიდან/დონორული დახმარებიდან ზოგიერთი მუციპალიტეტის ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გახარჯული თანხები, ათასი ლარი

წელი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი
2014	170,8	-	110	-
2015	584,5	-	665	-
2016	110	20,2	178	-
2017	35,6	-	178	160,6

1.3. სოფლებსა და დაბებში თანამედროვე ტაპის სერვისცენტრების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი მომსახურებების გაწევას, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართვას მუნიციპალიტეტების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და შეასრულებს დასახლების კულტურული ცენტრის ფუნქციას

სოფლებსა და დაბებში თანამედროვე ტიპის სერვის-ცენტრების შექმნის ხელშეწყობა ფასდება ერთი კრიტერიუმით, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში საზოგადოებრივი ცენტრების გახსნის მდგომარეობით (<http://www.centri.gov.ge/>).

შეფასება	ქულა
გაიხსნა ახალი საზოგადოებრივი ცენტრები, დამატებით ახლების გახსნის საჭიროება მცირეა (რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხელმისაწვდომია)	2

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2011 წლიდან ახორციელებს პროექტს „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“, რომლის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში გაიხსნა 7 საზოგადოებრივი ცენტრი, კერძოდ, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის** სოფლებში მარტყოფსა და სართიჭალაში, **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის** დაბა მანგლისსა და სოფ. კოდაში, **ქ.წალკაში**, **მარნეულის მუნიციპალიტეტის** ს.სადახლოში, **ბოლნისის მუნიციპალიტეტის** დაბა კაზრეთში და მიმდინარეობს მშენებლობა ქ.დმანისში.



საზოგადოებრივი ცენტრი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში

საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით. საზოგადოებრივი ცენტრების მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და შპს მექანიზატორის სერვისებით, ცენტრში ასევე წარმოდგენილი არიან კერძო კომპანიები: „მაგთიკომი“ და „ლიბერთი ბანკი“.

ახალი საზოგადოებრივი ცენტრების დამატებით გახსნის საჭიროების შეფასება
მუნიციპალიტეტების მიერ

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
დაბალი	დაბალი	დაბალი	მაღალი	მაღალი	დაბალი	დაბალი

1.4. რეგიონულ ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის სისტემური ამაღლება

რეგიონულ ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის სისტემური ამაღლება შეფასდა ერთი კრიტერიუმით, ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის, და სახელმწიფო გუბერნატორი-რწმუნებულის ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
შეიქმნა და ფუნქციონირებს რეგიონულ ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა	3

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის №1182 განკარგულებით „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა ტრენინგის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ შეიქმნა მეთოდოლოგიური საფუძვლები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა სწავლების საჭიროებათა განსაზღვრის, სწავლების დაგეგმვისა და ორგანიზების, სწავლების ფორმებისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილებით „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ მუნიციპალიტეტებში შეიქმნა ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებისა ხალი სისტემა. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებმა ჩაატარეს მოხელეთა სწავლების საჭიროებების კვლევები და შეიმუშავეს და დაამტკიცეს წლიური სასწავლო გეგმები.

ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან თანამშრომლობით თავად მუნიციპალიტეტების მიერ თანამშრომლებისათვის ჩატარებული ტრენინგების გარდა, მონიტორინგის პერიოდში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორის ადმინისტრაციისა და ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეებს ჩაუტარდათ შემდეგი ტრენინგ-კურსები:

- ტრენინგი სოფლის მეურნეობის სფეროში, პროექტის „ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება საქართველოში“ (SEAS) ფარგლებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარნეულისა და მიმდებარე რაიონების საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების

თანამშრომლებს საშუალება მიეცათ, ნიადაგის მართვის საკითხებში გაეღრმავებინათ ცოდნა და ასევე მიეღოთ ინფორმაცია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ².

- ტრენინგი ჯანდაცვის საკითხებზე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „შეტყუპების“ (Twinning) პროექტის ფარგლებში ქალაქ რუსთავში³
- „გარემოს დაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის“ მიერ მუნიციპალიტეტების სამსახურებისათვის ნარჩენების მართვის შესახებ ორგანიზებული სისტემატიური ტრენინგები.
- გარდა ამისა, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, რომელსაც აქვს ფილიალი ქ.მარნეულში, მოქმედებს სახელმწიფო ენის სწავლების და საჯარო მმართველობის კურსები საჯარო მოხელეებისათვის; საჯარო მმართველობის პროგრამა, რომელსაც აქვს შემდეგი დარგობრივი მიმართულებები: საჯარო ორგანიზაციის მართვა, ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში, ფინანსების მართვა და შიდა აუდიტი საჯარო სექტორში, საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია; ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა.



ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის კურსდამთავრებულები სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიაზე (<http://www.zspa.ge>)

1.5. რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ქმედითი სისტემის დანერგვა

რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ქმედითი სისტემის დანერგვა ფასდება ერთი კრიტერიუმით, საქსტატის ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
----------	------

² <http://www.marneuli.gov.ge/siaxleebi/504-qvemo-qartlis-municipaliteteb-niadagis-analizis-xelsatskoebi-gadaecat.html>

³ <https://droa.ge/?p=31334>

დანერგვით რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების სისტემა დანერგვით რეგიონების და მუნიციპალიტეტების დონეზე	3
--	---

საკსტატის ოფიციალურ საიტზე ქვეყნდება რიგი ეკონომიკური მაჩვენებლები ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.⁴

1.6. რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის განხორციელებაზე ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არ შემუშავებულა, სამუშაო რეჟიმში მიმდინარეობდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგი	1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე სამინისტრო სისტემატიურად ახორციელებს მონიტორინგს (მაგალითად, ადგილზე დათვალიერების გზით). ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობიდან გამომდინარე, მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, მონიტორინგს ექვემდებარება პროექტები, რომლებიც ვადის დარღვევით მიმდინარეობს ან რომლებიც განიცდიან სხვადასხვა სახის ცვლილებას. ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა პროექტის მონიტორინგი, რომელშიც ჩართულები არიან როგორც სამინისტროს, ასევე, შესაბამისი მუნიციპალიტეტების და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

⁴ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo

მიზანი 2: რეგიონის ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი მართვა-გამოყენება


მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 3 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 13 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 48 (100%).

მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა და ამოცანების შესრულება შეფასდა **14 ქულით (29 %)**.

მიზნის მიღწევის შეფასებისთვის მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %-ით	ქულა
სამთომოპოვებით მრეწველობაში განხორციელებული ინვესტიციების (ფიქსირებულ აქტივებში) დინამიკა	11.60	35.7	208%	3
სამთომოპოვებით მრეწველობაში დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა	73.10	177.8	143%	3
სამთომოპოვებით მრეწველობაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა	149.40	420.1	181%	3

წყარო: საქსტატი



სამთომოპოვებითი მრეწველობა ქვემო ქართლში, მლნ.ლარი	2013	2014	2015	2016	2017
ინვესტიციები (ფიქსირებულ აქტივებში)	11.60	13.40	23.60	26.90	35.7
დამატებული ღირებულების მოცულობა	73.10	84.50	137.10	154.30	177.8
ბრუნვის მოცულობა	149.40	169.40	308.20	371.00	420.1


ამოცანების შესრულება

2.1. რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსების, წიაღისეულის, მათი მარაგების, ასევე სხვა ეკონომიკური აქტივების (მიწა, ქონება) შესახებ არსებული საინფორმაციო ბაზის განახლება, მათი შესაბამისი აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საორიენტაციო საბაზრო ღირებულების შეფასება.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და შესაბამისი საინფორმაციო ბაზის შექმნის/განახლების სამუშაოები.	2

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ინიცირებით განხორციელდა წიაღის შესახებ ინფორმაციის, ერთიანი გეოლოგიური ფონდების ელექტონული ბაზის შექმნა, კარგად ორგანიზებული მონაცემთა ბაზების სახით, რომელიც განთავსდა საიტზე <https://nam-geofund.archival-services.gov.ge>. ასეთი საინფორმაციო სივრცე ამარტივებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზე (მარაგები, მდებარეობა, ხარისხობრივი მაჩვენებელი და ა.შ) საჭირო მონაცემების მოძიებასა და მოპოვებას როგორც დროის, ისე ფინანსური დანახარჯების თვალსაზრისით. იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის, ინვესტორებისთვის.



წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის აღების მიზნით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, მზადდება გეოსაინფორმაციო პაკეტი, რომელიც მოიცავს სააგენტოში არსებული ფონდური მასალების მონაცემებსა და სალიცენზიოდ მოთხოვნილ ტერიტორიაზე გეოლოგიური რისკებისა და საფრთხეების შეფასების შედეგად მიღებულ ვიზუალურ საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას.

წიაღის ეროვნული სააგენტოს მოსაზრების გათვალისწინებით, რეგიონის მიწისქვეშა წყლების და მათი მარაგების საინფორმაციო ბაზის განახლების, მიწისქვეშა წყლების საბადოების აღრიცხვასა და

სისტემატიზაციაში არსებული მდგომარეობის და შესაბამისი საინფორმაციო ბაზის არსებობა-განახლების შეფასება მოხდა ცალკე კრიტერიუმით.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა რეგიონის მიწისქვეშა წყლების და მათი მარაგების საინფორმაციო ბაზის შექმნის სამუშაოები.	2

2.2. რეგიონში მოქმედ სამთომადნო საწარმოებში ტექნოლოგიური ციკლების დასრულების და არსებული საწარმოო პოტენციალის სრული გამოყენების (კონცენტრანტების დონეზე დამუშავებიდან ადგილზე გამდიდრების სრული ციკლის ჩატარება) შემდგომი წახალისება-ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვავაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონში მოქმედ სამთომადნო საწარმოებში ტექნოლოგიური ციკლების დასრულების და არსებული საწარმოო პოტენციალის სრული გამოყენების შემდგომი წახალისება-ხელშეწყობისთვის მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

2.3. ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების მიღების მიზნით, მეტალურგიული ქარხნის საწარმოო სიმძლავრეების ნაწილის რეორგანიზების წახალისება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვავაწოდეს.

შეფასება	ქულა
ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების მიღების მიზნით, მეტალურგიული ქარხნის საწარმოო სიმძლავრეების ნაწილის რეორგანიზების წახალისებისთვის მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

2.4. მხარის სპილენძისა და პოლიმეტალური საბადოების და მათი პოტენციალის სრულფასოვანი შესწავლა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვავაწოდეს.

შეფასება	ქულა
მხარის სპილენძისა და პოლიმეტალური საბადოების და მათი პოტენციალის შესწავლის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

2.5. ტორფის არსებული საბადოების შესახებ მცირე მოცულობის გეოლოგიური, ლაბორატორიული და სამრეწველო შეფასებითი სამუშაოების ჩატარება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვავაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონში არსებული ტორფის საბადოების შესახებ მცირე მოცულობის გეოლოგიური, ლაბორატორიული და სამრეწველო შეფასებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

2.6. რეგიონის თიხა-თაბაშირის საბადოების მარაგების და შესაბამისი ნედლეულის გათვალისწინებით, გაჯის საწარმოების სიმძლავრეების ზრდის ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონში გაჯის საწარმოების სიმძლავრეების ზრდის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

2.7. რეგიონში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსის - სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების, მისი უიშვიათესი სახეობების (ბოლნისის ტუფი და სადახლოს მარმალბროსებრი კირქვა) გათვალისწინებით, სპეციალური საინვესტიციო პაკეტების მომზადება და მათი მიზნობრივი კომუნიკაცია

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონში არსებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების მარაგების ათვისების მიზნით სპეციალური საინვესტიციო პაკეტები არ მომზადებულა	0

2.8. სამშენებლო კერამიკის (დარბაზისა და ფიტარეთის კაოლინის საბადოები), მინის ტარის (ადულარიანი მეტასომატიტები) და საფაიფურე (ბექტაკარის კვარციტები) ნედლეულის ათვისების ხელშეწყობა და რეგიონში კერამიკული და მინის ტარის წარმოების განვითარება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონში არსებული სამშენებლო კერამიკის, მინის ტარის და საფაიფურე ნედლეულის ათვისების ხელშეწყობისა და რეგიონში კერამიკული და მინის ტარის წარმოების განვითარების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

2.9. ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, უახლესი ტექნოლოგიების, მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვა და ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა

ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, უახლესი ტექნოლოგიების, მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებები არ გატარებულა	0
--	---

2.10. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში სატყეო ინფრასტრუქტურის შექმნა, აგრეთვე მერქნული რესურსის მისაღებად, გამოვლენილ პრიორიტეტულ უბნებზე მკაცრად შერჩეული, სწრაფმზარდი სახეობებით პლანტაციების გაშენების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და ტყის რესურსების სრული ინვენტარიზაციის უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში სატყეო ინფრასტრუქტურის შექმნისათვის ღონისძიებები არ გატარებულა	0
მერქნული რესურსის მისაღებად პრიორიტეტულ უბნები არ გამოვლენილა და მათზე მკაცრად შერჩეული, სწრაფმზარდი სახეობებით პლანტაციების გაშენების ღონისძიებათა გეგმა არ შემუშავებულა	0
რეგიონში ტყის რესურსების სრული ინვენტარიზაცია მონიტორინგის პერიოდში არ ჩატარებულა და არ დაგეგმილა	0

მიზანი 3: სამრეწველო და ენერგო სექტორების პოტენციალის განვითარება


შეფასება მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 6 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 37 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 129 (100%).

მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა და ამოცანების შესრულება შეფასდა **45,4 ქულით (35 %)**.

მიზნის მიღწევის შეფასებისთვის მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %-ით	ქულა
დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში)	74.70	30.7	- 80 %	-3
დამამუშავებელ მრეწველობაში დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა	315.30	406.4	+ 192 %	3
დამამუშავებელ მრეწველობაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა	1209.50	1294.3	+ 67 %	3
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში)	38.1	7.8	- 80 %	-2
დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაში	71.5	209.0	+ 192 %	3
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა	293.7	491.1	+ 67 %	3

წყარო: სასტატო



დამამუშავებელი მრეწველობა ქვემო ქართლში, მლნ.ლარი					
ინვესტიციები (ფიქსირებულ აქტივებში)	74.7	70.6	43.9	30.4	30.7
დამატებული ღირებულების მოცულობა	315.3	296.3	266.5	194.8	406.4
ბრუნვის მოცულობა	1209.5	1160.3	1017.7	947.6	1294.3
ელექტროენერჯის. აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილება ქვემო ქართლში, მლნ. ლარი					
ინვესტიციები (ფიქსირებულ აქტივებში)	38.1	7.6	146.5	29.1	7.8
დამატებული ღირებულების მოცულობა	71.5	97.1	100.5	203.2	209.0
ბრუნვის მოცულობა	293.7	326.1	511.4	489.7	491.1

ამოცანების შესრულება

ამოცანა 3.1. მრეწველობის განვითარების სისტემური ხელშეწყობა

3.1.1. მხარის სამრეწველო პოტენციალის აღწერის მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი პერიოდული განახლება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვამოგვადეს.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მხარის სამრეწველო პოტენციალის აღწერა არ ჩატარებულა და მონაცემთა ბაზა არ შექმნილა	0

3.1.2. მხარეში წარმოებული პროდუქციის (სახეების მიხედვით) შესახებ სანდო სტატისტიკის წარმოება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში სანდო სტატისტიკის წარმოება მხარეში წარმოებული პროდუქციის (სახეების მიხედვით) არ ხდებოდა	0

საქსტატის ინფორმაციით, ამჟამად პროდუქციის სახეების მიხედვით წარმოების შესახებ მონაცემების განზოგადება ხდება მხოლოდ ქვეყნის დონეზე.

3.1.3. მხარის საბაზისო და ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

არ ფასდება ზოგადი ფორმულირების, ასევე, მე-5 და მე-10 მიზნებთან შინაარსობრივი მსგავსების გამო.

3.1.4. მძიმე და მომპოვებელი მრეწველობის დარგების, შესაბამისი სამრეწველო სიმძლავრეებისა და პოტენციალის სრული გამოყენების განსაკუთრებული ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მძიმე და მომპოვებელი მრეწველობის დარგების, შესაბამისი სამრეწველო სიმძლავრეებისა და პოტენციალის სრული გამოყენების განსაკუთრებული ხელშეწყობისათვის ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

3.1.5. რეგიონში მიწისა და საწარმოების პრივატიზაციის შემდგომი ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ღია წყაროებიდან⁵ აღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში მიწისა და საწარმოების პრივატიზაციის პროცესი ნელი ტემპით მიდიოდა	1

3.1.6. რეგიონში სამრეწველო ან სხვა ტიპის კლასტერების განვითარების შესაძლებლობათა შესწავლა და გამოვლენა, შესაბამისი პროექტების მომზადება და მიზნობრივი კომუნიკაცია

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში არ ხდებოდა რეგიონში სამრეწველო ან სხვა ტიპის კლასტერების განვითარების შესაძლებლობათა შესწავლა და გამოვლენა, შესაბამისი პროექტების მომზადება და მიზნობრივი კომუნიკაცია	0

3.1.7. ეკონომიკური თანამშრომლობის ქსელის განვითარება; ადგილობრივი სამრეწველო სუბიექტების დახმარება უცხოელ ინვესტორებთან კავშირების დამყარებაში

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
ეკონომიკური თანამშრომლობის ქსელის განვითარებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი სამრეწველო სუბიექტების უცხოელ ინვესტორებთან კავშირების დამყარებაში დახმარებისათვის ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

3.1.8. ტრანსსასაზღვრო და რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტების ინიცირება მონიტორინგის პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ტრანსსასაზღვრო და რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტები განხორციელდა ორივე მოსაზღვრე ქვეყანასთან	3

3.1.9. დამეგობრებულ ქალაქებთან ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებათა განსაზღვრა და განვითარება

მონიტორინგის პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შეფასება მოხდა მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

⁵ www.privatization.ge/

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში დამეგობრებულ ქალაქებთან ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებათა განსაზღვრისა და განვითარების მიზნით ღონისძიებები არ გატარებულა*	0,4

***ზოლნისის მუნიციპალიტეტში** დამეგობრებულ ქალაქებთან დაიგეგმა ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტები, ხოლო **მარნეულის მუნიციპალიტეტში** მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივი ახალგაზრდების მონაწილეობა ეკონომიკურ კვირეულში, რომელიც ტარდებოდა დამეგობრებული ქალაქის სამხარეო ცენტრში.

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
1	0	0	2	0	0	0

3.1.10. კერძო-საჯარო პარტნიორობის სქემების ინიცირება და გამოყენება მიზნობრივი პროექტების განხორციელებისთვის

კერძო-საჯარო პარტნიორობის სქემების ინიცირებისა და მიზნობრივი პროექტების განხორციელებისთვის მათი გამოყენების შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში კერძო-საჯარო პარტნიორობის სქემების ინიცირება და მიზნობრივი პროექტების განხორციელებისთვის გამოყენება არ მოხდა	0

3.1.11. პარტნიორობის დამყარება სავაჭრო პალატებთან და ბიზნეს ჯგუფებთან

მონიტორინგის პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ცალკეული ადგილობრივი ბიზნესმენები თანამშრომლობენ სავაჭრო პალატებთან და მსგავს ბიზნეს ჯგუფებთან	1

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
2	3	1	0	0	0	1

3.1.12. ბიზნეს გამოფენების, ფორუმების და მრგვალი მაგიდების ორგანიზების ხელშეწყობა

მონიტორინგის პერიოდში რეგიონში ჩატარებული სამუშაოების შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ეწყობა ბიზნეს გამოფენები, ფორუმები, მრგვალი მაგიდები და მსგავსი ღონისძიებები	1,3

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
1	1	3	3	0	0	1

3.1.13. სამხარეო და ადგილობრივ დონეზე შრომის ბაზრის სრულფასოვანი შესწავლა და სათანადო საინფორმაციო ბაზის ფორმირება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა სამხარეო და ადგილობრივ დონეზე შრომის ბაზის სრულფასოვნად შესწავლა და სათანადო საინფორმაციო ბაზის შექმნა	2

დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში	წელი		
	2014	2015	2016
ქვემო ქართლი	34864	36600	39953
ქ. რუსთავი	19561	19646	19877
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	3846	4654	5114
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	5852	6104	7141
დმანისის მუნიციპალიტეტი	432	379	429
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	972	1263	1646
მარნეულის მუნიციპალიტეტი	3482	4018	5095
წალკის მუნიციპალიტეტი	718	536	652


წყარო: საქსტატი

მონიტორინგის პერიოდში „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ა) შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის – www.worknet.gov.ge-ს განვითარება;

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონში: 2015წ.-2,231; 2016წ.-2,401; 2017წ.-6,521

ბ) შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე;



ქვემო-ქართლის რეგიონში ინდივიდუალური კონსულტირება გაეწია 2015 წელს - 901 სამუშაოს მაძიებელს; 2016 წელს-300 სამუშაოს მაძიებელს; 2017 წელს-50 სამუშაოს მაძიებელს.

ჯგუფური კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 2015 წელს -233-მა სამუშაოს მაძიებელმა; 2016 წელს-81-მა სამუშაოს მაძიებელმა; 2017 წელს-55-მა სამუშაოს მაძიებელმა.

გ) საშუამავლო მომსახურების გაწევა/ განვითარება;

2015 წელს საშუამავლო მომსახურების გაწევის მიზნით დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილი იქნა 152 ვაკანსია. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 243 სამუშაოს მაძიებელი. საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 40;

2016 წელს საშუამავლო მომსახურების გაწევის მიზნით დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილი იქნა 112 ვაკანსია. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 230 სამუშაოს მაძიებელი. საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 13;

2017 წელს საშუამავლო მომსახურების გაწევის მიზნით დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილი იქნა 192 ვაკანსია. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 162 სამუშაოს მაძიებელი. საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 25;

დ) პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების დანერგვა და გაწევა მუნიციპალურ დონეზე;

2016 წლის მეორე ნახევარში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ქვემო ქართლში დაიქირავა 1 პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი.

2017 წელს კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების მომსახურებები მიიღო 42 სამუშაოს მაძიებელი.

ე) დასაქმების ფორუმების მოწყობა;

დასაქმების ფორუმი ქვემო-ქართლის რეგიონში ჩატარდა ქ. რუსთავში 2017 წელს. შედეგად დასაქმებულ იქნა 27 სამუშაოს მაძიებელი;

ვ) შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და საჭირო ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით, თვისობრივი კვლევების განხორციელება და მონიტორინგი მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

„შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების, საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით თვისობრივი კვლევით“ (2015) რეგიონში გამოიკითხა 2 დამსაქმებელი, 2017 წელს 16 დამსაქმებელი 5 ექსპერტული ინტერვიუ;

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ქვემო-ქართლის რეგიონში მომზადება-გადამზადების პროგრამაში მონაწილეობა მიიღო პროფესიული კერძო და სახელმწიფო კოლეჯმა: 2015 წელს სახელმწიფო კოლეჯი - 1; 2016 წელს კერძო კოლეჯი - 2; 2017 წელს კერძო კოლეჯი - 2;

მომზადება-გადამზადება განხორციელდა შემდეგ სასწავლო პროგრამებში:

2015 წელი - ბუღალტერი, ელექტრიკოსი, ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკა, ზეინკალ-სანტექნიკოსი, ოფისის მენეჯერი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, შემდუღებელი;

2016 წელი - ბუღალტერი, ექთნის თანაშემწე, ოფისის მენეჯერი, ფარმაცევტის თანაშემწე, ინფორმაციული ტექნოლოგი, მოლარე;

2017 წელი - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, ბულალტერი, ექთნის თანაშემწე, მოლარე, ფარმაცევტის თანაშემწე, ინფორმაციული ტექნოლოგი, ოფისის მენეჯერი;

მომზადება-გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა: 2015 წ. - 28 სამუშაოს მაძიებელი; 2016 წ. - 152 სამუშაოს მაძიებელი; 2017 წ.- 139 სამუშაოს მაძიებელი

მომზადება-გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთაგან დასაქმებულთა რაოდენობა: 2016 წ. - 63 სამუშაოს მაძიებელი; 2017 წ.- 14 სამუშაოს მაძიებელი

3.1.14. ადგილობრივად წარმოებული სამშენებლო მასალების ინფრასტრუქტურულ პროექტებში გამოყენების წახალისება

მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივად წარმოებული სამშენებლო მასალების ინფრასტრუქტურულ პროექტებში გამოყენების შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ადგილობრივად წარმოებული სამშენებლო მასალები, იმპორტირებულთან შედარებით, ნაკლებად არის გამოყენებული	1,7

მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
1,5	2	2	1	2

3.1.15. რეგიონში საკონსერვო მრეწველობის შემდგომი განვითარების და გასაღების ბაზრების გაფართოებაში ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში საკონსერვო მრეწველობის შემდგომი განვითარების და გასაღების ბაზრების გაფართოებაში ხელშეწყობისათვის ღონისძიებები არ გატარებულა	0

3.1.16. რეგიონის ბრენდინგისთვის გათვალისწინებული საქმიანობის კონტექსტში, ქვემო ქართლში დამზადებული საუკეთესო კვების პროდუქტების რეკლამირების ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში საკონსერვო მრეწველობის შემდგომი განვითარების და გასაღების ბაზრების გაფართოებაში ხელშეწყობისათვის ღონისძიებები არ გატარებულა	0

ამოცანა 3.2. ენერგოსექტორის მრავალმხრივი და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

3.2.1. მცირე ჰესების განვითარების მხარდაჭერა

მონიტორინგის პერიოდში რეგიონში გატარებული ღონისძიებების შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში აშენდა მცირე ჰესები	3

ქვემო ქართლის განვითარების სტრატეგიის განხორციელების 2015-17 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, უნდა მომხდარიყო მდ. დებედაზე 2.5 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობა ჰიდროლეა-ს მიერ (საპროგნოზო ინვესტიცია 3,125,000 აშშ \$). შპს „ჰიდრო ჯორჯიას“ 4,15 მილიონი აშშ \$ ბუღალრული ინვესტიციით აშენდა 3,1 მგვტ. მცირე ჰესი მდ. დებედაზე.⁶ „დებედას“ ჰიდროელექტროსადგური რამოდენიმე ძირითადი კვანძისგან შედგება, მათ შორის: წყალმიმღები, სადაწნეო აუზი, 1650 მეტრიანი სადაწნეო მილსადენი, 35 კვ-იანი დახურული განამაწილებელი ქვესადგური და წყალგამყვანი არხი. მშენებლობის პერიოდში დასაქმებული იყო 90 ადამიანი, მათ შორის უმრავლესობა ქვემო-ქართლის რეგიონიდან. ექსპლუატაციის პერიოდში ჰიდროელექტროსადგურში მუდმივად 12 თანამშრომელია დასაქმებული.⁷



„დებედა ჰესის“ მშენებლობა 2015 წელის აპრილში დაიწყო და 2015 წელს დეკემბერში დასრულდა.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, აგრეთვე, უნდა მომხდარიყო 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობა სს "საპარტნიორო ფონდის", სს "ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და ÇALIK ENERJİ მიერ (საპროგნოზო ინვესტიცია 220 მლნ. აშშ \$). საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში საქართველოს მთავრობას, შპს „გარდაბნის თესი -2“-ს, სს "ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის ხელშეკრულებას ხელი 2016 წლის 28 სექტემბერს მოეწერა. მშენებლობა დაიწყო,

⁶ <http://www.prof-news.com/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93/>

⁷ <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=603&lang=geo>

განხორციელდა 231 მლნ. აშშ \$ ინვესტიცია და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება (თავდაპირველად 2015 წლის ბოლოდან იგეგმებოდა⁸), 2019-2020 წლის ზამთრის სეზონისთვის მოხდება.⁹

გარდა ამისა, აშენდა 3,0 მგვტ სიმძლავრის „კაზრეთი ჰესი“, რომელშიც შპს „ვოთერ ენერჯიმ“ 2,5 მლნ. აშშ \$ ინვესტიცია განახორციელა.

3.2.2. ალტერნატიული ენერჯის წყაროების გამოყენებისთვის, პერსპექტიულად მიჩნეულ მდ. მტკვრის ხეობის მცხეთა-რუსთავის მონაკვეთზე ქარის ენერჯის ათვისების შესაძლებლობის შესწავლა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა მდ. მტკვრის ხეობის მცხეთა-რუსთავის მონაკვეთზე ქარის ენერჯის ათვისების შესაძლებლობის შესწავლა	1

გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმები სს „კავკასიის ქარის კომპანიასთან“ ქ.თბილისთან ახლოს, თბილისის ქარის ელექტროსადგურის (სიმძლავრე 100 მგვტ.) და მარტყოფის ქარის ელექტროსადგურის (სიმძლავრე 100 მგვტ.) ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებზე.

3.2.3. ქ. რუსთავის ტერიტორიაზე ქარის ტურბინების მოწყობის ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ქ. რუსთავის ტერიტორიაზე ქარის ტურბინების მოწყობის ხელშეწყობისათვის ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტში აღნიშნულია, რომ “საჭიროა იალღუჯის მთაზე ქარის სიმძლავრის კვლევა და ამ კვლევაზე დაყრდნობით დასკვნის მომზადება, თუ რამდენადაა შესაძლებელი ქარის ენერჯის გამოყენება ქალაქის ენერგომომარაგების სისტემის გაუმჯობესებისათვის. ქარის ენერჯის გამოყენების თვალსაზრისით პერსპექტიულად არის მიჩნეული მდ. მტკვრის ხეობის მცხეთა-რუსთავის მონაკვეთი. საქართველოს ტერიტორიაზე ქარის პერსპექტიულ 9 სადგურის პოტენციურ ტერიტორიებს შორის ქ. რუსთავის ტერიტორია შეფასებულია როგორც ქარის პერსპექტიული სადგური 60 მგვტ დადგმული სიმძლავრითა და 130 მლნ კვტ/სთ ელექტროენერჯის წლიური გამომუშავებით, რაც დაახლ. 14000 ოჯახს დააკმაყოფილებს¹⁰.”

3.2.4. ენერგეტიკული მიზნებისთვის ბიოგაზის გამოყენების მხარდაჭერა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

⁸ <http://pirveliradio.ge/?newsid=18199>

⁹ <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100438>

¹⁰ http://rustavi.gov.ge/file_manager/44/e1734059dc828504854455dbd7e441bd.pdf

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ენერგეტიკული მიზნებისთვის ბიოგაზის გამოყენების მხარდასაჭერად ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

3.2.5. ქ. რუსთავში, მარნეულის, გარდაბნის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, მზის ენერჯის გამოყენების მიზნით, სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების (ბრტყელი კოლექტორების, მძლავრი მზის ღუმელების, კოშკის ტიპის მზის სადგურების, გენერატორების) ექსპლოატაციის შესაძლებლობათა შესწავლა და შესაბამისი პროექტების მომზადების ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ქ. რუსთავში, მარნეულის, გარდაბნის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, მზის ენერჯის გამოყენების მიზნით, მიმდინარეობდა სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების მონტაჟი	3

2016 წელს ქ. ბოლნისმა გაიმარჯვა პროგრამის „გამლიერებული შესაძლებლობა - დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია“ საგრანტო კონკურსში და მიიღო 50,000 აშშ დოლარის დაფინანსება. მზის მიკრო ელ.სადგური დამონტაჟდა ქალაქის გამგეობის შენობის განათების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ღონისძიება ყოველ წლიურად 15 ტონა CO₂-ის ემისიის შემცირების საშუალებას იძლევა.


2016-2017 წლებში ევროკავშირის დაფინანსებით გარემონტდა და ენერგოეფექტური გათბობის სისტემით აღიჭურვა სამი საბავშვო ბაღი ქ.რუსთავში. საერთო ფართი 5600 მ². გაუმჯობესებული პირობებით სარგებლობს 1000-მდე აღსაზრდელი. აღნიშნული ღონისძიება ყოველ წლიურად 250 ტონა CO₂-ის ემისიის შემცირების საშუალებას იძლევა. პროექტის საგრანტო დაფინანსება შეადგენდა 0,8 მილიონ ევროს

3.2.6. რეგიონში არსებული ჰიდროენერჯის, სათბობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების - მზის, ქარის და გეოთერმული წყლების პოტენციური მარაგების ეფექტიანი გამოყენებისთვის, შესაბამის კვლევებზე დაფუძნებული საინვესტიციო წინადადებების მომზადება და მათი მიზნობრივი კომუნიკაცია

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში არსებული განახლებადი ენერჯო რესურსების, კონკრეტულად მზის რესურსების ეფექტურად გამოყენებისთვის, მომზადდა საინვესტიციო წინადადება და ხდება მიზნობრივი კომუნიკაცია	3

ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების 2015-17 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერჯეტიკის დირექტორატთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან პარტნიორობით, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო 2014-16 წლებში განახორციელებდა პროექტს „წყლის რესურსებისა და მდინარეების ენერჯეტიკული პოტენციალის შეფასების ელექტრონული სისტემის დანერგვა (2013-2016)“. საქართველოს მდინარეების ენერჯეტიკული პოტენციალის შეფასების ეს პროექტი 2013 წელს დაიწყო და 2016 წელს დასრულდა, რომლის ფარგლებშიც GIS სისტემის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მდინარეების ციფრული რუკა. რუკა განთავსდა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ვებგვერდზე (http://energy.gov.ge/investor.php?id_pages=79&lang=geo). საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად შესწავლილ იქნა ქვემო ქართლის პოტენციალიც და გამოვლენილი შესაძლო პროექტები დატანილ იქნა ინტერაქტიულ რუკაზე შესაბამისი პარამეტრების მითითებით. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 1,792,800 ევრო (ნორვეგიის სამეფოს გრანტი).



3.2.7. განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისთვის რეგიონული და მუნიციპალური გეგმების შემუშავება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებთან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისთვის დაიწყო მუნიციპალური გეგმების შემუშავება	1

2015 წლის 15 მარტს ქ. ბოლნისის შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას, „მერების შეთანხმებას“, 2016 წლის მაისში ქ. ბოლნისმა პროგამის „გამდიერებული შესაძლებლობა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია“ (EC-LEDS) ტექნიკური მხარდაჭერით მოამზადა მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერჯეტიკული სამოქმედო გეგმა“, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში სათბურის გაზების ემისების შემცირებას.

3.2.8. რეგიონში მკვს-ის, ჰელიო და ქარის დანადგარების კომბინირებული სისტემების დანერგვის შესაძლებლობის აქტუალიზაცია და მრავალმხრივი ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, სამხარეო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში მკვს-ის, ჰელიო და ქარის დანადგარების კომბინირებული სისტემების დანერგვის შესაძლებლობის აქტუალიზაციის მიზნით განხორციელდა ცაკეული ღონისძიებები	2

ევროკავშირისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ააიპ „მდგრადი განვითარების და პოლიტიკის (SDAP) ცენტრმა“, 2015-2017 წლებში, ევროკავშირისა და, მერების შეთანხმების „სადემონსტრაციო პროექტების“ (CoMDeP) ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, #6, #40, #41 საბავშვო ბაღებს სრული ენერგოეფექტური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა.



რუსთავის მე-6 საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური რეაბილიტაცია¹¹

2017 წელს ევროკავშირის „მერთა შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებების ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტში ენერგოფერმა დამონტაჟდა, რომელიც ელექტროენერგიით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობას. პროექტი განხორციელდა ახალი ტექნოლოგიების ცენტრის “მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

¹¹ <http://sdap.ge/index.php/2016/04/20/rustavv/>

პროექტის „ლიტვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება საქართველოსადმი მზის ენერჯის ტექნოლოგიის დამონტაჟების მეშვეობით“ ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტის შენობის სახურავზე, 420 მ² მოცულობის ფართობზე 60 კილოვატი სიმძლავრის მზის პანელები განთავსდა. აღნიშნული პანელები დამონტაჟდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთის საბავშვო ბაღის სახურავებზე¹².

2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, უნდა განხორციელებულიყო რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი, რომელიც მოიცავდა ორი 500 კვ ქვესადგურის: „ქსანის“ და „მარნეულის“ რეაბილიტაცია-გაფართოებას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს ინფორმაციით, ქვესადგურ „ქსანი-500“-ის რეაბილიტაცია დასრულდა 2016 წლის ბოლოს. პროექტის ფარგლებში, სრულად შეიცვალა 500/220/110 და 10 კვ-ის პირველადი და მეორადი მოწყობილობები, დაინერგა ახალი მართვისა და დაცვის სისტემები, მოეწყო ახალი შიდა მისასვლელი გზა, განახლდა სახაზო და სასისტემო პორტალები. პროექტის ღირებულება შეადგენდა **9.9 მილიონ ევროს**. ქვესადგურ **“მარნეული 500” მშენებლობა** 2016 წელს დასრულდა. პროექტის განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის, განსაკუთრებით თბილისის და ქვემო ქართლის ელექტროენერჯით მომარაგების გაუმჯობესება, გაიზარდა ქვემო ქართლში განლაგებული თბოსადგურებიდან სიმძლავრის უსაფრთხოდ გამოტანის შესაძლებლობა და ენერჯის სისტემის საიმედოობა, პროექტის ღირებულებამ **20 მლნ აშშ დოლარი** შეადგინა.

¹² <http://rustavi.gov.ge/news/983>

ამოცანა 3.3. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა

3.3.1. მრეწველობის ყველა დარგში მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერის, მათი დანერგვის ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მრეწველობის ყველა დარგში მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერისა და მათი დანერგვის ხელშეწყობისთვის მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა ცალკეული ღონისძიებები	2

„ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, 2014-17 წლებში ამ მიმართულებით შემდეგი ღონისძიებები ჩატარდა:

- **სამუშაო ვიზიტი თურქეთის ქალაქ ბურსაში.** სააგენტოს დირექტორი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი და რუსთავის მერი, მხარისა და ქალაქის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკაში. ქართული დელეგაციის წევრებმა (KARPAT) მხარდაჭერით ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართეს ქალაქ ბურსას მერის პირველ მოადგილესთან. ქართულმა მხარემ ქალაქ ბურსაში მოინახულა რამდენიმე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დიდი საწარმო, მათ შორის GULERYUZ Otomativ, AKIA და OMSA LINE, სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების წარმოება ხორციელდება. მხარებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლოდ ურთიერთ თანამშრომლობის გეგმები დაასახეს. ვიზიტის მიმდინარეობისას ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი და დელეგაციის წევრები ქალაქ სტამბულში დაესწრნენ კომპანია TUYAP-ის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო გამოფენას, სადაც კომპანიებმა საკუთარი ტექნოლოგიური მიღწევები გააცნეს დამთვალიერებლებს.
- **სამუშაო შეხვედრა ჩინელ ინვესტორებთან.** ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა სამხარეო ადმინისტრაციაში ჩინელ ინვესტორებს უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრას „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ დირექტორი, ქალაქ რუსთავის მერი და გუბერნატორის მოადგილე ესწრებოდნენ. მხარეებმა დიალოგის რეჟიმში განიხილეს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი და იმ ერთობლივ ღონისძიებებზე ისაუბრეს, რომლებიც შესაძლოა სამომავლოდ რეგიონში განხორციელდეს. შეხვედრის მიმდინარეობისას რეგიონის გუბერნატორმა სტუმრებს დეტალურად გააცნო ინფორმაცია ქვემო ქართლის მხარის ტურისტული პოტენციალისა და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ. შეხვედრა სააგენტოს ინიციატივით და ხელშეწყობით დაიგეგმა.
- **მარნეულის მუნიციპალიტეტს ირანის რესპუბლიკის, ზანჯანის მხარის კოოპერატივთა პალატის წევრები სტუმრობდნენ.** მარნეულის მუნიციპალიტეტს ირანის რესპუბლიკის, ზანჯანის მხარის კოოპერატივთა პალატის წევრები სტუმრობენ, ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ დირექტორის მოადგილეს და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეხვდნენ. მარნეულში მათი სტუმრობის მიზანს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური (სამეწარმეო და სამეურნეო) პოტენციალის გაცნობა წარმოადგენდა. დელეგაციის შემადგენლობაში ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, მათ შორის პლასტმასის, ტყვისა და თუთიის კონცენტრატის, ტექნიკური მარილის, სამედიცინო ინვენტარის, მედიკამენტებისა და თევზის მწარმოებლები და

ექსპორტიორები იყვნენ. დელეგაციის წევრებმა ვიზიტის ფარგლებში მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკა, სასურსათო ქარხანა და სოფელ კაჩაგანში არსებული კაკლის მეურნეობა მოინახულეს

- **სამუშაო შეხვედრა იაპონელ და პაკისტანელ სავაჭრო პალატის წევრებთან.** „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გრიგოლ ნემსაძე სამხარეო ადმინისტრაციაში იაპონელ და პაკისტანელ სავაჭრო - სამრეწველო პალატის წევრებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრას „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ დირექტორი მიხეილ ღურუცაია ესწრებოდა. მხარეებმა დიალოგის რეჟიმში განიხილეს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი და იმ ერთობლივ ღონისძიებებზე ისაუბრეს, რომლებიც შესაძლოა სამომავლოდ რეგიონში განხორციელდეს.

3.3.2. რეგიონში მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და ძირითადი საჭიროებების პერიოდული შეფასებების უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და ძირითადი საჭიროებების პერიოდული შეფასებები არ მომხდარა	0

3.3.3. რეგიონში ლიზინგის სისტემისა და შესაბამისი პრაქტიკის აქტიური დანერგვის წახალისება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა რეგიონში ლიზინგის სისტემისა და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა	2

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ცნობით, ინვესტორებისთვის, ლიზინგთან შედარებით, ქონების ვალდებულებებით უსასყიდლოდ გადაცემა ან საკუთრების ფორმით შესყიდვა უფრო არის მისაღები. მიუხედავად ამგვარი განწყობებისა, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სამრეწველო კომპონენტით მხარდაჭერილია ქვემო ქართლის 5 საწარმოს მიერ წარმოების საშუალებების ლიზინგით მიღება. ინვესტიციამ 5,707,832 ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტი	წარმოებული პროდუქცია	ახალი/გაფართოება	ინვესტიცია (ლ)	დასაქმება
გარდაბანი	ბიტუმის ემულსიის წარმოება	ახალი	1,000,000	10
მარნეული	ცემენტი, ბეტონის წარმოება	ახალი	499,200	15
რუსთავი	ტანსაცმელი (ქურთუკი) წარმოება	გაფართოება	168,632	15
რუსთავი	მინის წარმოება	ახალი	350,000	10
რუსთავი	პლასტიკური ბოთლების ნახევარფაბრიკატების წარმოება	ახალი	3,750,000	0

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

3.3.4. მოწინავე ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერზე ორიენტირებული ინვესტიციების პრიორიტეტული მოზიდვა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა რეგიონში მოწინავე ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვა	2

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ინიციატივითა და მხარდაჭერით 2017 წელს ჩატარდა ორი ბიზნეს-ფორუმი. მონიტორინგის პერიოდში სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ათამდე საერთაშორისო გამოფენასა და ინოვაციურ ფორუმში, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ, წარმატებული გამოცდილება გაზიარებულ იქნა ბენეფიციარებისთვის.



ქვემო ქართლის ბიზნეს ფორუმი რუსთავში, 25/05/2017¹³

მოწინავე ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვის მაგალითია სადემონსტრაციო სასათბურე კომპლექსის გახსნა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. შულავერში, სადაც ბოსტნეულის წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიებით ხორციელდება. მისი მშენებლობა განხორციელდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შპს „ჰუნან“-ის სოფლის მეურნეობის ჯგუფის ერთობლივი მასშტაბური

¹³ <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100154>

პროექტის „სასათბურე ბოსტნეულის წარმოება“-ის საფუძველზე. ბოსტნეულის წარმოებასთან დაკავშირებით ჩინეთთან ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის 2014 წლის 15 იანვარს გაფორმდა და პროექტისათვის განისაზღვრა 20 მილიონი იუანი. ჩინეთის „ჰუნანის სოფლის მეურნეობის ჯგუფის“ მიერ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კუთვნილ 5 ჰექტრამდე მიწის ფართობზე აშენებულია მზის სათბურები, ერთსივრციანი სათბურები და სხვა დამხმარე ნაგებობები, სულ 6 დიდი და 27 პატარა სათბური. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარებას და საწარმოო პოტენციალის ზრდას. ახალი ტექნოლოგიებით აშენებული და აღჭურვილი სათბურები სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულებისაა, თუმცა აღნიშნულ ბაზაზე მიმდინარეობს ქართველი ფერმერების გადამზადება, რომლებსაც საშუალება აქვთ მიიღონ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ჩინური კომპანიის „ჰუნანი“ სოფლის მეურნეობის ჯგუფის ორგანიზებით, 2016 წელს რუსთავეში ჩატარდა სამი 12 დღიანი სემინარი, რომლის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებისთვის ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა და სწავლება¹⁴.



სასათბურე კომპლექსი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. შულავერში¹⁵

3.3.5. ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებსა და მეცნიერებატევად უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირების დამყარებაში დახმარება

¹⁴ <http://marneuli.gov.ge/arqivi/siaxleebi1/1442-sademonstracio-sasatbure-kompleqsi-marneulshi.html>

¹⁵ <http://www.moa.gov.ge/7/News/1268>

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ქულების საშუალო არითმეტიკულით.

შეფასება	ქულა
ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებსა და მეცნიერებატევად უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირების დასამყარებლად დაიგეგმა ცალკეული ღონისძიებები და დამყარდა ცალკეული კავშირები	1,5

ამ მიზნით ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტომ ირლანდიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელსეწყობით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმა ირლანდიის საერთაშორისო სასტუმროებისა და კვების სკოლასთან, სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის განვითარების მიზნით, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ადგილობრივ მეწარმეებს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებასა და შესაბამისად სავარაუდოდ მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაშიც.

3.3.6. რეგიონის ნიშნით, კვლევა-განვითარების კერძო თუ საჯარო სუბიექტების, მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების, პატენტების, პროტოტიპების, ნოუ-ჰაუს, ლიცენზიების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნის სათანადო ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონის ნიშნით, კვლევა-განვითარების კერძო თუ საჯარო სუბიექტების, მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების, პატენტების, პროტოტიპების, ნოუ-ჰაუს, ლიცენზიების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნისათვის ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

3.3.7. ადგილობრივ ინოვაცორთა და საუკეთესო გამომგონებელთა მოძიება, აღრიცხვა და გამოვლენა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
ადგილობრივ ინოვაცორთა და საუკეთესო გამომგონებელთა მოძიების, აღრიცხვისა და გამოვლენის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

3.3.8. აქტუალური კვლევების წარმოების, კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება-გავრცელებისა და წარმოებაში დანერგვის მიზნით, - საჯარო, ბიზნეს და კვლევა-განვითარების ინსტიტუტებს შორის ქსელური კავშირების დამყარების მხარდაჭერა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში საჯარო, ბიზნეს და კვლევა-განვითარების ინსტიტუტებს შორის დამყარებულია კავშირები და ტარდება ერთობლივი კვლევები	2

ტურიზმის მიმართულებით ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა გარკვეული საქმიანობა: ილიას სახელობის უნივერსიტეტთან, ტურიზმის სააგენტოსთან და გუბერნიასთან ერთად შემუშავდა რამოდენიმე კონკრეტული პროექტი და დაიწყო ტურიზმის განვითარების ახალ კონცეფციაზე მუშაობა.

3.3.9. ერთობლივი კვლევებისა და საიმპლემენტაციო პროექტების წახალისება სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების ჯგუფების მიერ

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების ჯგუფების მიერ ერთობლივი კვლევებისა და საიმპლემენტაციო პროექტების წახალისების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

3.3.10. მიზნობრივი ტრენინგებისა და კონსულტაციების ორგანიზება ახალი ტექნოლოგიების და მათი დანერგვის შესაძლებლობათა შესახებ

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, ქულების საშუალო არითმეტიკულით.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში შესწავლილ იქნა ახალი ტექნოლოგიების და მათი დანერგვის შესაძლებლობათა შესახებ საჭიროებები და დაიგეგმა მიზნობრივი ტრენინგები და კონსულტაციები, რომლებიც ჩატარდა ცალკეული მიმართულებებით	1,5

„ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ოფისში ინვესტორებთან - გაიმართა შეხვედრა კომპანია "Ecotox"-ის წარმომადგენლებთან, რომელიც მეფრინველეობის, მეცხოველეობის და მეთევზეობის სექტორზეა გათვლილ, ევროპული ხარისხის, თანამედროვე, უახლეს კომბინირებულ საკვებს. სს "INNOTOX"-ის მიერ წარმოებული პროდუქცია არის ბუნებრივი, ძლიერი აბსორბენტი, რომელიც ახორციელებს მიკოტოქსინების (სოკოვანი) და ბაქტერიების აბსორბციას და არ აძლევს მათ სისხლში მოხვედრის საშუალებას. პროდუქტი გამოიყენება ყველა შინაური ცხოველის, ფრინველისა და თევზის საკვებში. ზრდის იმუნიტეტს და აძლევს საშუალებას არ იქნეს გამოყენებული ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე ანტიბიოტიკები. პარალელურად მცირდება ცხოველის საკვების მოხმარების ხარჯი და უწყობს ხელს ცოცხალი წონის ზრდას. გარდა ამისა ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას, საგრძნობლად ამცირებს სიკვდილიანობას და იძლევა ჯანსაღ პროდუქტს. კვერცხმდეები ქათმების შემთხვევაში საგრძნობლად იზრდება კვერცხის ხარისხი, რაც გამოიხატება სქელ ნაჭუჭში, კვერცხის მოცულობასა და კვერცხის დების რაოდენობის ზრდაში. საქონლის შემთხვევაში ზრდის წველადობას. კომპანიამ სააგენტოს თხოვნით მიმართა, შუამდგომლობა გაუწიოს ადგილობრივ მეწარმეებთან და ფერმერებთან, რათა მომხდარიყო აღნიშნული პროდუქტის მათთვის გაცნობა. სააგენტოს ხელშეწყობით თეთრიწყაროს, დმანისის, წალკის, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მოხდა ამ პროდუქციის ფერმერებისათვის პრეზენტირება. პროდუქციის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევებმა ბევრ ფერმერს დადებითი და ეფექტური შედეგები მოუტანა და მათთან კომპანიამ შეთანხმებებს მიაღწია.

3.3.11. კვლევითი ლაბორატორიების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის ხელშეწყობა

საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვანოდეს.

შეფასება	ქულა
კვლევითი ლაბორატორიების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

3.3.12. პირდაპირი რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინიცირება ინოვაციური მეწარმეობის სფეროში

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ინოვაციური მეწარმეობის სფეროში პირდაპირი რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინიცირების მიზნით მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა პროექტები	3

3.3.13. ინოვაციური სტარტაპების გრძელვადიანი პროგრამული მხარდაჭერისთვის შესაბამისი წინადადებებისა და ინიციატივების მომზადება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ინოვაციური სტარტაპების გრძელვადიანი პროგრამული მხარდაჭერისთვის წინადადებებისა და ინიციატივების მომზადებლად მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა ღონისძიებები	2

3.3.14. ზემოხსენებული საქმიანობების სისტემური დაგეგმვის, განხორციელებისა და ეფექტური კოორდინაციის მხარდაჭერის მიზნით, რეგიონში სპეციალიზირებული ქმედითი მექანიზმის შექმნა, ასევე, საქმიანობების სისტემური დაგეგმვა-განხორციელებისათვის სათანადო სახსრების (საბიუჯეტო, კერძო, დონორული) მოზიდვა.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სტრატეგიის 3.3 ამოცანით განსაზღვრული საქმიანობების სისტემური დაგეგმვის, განხორციელებისა და ეფექტური კოორდინაციის მხარდაჭერის მიზნით მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა რეგიონში სპეციალიზირებული ქმედითი მექანიზმის შექმნა.	1

მიზანი 4: საბაზო ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განვითარება


მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 3 რაოდენობრივი, ასევე, ამოცანის შესრულების 6 რაოდენობრივი და 7 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 39 (100%).

მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა და ამოცანების შესრულება შეფასდა **20,1 ქულით (52 %)**.

მიზნის მიღწევის შეფასებისთვის მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %-ით	ქულა
მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში)	1.9	3.9	+105%	3
მშენებლობაში დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა	44.6	64.9	46%	2
მშენებლობაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა	112.2	153.3	37%	2

წყარო: სავსტატი



მშენებლობა ქვემო ქართლში, მლნ.ლარი	2013	2014	2015	2016	2017
ინვესტიციები (ფიქსირებულ აქტივებში)	1.9	4.5	5.6	2.9	3.9
დამატებული ღირებულების მოცულობა	44.6	62.4	63.6	64.9	64.9
ბრუნვის მოცულობა	112.2	134.3	204.0	155.9	153.3

ამოცანების შესრულება

4.1. ქვემო ქართლის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის შემუშავება; მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების ქალაქდაგეგმარებისა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის სისტემურად ჩამოყალიბებული დოკუმენტების მომზადება. ამ მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობების სათანადო ჩართულობისა და დონორი ორგანიზაციების მიზნობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

შეფასება მოხდა 2 კრიტერიუმით: ქვემო ქართლის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის შეფასება მოხდა სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების ქალაქდაგეგმარებისა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის სისტემურად ჩამოყალიბებული დოკუმენტების მომზადების პროცესის შეფასება - მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
დაწყებულია ღონისძიებები ქვემო ქართლის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად	1

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის ცნობით, ქვემო ქართლის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად რეგიონში დაწყებულია ღონისძიებები.

შეფასება	ქულა
მუნიციპალიტეტებში ქალაქდაგეგმარებისა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტები (დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, განაშენიანების რეგულირების გეგმა) მომზადებული არ არის	0,14

მხოლოდ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს გააჩნია ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N226 დადგენილება).

4.2. თბილისი-რუსთავის ავტობანის მშენებლობის დასრულება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მიმდინარეობს თბილისი-რუსთავის ავტობანის მშენებლობა	2

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მშენებლობა-მოდერნიზაციის სამუშაოები ხორციელდება სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. ავტობანის 6.9 კილომეტრიანი მოდერნიზებული მონაკვეთი 2018 წლის მარტში ექსპლუატაციაში უკვე გადაეცა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.



თბილისი - რუსთავის 17,4 კმ -იანი ავტომაგისტრალის მშენებლობა¹⁶

4.3. მხარის საგზაო ინფრასტრუქტურის (ადგილობრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის გზები) არარეაბილიტირებული ნაწილის, მისი პრიორიტეტული გზების რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტებში შიდა გზების შემდგომი შეკეთება და იმ ადგილობრივი გზების ასფალტირება, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო მნიშვნელობის გზებს; სამოვრებსა და სახნავ-სათეს მიწებამდე მისასვლელი სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

მხარის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, სახელმწიფო მნიშვნელობის გზების ნაწილში - საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციისა - მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა რეგიონის საგზაო ინფრასტრუქტურის (საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზები) 2014 წლის დასაწყისისათვის არარეაბილიტირებული ნაწილის 50%-ზე ნაკლების რეაბილიტაცია	1

ქვემო ქართლის რეგიონში საავტომობილო გზების სიგრძე (წლის ბოლოსათვის, კმ)

	2013	2014	2015	2016
სულ	2028.1	1998.4	2033.0*	2042.4
მ.შ. საერთაშორისო მნიშვნელობის	229.2	221.9	221.9	221.9
მ.შ. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის	657.2	641.8	641.8	641.8

¹⁶ <http://guardian.ge/4529-thbilisi-rusthavis-174-km-iani-avtomagistralis-mshenebloba-aqtiurad-mimdinareobs.html>

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 132.5 კილომეტრი სიგრძის სხვადასხვა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მონაკვეთების რეაბილიტაცია/პერიოდული შეკეთება, რაც 2014 წლის დასაწყისისათვის სარეაბილიტაციო მონაკვეთების მიმართებაში პროცენტული შეფარდება შეადგენს 31%-ს.

შეფასება	ქულა
ასფალტობეტონის საფარით დაფარულია იმ ადგილობრივი გზების ჯამური სიგრძის ნახევარზე მეტი, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო მნიშვნელობის გზებს	2

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (რგპვ-ს ჩათვლით) მუნიციპალიტეტების საგზაო ინფრასტრუქტურის (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები) რეაბილიტაცია-მშენებლობაზე გახარჯული თანხების ოდენობა, ათასი ლარი

	გარდაბანი	მარნეული*	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო
2014	49,8	3732,4	51	2651,3	1263,4
2015	2854,1	5239,4	323	2165,3	2217
2016	6032,2	4448,1	3150	3696,4	776
2017	5101,5	6494,4	3473	2159,8	2760,9

*გათვალისწინებულია მოვლა-შენახვის ხარჯებიც

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ხიდების, ქუჩებისა და სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები 2014-2017 წლებში დაუფინანსდათ 55,185,697 ლარის ჯამური ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით (პროექტების ჩამონათვალი იხ. [დანართი N1](#))

4.4. რეაბილიტირებული ადგილობრივი საავტომობილო გზების სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივი გზების ნაწილზე ტარდებოდა მიმდინარე შეკეთებისა და მათი სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნების სამუშაოები (ნალექებისგან გაწმენდა ზამთრის პერიოდში, დაზიანებების აღმოფხვრა, არხების გაწმენდა და მისთ.)	2,4

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (რგპვ-ს ჩათვლით) მუნიციპალიტეტების ადგილობრივი გზების მიმდინარე შეკეთებისა და მათი სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნების სამუშაოებზე გახარჯული თანხების ოდენობა, ათასი ლარი

	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო
2014	47,2	274,9	-	61,3	28,6
2015	172,3	476	-	63,1	33,6
2016	223,1	422,6	238	140,2	34,8
2017	913,9	484,3	346	63,6	3,6

4.5. მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; გზებზე ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის ნიშნების დამონტაჟება; მუნიციპალური ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის დაფების მოწყობა

შეფასება მოხდა 2 კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება						ქულა
დამონტაჟებულია ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის ნიშნები დასახლებების ქუჩების დიდ ნაწილზე						1,6

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
3	0	3	1	1*	2	1

*დამონტაჟებულია მხოლოდ ქ.დმანისში

შეფასება						ქულა
მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის დაფები არ დამონტაჟებულია*						0

*ინფორმაცია ტრანსპორტის გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის დაფების მონტაჟის შესახებ მოგვანოდა მხოლოდ ბოლნისის მუნიციპალიტეტმა, თუმცა გახარჯული თანხების ოდენობა ვერ დააკონკრეტა.

4.6. ცენტრალური და სასოფლო დასახლებების ქუჩების განათება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება						ქულა
გარე განათება გაკეთებულია საქალაქო და სასოფლო დასახლებების ქუჩების უმეტეს ნაწილზე						2

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (რგპვ-ს ჩათვლით) მუნიციპალიტეტების დასახლებების ქუჩების განათების სამუშაოებზე გახარჯული თანხების ოდენობა, ათასი ლარი

წელი	რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო
2014	-	14	443.5	6.5	17.2	28.9
2015	222,6	18	541.8	210	2.1	48.1
2016	282.7	43.2	427.4	504	96.2	80.5
2017	272.3	837.9	505.9	130	4.1	75.5

ამდენად, დასახლებების გარე განათების მიზნით 2014-17 წლებში საჯარო ფინანსებიდან დაიხარჯა სულ 3259.7 ათასი ლარი.

მ.შ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლში 2014-2017 წლებში დაფინანსდა გარე განათების მოწყობის 1 პროექტი, 129,222 ლარის ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში დაფინანსებული გარე განათების მოწყობის პროექტი

წელი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	ღირებულება (ლარი)
2015	რუსთავი	აღმაშენებლის გამზირიდან გარეჯის ქუჩის #2-მდე გარე განათების მოწყობა (ხიდების ჩათვლით)	129,222

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო



გარე განათების სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები ქ.რუსთავში¹⁷

4.7. ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალური ცენტრების ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება და არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროს რეგულირების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
განხორციელდა კაპიტალური პროექტები მუნიციპალური ცენტრის ინფრასტრუქტურული იერსახის გასაუმჯობესლად	2

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (რგპფ-ს ჩათვლით) მუნიციპალური ცენტრების ინფრასტრუქტურული იერსახის გასაუმჯობესლად გახარჯული თანხების ოდენობა, ათასი ლარი

წლები	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო
-------	-----------	----------	---------	---------	------------

¹⁷ <http://rustavi.gov.ge/news/426>

2014	65,2	-	63	-	-
2015	808,7	-	4289	12,8	773
2016	27,7	-	3773	139,1	
2017	1 030,2	-	1132	160,3	-

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს დასახლებების კეთილმოწყობის პროექტები 2014-2017 წლებში დაუფინანსდათ 5,914,567 ლარის ჯამური ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში დაფინანსებული დასახლებების კეთილმოწყობის პროექტები

წელი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	ღირებულება (ლარი)
2014	რუსთავი	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა	177,966
	რუსთავი	ზავშვთა გასართობი ატრაქციონების შექმნა	272,838
2015	გარდაბანი	სოფელ კრწანისში მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია (გადახურვა, გამაგრება)	100,000
	გარდაბანი	სოფელი სართიჭალაში მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია (გადახურვა, გამაგრება)	100,000
	რუსთავი	ქალაქ რუსთავში საცხოვრებელი კორპუსების გადახურვის მოწყობა (ქანობიანი სახურავები) 42 კორპუსი, (რბილსაფარიანი სახურავები) გაგარინის ქუჩა #2b-g-d და 9 მაისის ქუჩა #1	488,271
	რუსთავი	ქ.რუსთავში საცხოვრებელი კორპუსების ქანობიანი/რბილი სახურავების გადახურვის მოწყობა	157,619
2016	რუსთავი	კოსტავას გამზ.ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ფასადები და მინათება)	1,835,074
	რუსთავი	კოსტავას გამზირისა და დონეცკელ მეტალურგთა ქუჩის შიდა ეზოების ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები კოსტავას ქუჩა #22-24-26-28-30-32-34-36 და დონეცკის მეტალურგთა #3-5-7-9-11-13-15-17 ეზოები	407,775
2017	ბოლნისი	დ. კაზრეთში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ ბინებში არსებული ლიფტების რეაბილიტაცია	1,219,185
	ქ. რუსთავი	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა	251,390
	ქ. რუსთავი	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა	279,396
	ქ. რუსთავი	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა	261,501
	ქ. რუსთავი	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა	243,775
	ქ. რუსთავი	სანაპიროს ქუჩის ტროტუარები	119,777

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მიზანი 5: სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა


შეფასება მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 3 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 8 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 33 (100%).

მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა და ამოცანების შესრულება შეფასდა **19 ქულით (58%)**

მიზნის მიღწევის შედეგებისთვის მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %	ქულა
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში)	54.0	15.8	-71%	-3
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა	23.1	46.7	+102%	3
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა	69.1	177.5	+105%	3

წყარო: საქსტატი



მაჩვენებელი	2013 (მლნ.ლარი)	2014 (მლნ.ლარი)	2015 (მლნ.ლარი)	2016 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციები (ფიქსირებულ აქტივებში)	54.0	44.7	45.9	59.7	15.8
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დამატებული ღირებულების მოცულობა	23.1	22.1	29.0	28.6	46.7
სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში ბრუნვის მოცულობა	69.1	95.5	122.5	141.4	177.5

ამოცანების შესრულება

5.1. საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემების ამოქმედების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგროწარმოების პრიორიტეტული სფეროების მარცვლეულის, ხილის, ბაღჩეულის და მრავალწლიანი ბალახების წარმოების, საექსპორტო და იმპორტმემცვლელი პროდუქციის წარმოების განვითარებას, მიმღები პუნქტებისა და გადანაწილების ცენტრის ორგანიზებას და ტექნოლოგიური ხაზების დანერგვას

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან და სსიპ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგროწარმოების სფეროში ფართოდ გამოიყენება საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემები	3

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედ 12 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს თანადაფინანსებით მიღებული აქვს 998 სკა, 4 ერთეული თავლის საწური (ციბრუტი), 4 კოოპერატივიდან თითოეულს 2200 ლიტრის მოცულობის თავლის შესანახი ავზები და 3 კოოპერატივს 3 ერთეული ფიჭის ასათლელი დანა. პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო კონტრიბუციამ შეადგინა **118,172** ლარი

„რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელშიც გაერთიანებულია ჯამში 47 ადგილობრივი ფერმერი, (მობილიზებული ფურების რაოდენობა 772 შეადგენს) გადაეცა სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებგადამამუშავებელი აღჭურვილობა და ნედლი რძის კონტროლის სავლე ლაბორატორიული ხელსაწყოები. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მიიღეს ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობა. კოოპერატივების თანამონაწილეობას წარმოადგენდა შენობა-ნაგებობის მოწყობა სადაც განთავსდა გადაცემული აღჭურვილობა. პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო კონტრიბუციამ შეადგინა **333,437** ლარი

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების“ სახელმწიფო პროგრამაში ქვემო ქართლის რეგიონის 3 მუნიციპალიტეტიდან ჩართულია 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მათ 25-წლიანი იჯარით გადაეცემათ სათიბ-სადოვრები და საქონლის საკვებწარმოებისათვის თანადაფინანსებით ტრაქტორები გუთნით, როტაციული და სეგმენტური სათიბელათი, ფოცხით, მოთიბული მასის დამწეხით და მისაბმელით ტვირთის ტრანსპორტირებისათვის. 2017 წელს პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო კონტრიბუციამ შეადგინა **407,445** ლარი.

5.2. ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების შექმნა-განვითარების, საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთების ორგანიზების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების გზით, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში მიმდინარეობს ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების შექმნა, საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთების ორგანიზება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით ტარდება საინფორმაციო ღონისძიებები	2

ექსტენციის პროგრამის მიზანია ფერმერთა ცოდნის, გამოცდილების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ახალი ჯიშებისა და ახალი მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. 2015-2017 წლებში **მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტების** 24 სოფელში **პროექტის „მობილური ექსტენცია“** ფარგლებში ჩატარდა თემატური სემინარები შემდეგ საკითხებზე: ბოსტნეული - ბაღჩეული კულტურების მოვლა-მოყვანა, მათ შორის ღია გრუნტში; კარტოფილისა და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანა, სასათბურე მეურნეობა, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, მეცხოველეობა - მსხვილფეხა პირუტყვის მოვლა - მოშენება; ვეტერინარიისა და საკვებწარმოება; აგრეთვე, დარიგებულია 33 დასახელების თემატური ბროშურა; დარიგებულია ფენოკალენდარული სქემები; გაწეულია სატელეფონო და ონლაინ რეჟიმში სარეკომენდაციო მომსახურება; ღონისძიებებს აქვთ პერმანენტული ხასიათი.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აქტიური ჩართულობით 2016 წლიდან ქვემო ქართლის ტელევიზიაში **გადაცემთა ციკლი „აგროსექტორი“** დაიწყო. უკვე 2 წელზე მეტია ყოველკვირეულ გადაცემაში ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები სხვადასხვა თემებით წარსდგებიან ქვემო ქართლი მაცხოვრებლების წინაშე.

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება-კონსერვაციის, საკოლექციო ნარგავების მოწყობის, ჯიშების გამოცდისა და საუკეთესოების რეკომენდების მიზნით **ექსპედიციური კვლევის** შედეგად ქვემო ქართლში მოძიებულ იქნა ხეხილის იშვიათი და გაქრობის პირას მდგარი სახეობები და ჯიშები, მათ შორის თუთის 2 ფორმა გარდაბნის მუნიციპალიტეტში-სოფელ შინდისში.

საქართველოში სათესლე და სარგავი მასალის სერთიფიცირების სისტემის დანერგვის პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერთიფიცირების კვლევის სამსახური 2015 წლიდან გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლებთან ერთად თესლის მწარმოებელ ფერმერთა ნათესების სავლე ინსპექტირებას ატარებს. ამ მიზნით, 2015-2017 წლებში ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარებული ღონისძიებების დეტალური აღწერა იხილეთ დანართი #1ში.

საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და კომერციულად სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესებისა და გენეტიკური ბანკის შექმნის მიზნით სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ქვემო ქართლის რეგიონში მეცხოველეობის მიმართულებით განხორციელებული 5 სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია **N2 დანართში**.

5.3. ადგილობრივი საჭიროებების სრულად დასაკმაყოფილებლად, მექანიზაციის ცენტრის დამატებითი ტექნიკით, მ.შ. მცირეგაბარიტიანი ტექნიკით უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტიდან, სსიპ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოდან და ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მექანიზაციის ცენტრების ტექნიკით (მ.შ. მცირეგაბარიტიანი ტექნიკით) აღჭურვა სრულად აკმაყოფილებს ადგილობრივ საჭიროებებს	3

ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში არსებული შპს“მექანიზატორი“-ს სერვის-ცენტრებში განთავსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სრულად აკმაყოფილებს ადგილობრივ საჭიროებებს. ასევე, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“-ს მიერ განხორციელებული “სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის (AMMAR)” თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში, **წალკისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში 2 ბენეფიციარი დაფინანსდა** ჯამურად **32,585** ლარით, 50 ცხ.ძალის სიმძლავრის 2 ტრაქტორის შესაძენად, რომელთა ჯამური ღირებულება **81,462** ლარს შეადგენდა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამა მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის შეღავათიან ფასად, 900 ლარად (რაც მისი ღირებულების 24 % შეადგენს) კოოპერატივებისათვის გადაცემას ითვალისწინებს. თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგრეგატი სათიბით, გუთნით და კულტივატორით. ქვემო ქართლის რეგიონში 101 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე გაცემულია 310 აგროკომპლექტი და 68 ხელის სათესი.

მუნიციპალიტეტი	კოოპერატივები	აგროკომპლექტი	ხელის სათესი
რუსთავი	2	3	-
გარდაბანი	14	30	12
მარნეული	8	12	-
ბოლნისი	17	33	2
დმანისი	12	23	2
თეთრიწყარო	16	39	6
წალკა	32	170	46
სულ	101	310	68

წყარო: სსიპ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

მაღალმთიანი პროგრამის ფარგლებში 8 კოოპერატივს გადაეცა 5 დასახელების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სულ 40 ერთეული, ხოლო 2017 წელს 101 კოოპერატივს გადაეცა 310 მოტობლოკი და 378 ხელის სათესი მოწყობილობა.

5.4. აუთვისებელი სავარგულების ათვისება და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზებისა და სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია, აღურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა სამი კრიტერიუმით, მ.შ. აუთვისებელი სავარგულების ათვისების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის - ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან და შპს საქართველოს მელიორაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაციის - მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (აღურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის უზრუნველყოფა ფასდება 5.5. ამოცანის შესრულების შეფასებისას).

შეფასება	ქულა
სამოვრება და სახნავ-სათეს მიწებამდე მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა*	0

*გამონაკლისია **დმანისის მუნიციპალიტეტი**, სადაც 2015 წელს ამ მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 6,1 ათასი ლარი.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ხდებოდა ახალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისება და ხორციელდებოდა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები	2

2015-2016 წლებში ნიადაგების (მათ შორის დეგრადირებული) ნაყოფიერების შესწავლის მიზნით ქვემო ქართლში არსებულ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე პერიოდულად ტარდებოდა მოწყობილი მინდვრების სტაციონალური ცდები და იწარმოებოდა პერიოდული დაკვირვებები; ხოლო 2017 წელს ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ **ბოლნისის მუნიციპალიტეტის** ტერიტორიაზე ჩატარდა ნიადაგის კვლევა მძიმე ლითონებით დაბინძურების მონიტორინგის მიზნით. ასევე, შეფასდა აღნიშნულ ფართობზე მოწეულ პირველად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში მძიმე ლითონების დაგროვების ხარისხი.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ხორციელდებოდა რეგიონში არსებული სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტები და მიმდინარეობდა ახალი საწყავი სისტემების მშენებლობა	2

ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების შესახებ და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან სარწყავი სისტემების რეაბილიტაციაზე გახარჯული თანხების ოდენობის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია **N3 დანართში**.



ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია¹⁸

5.5. სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის უზრუნველყოფა

სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის პროცესის მიმდინარეობის შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში ტარდებოდა ალურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაცია	2

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ქვემო ქართლის რეგიონში, საკუთრების ფორმისა და კატეგორიების მიხედვით (2017)

მუნიციპალიტეტი	სასოფლო სამეურნეო მიწები საკუთრების ფორმის მიხედვით (3ა)			სასოფლო სამეურნეო მიწები კატეგორიების მიხედვით (3ა)				
	სულ	კერძო	სახელმწიფო	სახნავი	მრავალწლოვანი ნარგავები	სათიბი	სამოვარი	საკარმიდამო
მარნეული	58480.0	34128.0	24352.0	13930.0	847.0	13190.0	22998.0	7515.0
გარდაბანი	56131.0	34574.3	21556.7	15535.0	133.0	9619.5	25964.5	4879.0
თეთრიწყარო	50620.0	18215.0	32405.0	15358.5	340.0	6679.0	25898.0	2344.5
ბოლნისი	28801.0	14948.0	13853.0	12493.0	855.0	785.0	9583.0	5085.0
დმანისი	85570.0	32642.0	52928.0	7854.0	99.0	13409.0	59175.0	5033.0
წალკა	68162.8	28687.8	39475.0	17391.0	0.0	14496.0	33331.0	2944.8
სულ	347764.8	163195.1	184569.7	82561.5	2274.0	58178.5	176949.5	27801.3

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

5.6. სურსათის უვნებლობის ქმედითი სისტემის დანერგვა

¹⁸ <https://bpn.ge/ekonomika/11208-zemo-samgoris-sartsyavi-sistemis-reabilitacia-khorcieldeba.html?lang=ka-GE>

შეფასება ხდება ერთი კრიტერიუმით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო) სამმართველოს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
დაინერგა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სურსათის უვნებლობის სისტემა	2

სტრატეგიის განხორციელების 2015-17 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს დაგეგმილი ჰქონდა 3 მიმართულებით მუშაობა: 1) **სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი** (ბაზარზე უვნებელი პროდუქტის განთავსების უზრუნველყოფა, ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე პროდუქტის მიღებით გამოწვეული მოწამვლების და ნეგატიური კუმულაციური ეფექტის აღმოფხვრა, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, სურსათის უვნებლობის და ხარისხის შემოწმება), 2) **ეპიზოოტიური კეთილსამედობა და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია** (ეპიზოოტიური კეთილსამედობის მიღწევა-შენარჩუნება, ცხოველთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მიკვლევადობის განხორციელება; ცხოველების ექსპორტის გეოგრაფიული არეალის ზრდა; ეკონომიკური ზიანის მინიმიზირება; სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების უზრუნველყოფა), 3) **ვეტერინარული პრეპარატების ინსპექტირება და მონიტორინგი** (ვეტერინარულ-ფარმაცევტულ ბაზარზე ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო პრეპარატების მიმოქცევის უზრუნველყოფა). სააგენტოს ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ შესრულებული სამუშაოების დეტალური ანგარიში მოცემულია **N4 დანართში**.



ბრუცელოზის საწინააღმდეგო უფასო პროფილაქტიკური ვაქცინაცია ¹⁹

¹⁹ <https://zooclub.ambebi.ge/zuu/siakhleebi/3268-sursathis-erovnulma-saagentom-brucelozis-satsinaaghmdago-vaqcinacia-daitsyo.html>


მიზანი 6: რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 1 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 10 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 33 (100%).

მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა და ამოცანების შესრულება შეფასდა **15 ქულით (46%)**.

მიზნის მიღწევის შეფასებისთვის მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2013 (ათასი აშშ დოლარი)	2017 (ათასი აშშ დოლარი)	ზრდა/კლება, %-ით	ქულა
რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ცვლილება	16 309,2	66 727,7	+309 %	3



წყარო: სასტატატი

ამოცანების შესრულება:

6.1 მხარის მატერიალური აქტივებისა და რესურსული პოტენციალის შესახებ ინფორმაციის როგორც შემდგომი სისტემატიზაცია, ასევე მისი სათანადო გავრცელება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მოხდა რეგიონის მატერიალური აქტივებისა და რესურსული პოტენციალის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია, მისი სათანადო გავრცელების მიმართულებით ღონისძიებები არ განხორციელებულა	1

6.2 რეგიონსა და მუნიციპალიტეტებში სპეციალური საინვესტიციო პასპორტებისა და პროექტების მომზადება უცხოელი ინვესტორების დაინტერესების მიზნით

მონიტორინგის პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვარწოდეს.

შეფასება	ქულა
უცხოელი ინვესტორების დაინტერესების მიზნით რეგიონსა და მუნიციპალიტეტებში სპეციალური საინვესტიციო პასპორტებისა და პროექტების მომზადება მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა	0

6.3 პოტენციურ უცხოურ ინვესტორებთან ურთიერთობის მიზნით, კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვა და გადამზადება

მონიტორინგის პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვარწოდეს.

შეფასება	ქულა
უცხოურ ინვესტორებთან ურთიერთობის მიზნით კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვა და გადამზადება მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა	0

6.4 უცხოელ და ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებს შორის პირდაპირი და უკუკავშირების დამყარების ხელშეწყობა; მათ შორის, საინფორმაციო ბანკის მომზადება ადგილობრივი სამეწარმეო სუბიექტების, მათი საქმიანობის პროფილისა და შესაძლებლობების შესახებ.

მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივი სამეწარმეო სუბიექტების, მათი საქმიანობის პროფილისა და შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო ბანკის მომზადების თაობაზე ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვარწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონის სამეწარმეო სუბიექტების, მათი საქმიანობის პროფილისა და შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო ბანკის მონიტორინგის პერიოდში არ შექმნილა	0

6.5 მოქმედი და პოტენციური უცხოელი ინვესტორების კონსულტირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური იურიდიული ფორმების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის, უძრავი ქონების და სხვა საკითხებზე

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან და სსიპ აწარმოე საქართველოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მოქმედ და პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს უტარდებოდათ ცალკეული კონსულტაციები რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური იურიდიული ფორმების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის, უძრავი ქონებისა და სხვა საკითხებზე	2

დმანისის მუნიციპალიტეტში ლატვიელმა ინვესტორმა მესაქონლეობის დარგში მსხვილი ინვესტიცია განახორციელა. კერძოდ, 500 ჰექტარ ფართობზე მესაქონლეობის ფერმა მოეწყო და 354 სული სახორცე - „ყალმუხეთის“ ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი ჩამოიყვანეს.²⁰

²⁰ <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100141>

ფრანგული ინვესტიციით დაფუძნებული საწარმო შპს „ველინგტონი“ ლილოს დასახლებაში უშვებს ჩიფსებს „FRIXX“. საჭირო ნედლეული ქვემო ქართლის რეგიონიდან მიეწოდება. კომპანია ქვემო ქართლში არსებული კარტოფილის მწარმოებელი ფერმერებთან თანამშრომლობს. კონტრაქტორი ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან აგროტექნიკით, საწარმოშივე იქნება საწყობი, სადაც სათესლე მასალა და შხამ-ქიმიკატები განთავსდება იმ ფერმერებისთვის, ვისგანაც ჩიფსების ქარხანა კარტოფილს ჩაიბარებს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდებარე სასათბურე მეურნეობა „პლანტა“ საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი წარმატებული საინვესტიციო პროექტია, რომელიც ფრანგულ კომპანია Richel Group-თან და ჰოლანდიურ კომპანია Certhon-თან თანამშრომლობით განახორციელა. პროექტში ინვესტირებულია 22,2 მლნ. ა.შ.შ. დოლარი.



სასათბურე მეურნეობა „პლანტა“²¹

6.6 ადგილობრივი ნედლეულისა და პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების (უპირველესად ევროკავშირის ბაზარი) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, - შეფუთვის, მარკირების და სხვა კუთხით.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან და სსიპ აწარმოე საქართველოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

²¹

https://www.google.ge/search?q=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94+%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90+,%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E2%80%9C&rlz=1C1GCEU_enGE821GE821&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwidiKyMidTeAhVJ_SoKHcA_BHIQ_AUIEygB&biw=1920&bih=889#imgrc=njxdisyRuPa20M:

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ადგილობრივი ნედლეულისა და პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის (შეფუთვის, მარკირების და სხვა კუთხით) მიზნით რეგიონში ხორციელდებოდა მიზანმიმართული აქტივობები	2

„მერსი ქორფსის“, „აწარმოე საქართველოში“ და „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ხელშეწყობით, ტრენინგი და საკონსულტაციო სერვისი გაეწიათ ბენეფიციარებს: შპს „ცეზარი“, შპს „ჯითიანი“, შპს „შულავერი“, შპს „მილკენი“ და სხვა.

პროგრამის ხელშეწყობის ფარგლებში გაიზარდა მეწარმეთა პროდუქციის მარკეტინგი, მაგალითისათვის აღსანიშნავია, რომ შპს „ცეზარის“ მიერ წალკაში წარმოებული შებოლილი ყველი სულგუნი გასული წლის ივლისიდან იყიდება აშშ-ში, სადაც უკვე 10 ტონაზე მეტია ექსპორტირებული.²²



ნატურალური რძის პროდუქტების მეწარმეებელ კომპანია „მილკენს“ გაეწია სათანადო კონსულტირება და შვეიცარიის ფონდის დაფინანსებით და არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსის“ დახმარებით მოხდა საწაროს გადაიარაღება თანამედროვე დანადგარებით. შპს „მილკენი“ ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების საერთაშორისო კავშირის მიერ დაჯილდოვებულ იქნა 2 ნომინაციაში: დარგის ლიდერი და ეკონომიკის ვარსკვლავი.

6.7 სპეციალური ბიზნესფორუმების, პრეზენტაციების, მარკეტინგული ანალიზის, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება-ორგანიზება, რეგიონის წარდგენა საერთაშორისო გამოფენაზე

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან, სამხარეო რწმუნებული გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში ხშირად, მაგრამ არარეგულარულად ტარდებოდა ღონისძიებები: ბიზნეს-ფორუმები, პრეზენტაციები, მარკეტინგული ანალიზი, მიზნობრივი ტრენინგები, და მისთ.	2

BUSINESS GEORGIA-ს ორგანიზებით, „ქვემო ქართლის განვითარების სააგენტოსა“ და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, რუსთავეში ქვემო ქართლის ბიზნესფორუმი გაიმართა. ფორუმში ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები, ინვესტორები,

²² <https://www.facebook.com/cezardairy/>

საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ²³.

6.8 რეგიონის ჭრილში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება და დამუშავება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქატატიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ხდება რეგიონში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება და დამუშავება, მონაცემები ხელმისაწვდომია ინტერნეტში	3

6.9 რეგიონის ბრენდინგისთვის აუცილებელი საქმიანობის განხორციელება

მონიტორინგის პერიოდში რეგიონის ბრენდინგისთვის აუცილებელი საქმიანობების განხორციელების თაობაზე საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონის ბრენდინგისთვის აუცილებელი საქმიანობები მონიტორინგის პერიოდში არ დაგეგმილა და განხორციელებულა	0

6.10 ზემოაღნიშნული ამოცანებისა და საქმიანობების ეფექტიანი განხორციელებისთვის, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვაზე პასუხისმგებელი ქმედითი ინსტიტუციის შექმნა-გაძლიერება; ამ მიზნით, შესაბამისი საჯარო, კერძო და დონორული რესურსების ჩართვა; აღნიშნული ინსტიტუციის, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების საქმიანობის მჭიდრო კოორდინაციის უზრუნველყოფა ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან და სხვა შესაბამის ცენტრალურ უწყებებთან.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ზემოაღნიშნული ამოცანებისა და საქმიანობების ეფექტიანი განხორციელებისთვის, რეგიონში შეიქმნა/გაძლიერდა ინვესტიციების მოზიდვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუცია ²⁴ ; მიმდინარეობდა შესაბამისი საჯარო, კერძო და დონორული რესურსების მოძიება	2

მიზანი 7: მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა

მიზნის მიღწევის შეფასება_მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 1 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 27 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 54 (100%).


მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა და ამოცანების შესრულება შეფასდა **32,7 ქულით (61%)**

²³ <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100154>

²⁴ იგულისხმება ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო

მიზნის მიღწევის შეფასებისთვის მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით (2017 წლის მონაცემები და საწარმოთა ზომის ძველი და ახალი კრიტერიუმები იხ. **N5 დანართში**).

კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %-ით	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მცირე და საშუალო საწარმოებში ინვესტიციების მოცულობის დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში)	37.1	36.9	- 0,5%	0



ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით, მლნ. ლარი (საწარმოთა ზომის ძველი მეთოდოლოგიის მიხედვით)					
	2013	2014	2015	2016	2017
ქვემოქართლი	208.4	169.8	286.0	179.0	141.4
მსხვილი საწარმო	171.2	151.4	269.8	159.3	104.5
საშუალო საწარმო	12.4	5.9	6.7	6.6	22.0
მცირე საწარმო	24.7	12.5	9.5	13.1	14.9

წყარო: სესტატი

ამოცანების შესრულება

ამოცანა 7.1. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერა

7.1.1. ქვემო ქართლის ბიზნეს ცენტრის და მის ბაზაზე, თანამედროვე ტიპის ბიზნეს ინკუბატორის დაფუძნება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვამოგვარეს.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ქვემო ქართლის ბიზნეს-ცენტრის შესაქმნელად და მის ბაზაზე თანამედროვე ტიპის ბიზნეს ინკუბატორის ასამოქმედებლად ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

7.1.2. მხარის მუნიციპალიტეტებში პროფესიული გადამზადების ცენტრების მოწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონის მუნიციპალიტეტების ნაწილში ფუნქციონირებს პროფესიული გადამზადების ცენტრები	2

ქვემო ქართლის საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (2017 წელი)

დაწესებულებების მდებარეობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	პროფესიული კოლეჯი	საზოგადოებრივი კოლეჯი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	სულ
მარნეული			1		1
რუსთავი	1	3		1	5
სულ	1	3	1	1	6

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო



პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“, რუსთავი

ქვემო ქართლის საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა (2017 წ.)

დაწესებულებების მდებარეობა	კაცი	ქალი
მარნეული	16	104
რუსთავი	168	154
სულ	184	258

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

7.1.3. რეგიონის რეალურ საჭიროებათა განსაზღვრა პროფესიული განათლების მიმართულებით; გადაშზადების ცენტრების საჭირო პროფილისა და რაოდენობის პროგნოზირება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა რეგიონის საჭიროებების შესწავლა პროფესიული განათლების მიმართულებით	1

7.1.4. მხარის მუნიციპალიტეტებში შრომის, მცირე და საოჯახო ბიზნესის ტექნოლოგიების გამოყენება-ბაზრობის (ექსპოცენტრი) შექმნა-ორგანიზება; გამოყენება-ბაზრობის ტიპური ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნციონირების მექანიზმების განსაზღვრა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონის მუნიციპალიტეტებში გამოყენება-ბაზრობის (ექსპოცენტრის) შექმნა-ორგანიზების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

7.1.5. აღნიშნული მიზნებისთვის, შესაბამისი პროექტების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება, - საჯარო, კერძო თუ დონორული სახსრების მოზიდვის უზრუნველყოფა.

არ ფასდება ზოგადი ფორმულირების და 7.1. ამოცანის შესრულების შეფასების სხვა კრიტერიუმებში ამ ამოცანის შინაარსის შემცველობის გამო.

ამოცანა 7.2. მცირე და საშუალო ბიზნესების მრავალმხრივი საინფორმაციო და კონსალტინგური მომსახურების უზრუნველყოფა

7.2.1. რეგიონის ბიზნეს კლიმატის, მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების და განვითარების პერსპექტივების პერიოდული კვლევების მომზადება და გავრცელება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონის ბიზნეს კლიმატის, მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების და განვითარების პერსპექტივების კვლევა მონიტორინგის პერიოდში არ ჩატარებულა	0

7.2.2. მონაცემთა ბაზის შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების უწყვეტად შეგროვებით, დამუშავებითა და განახლებით

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების უწყვეტად შეგროვების, დამუშავებისა და განახლებისათვის მონაცემთა ბაზა მონიტორინგის პერიოდში არ შექმნილა	0

7.2.3. სამხარეო და მუნიციპალური ადმინისტრაციების ვებ-გვერდებზე მცირე და საშუალო მეწარმეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო, საგადასახადო და სხვა სიახლეების (მათ შორის სპეციალური მუნიციპალური, რეგიონული და სახელმწიფო პროგრამების შესახებ), ასევე სხვა აქტუალური ინფორმაციისა და პუბლიკაციების განთავსება

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, ცალკე - სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის ვებ-გვერდისა ცალკე - ვებ-გვერდების მიხედვით, მუნიციპალიტეტებისათვის ამ პარამეტრით მიკუთვნებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

შეფასება	ქულა
სამხარეო ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე განთავსებულია მცირე და საშუალო მეწარმეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო, საგადასახადო და სხვა სიახლეები, ინფორმაციები და პუბლიკაციები	2
შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე არარეგულარულად თავსდება მცირე და საშუალო მეწარმეობასთან დაკავშირებული ინფორმაციები და პუბლიკაციები	0,6

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
1	0	1	1	1	0	0

7.2.4. მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების, შესაბამისი სტარტაპების ცოდნის ამაღლება მიზნობრივი ტრენინგების, სემინარების, ბიზნეს ფორუმების ორგანიზებისა და საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურების გზით (თემატიკა: ბიზნეს-გეგმებისა და პროექტების განვითარება,

მარკეტინგული სტრატეგიები, საექსპორტო ბაზრები, ახალი ტექნოლოგიები, საგადასახადო და სალიცენზიო კანონმდებლობა, უცხო ენები, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, და სხვ.)

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ტარდებოდა ცალკეული ღონისძიებები მიზნობრივი ტრენინგების, სემინარების, ბიზნეს ფორუმების ორგანიზებისა და საკონსულტაციო-საექსპორტო მომსახურების გზით მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების შესაბამისი სტარტაპების ცოდნის ამაღლების მიზნით	2

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ინიციატივითა და მხარდაჭერით 2017 წლის განმავლობაში ჩატარდა ორი ბიზნესფორუმი. სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ათამდე საერთაშორისო გამოფენასა და ინოვაციურ ფორუმში, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ, წარმატებული გამოცდილება გაზიარებულ იქნა ბენეფიციარებისთვის.

კონსულტირება გაეწია 247 ფერმერს, როგორც ინდივიდუალურად ასევე გასვლითი თემატური შეხვედრების ფორმატში. კონსულტაციის ძირითადი მიმართულება იყო ასოცირების ხელშეკრულებით მოთხოვნილი სტანდარტების დაცვა საოჯახო პირობები დამზადებული პროდუქციის მართვისას. ხორცისა და რძის წარმოების სტანდარტების დაცვა საოჯარო და კოოპერაციულ პირობებში. სამართლებრივი და საგადასახადო კუთხით კონსულტირება გაეწია 100-მდე ბენეფიციარს, რომელთა ძირითადი კონსულტაციის თემა იყო იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურის საგადასახადო დაბერგვის მოთხოვნებისა კუთხით ინფორმირება.

„მერსი ქორფსის“, „აწარმოე საქართველოში“-ს და რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, ტრენინგი და საკონსულტაციო სერვისი გაეწია ორგანიზაციის ბენეფიციარებს: შპს „ცეზარი“, შპს „ჯითიაი“, შპს „შულაშულავერი“, შპს „მილკენი“ და სხვა, პროგრამის ხელშეწყობის ფარგლებში გაიზარდა მეწარმეთა პროდუქციის მარკეტინგი, მაგალითისთვის აღსანიშნავია, რომ შპს „ცეზარი“-ს მიერ წარმოებული სულგუნი აშშ-ს ბაზარზე იყიდება.

„მერსი ქორფსმა“ და რეგიონული განვითარების სააგენტომ განახორციელეს მთელი რიგი პროექტები, მაგ., განხორციელდა კომპანია „მილკენის“ კონსულტირება, რომელიც აწარმოებს ნატურალური რძის პროდუქტებს, შვეიცარიის ფონდის დაფინანსებით და „მერსი ქორფსის“ დახმარებით მოხდა საწარმოს გადაიარაღება თანამედროვე დანადგარებით. შპს „მილკენი“ ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების საერთაშორისო კავშირის მიერ დაჯილდოვებული იქნა 2 ნომინაციაში: დარგის ლიდერი და ეკონომიკის ვარსკვლავი. კომპანიის წარმოებული პროდუქცია თითქმის ყველა ქსელურ თუ არაქსელურ მაღაზიაშია წარმოდგენილი. დასაქმებულია 14 ადამიანი; ყოველდღიურად გროვდება ნატურალური რძე მარნეულში და გარდაბანში მცხოვრები 150-200 ფერმერისგან, დღიურად მუშავდება დაახლოებით 2,5 ტონა რძე; დღეში მზადდება 300 კილოგრამამდე სულგუნი. „მილკენი“ აწარმოებს 12 სხვადასხვა სახეობის სულგუნს.

7.2.5. სპეციალური ბიზნეს ფორუმების ორგანიზება და მხარდაჭერა ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესებისა და რეგიონში წარმოდგენილი საბანკო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, სექტორის დაფინანსებასთან დაკავშირებული არსებული სიახლეების და გამოწვევების (მათ შორის, სესხების ხელმისაწვდომობა და პროცედურები, საპროცენტო განაკვეთები, მომსახურების სტანდარტები, და სხვ.) განხილვის მიზნით

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ბიზნეს ფორუმები ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესებისა და რეგიონში წარმოდგენილი საბანკო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით ძალზე იშვიათი იყო	0,4

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
0	0	0	0	1	0	2

7.2.6. ინფორმაციის გავრცელება რეგიონში შემოსული ახალი ან პოტენციური უცხოური ინვესტიციების შესახებ

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში შემოსული ახალი ან პოტენციური უცხოური ინვესტიციების შესახებ ხდებოდა ინფორმაციის გავრცელება ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით, სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების* ვებ-გვერდით	3

*გარდა დმანისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებისა

7.2.7. ინფორმაციის გავრცელება მიმდინარე და ახალი სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამებისა თუ ეკონომიკური/ინფრასტრუქტურული ინიციატივების შესახებ

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, ცალკე - სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის ვებ-გვერდისა და ცალკე - ვებ-გვერდების მიხედვით, მუნიციპალიტეტებისათვის ამ პარამეტრით მიკუთვნებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

შეფასება	ქულა
სამხარეო ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე არის ცალკე გვერდი მიმდინარე და ახალი სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამებისა თუ ეკონომიკური/ინფრასტრუქტურული ინიციატივების შესახებ ²⁵	3

სახელმწიფო პროგრამებთან წვდომის ამაღლების თვალსაზრისით ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტომ განახორციელა ასზე მეტი შეხვედრა, როგორც ადგილობრივ მოსახლებასთან, ასევე რეგიონით დაინტერესებულ საქართველოს უცხოელ ინვესტორებთან თუ ინტერეს ჯგუფებთან. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულ იქნა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული საგრანტო თუ სხვა ტიპის ხელშემწყობ პროგრამებთან წვდომაზე მაგალითად როგორცაა: „დანერგე მომავალი“, მცირე გრანტები, უმასპინძლე საქართველოში, აწარმოე საქართველოში და სხვა.

შეფასება	ქულა
მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე განთავსებულია ინფორმაციები მიმდინარე და ახალი სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამებისა თუ ეკონომიკური/ინფრასტრუქტურული ინიციატივების შესახებ	2

ამოცანა 7.3. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფუძნების მხარდაჭერა

7.3.1. მეწარმეობის, მომსახურების, ვაჭრობის, ხელოსნობის და სხვა ტიპის მცირე ბიზნესების განვითარების აქტიური სტიმულირება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, სსიპ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების

²⁵ <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100444>; <http://kvemokartli.gov.ge/news/society/100361>

განვითარების სააგენტოდან და ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სახელმწიფო რეგიონში ატარებს ეფექტურ პოლიტიკას რეგიონში მეწარმეობის, მომსახურების, ვაჭრობის, ხელოსნობის და სხვა ტიპის მცირე ბიზნესების განვითარების აქტიური სტიმულირების მიზნით	3

პროგრამით „აწარმოე საქართველოში“ ქვემო ქართლის მეწარმეებზე გაცემული მიკროგრანტები

მუნიციპალიტეტი	გრანტის მოცულობა (ლარი)	ინვესტიციის მოცულობა (ლარი)	დაფინანსებული პროექტის რაოდენობა	არსებული პროექტის გაფართოება	სტარტაპი
ბოლნისი	255,275	316,610	40	26	14
გარდაბანი	456,782	580,404	49	25	24
დმანისი	195,000	241,710	26	15	11
თეთრიწყარო	782,221	951,397	93	52	41
მარნეული	887,982	1,110,238	117	67	50
რუსთავი	409,000	511,865	45	19	26
წალკა	393,800	506,196	50	29	21
სულ	3,380,060	4,218,419	420	233	187

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2016-17 წლებში პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ჰქონდა კომპონენტი მაღალმთიან დასახლებებში არსებული ბიზნესების წასახალისებლად, რისთვისაც ყოველწლიურად სახელმწიფო გამოყოფდა 10 მლნ. ლარს მთის განვითარების ფონდიდან. პროგრამის ეს კომპონენტი მოიცავდა, მათ შორის, ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე 164 დასახლებასაც.

„აწარმოე საქართველოში“ მაღალმთიანი კომპონენტით ქვემო ქართლში გაცემული მიკროგრანტები

სექტორები	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	გაცემული თანხა
სოფლის მეურნეობა-გადამამუშავებელი	14	150,000
სოფლის მეურნეობა-პირველადი	9	70,000
მომსახურეობა	9	90,000
სასტუმრო	7	70,000
წარმოება	4	45,000
კვების მრეწველობა	4	35,000
საფეიქრო/სამკერვალო მრეწველობა	2	6,500
ვაჭრობა	2	15,000
დასვენება/გართობა/ტურიზმი	1	10,000
სულ, 2016	52	491,500

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ქვემო ქართლში ამოქმედდა 20 ახალი და გადაიარაღდა 131 საწარმო; მაგალითად, ამ პროექტის ფარგლებში, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ბენეფიციარმა შალვა ბოსიკაშვილმა, **მარნეულის მუნიციპალიტეტის** სოფელ შაუმიანში 3 ჰა მიწის ფართობზე არსებული მეურნეობისთვის, ახალი ტრაქტორისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად 14 720 ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღო. შალვა ბოსიკაშვილს 3 ჰა მიწის ფართობზე მაცვლის ბაღი აქვს გაშენებული.²⁶

²⁶ <http://marneuli.gov.ge/arqivi/siaxleebi/1686-ertiani-agroproeqtis-farglebshi-fermerma-sasoflosameurneo-teqnika-sheidzina.html>

გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთში რძის გადამამუშავებელი ახალი საწარმო - შპს „თელეთის ყველის სახლი“ გაიხსნა.²⁷

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანეთში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემნახველი საწარმო - შპს „მზიანი მოსავალი“ გაიხსნა. კომპანია „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ბენეფიციარია. საწარმოში ჯამურად 660 388 აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 250 000 აშშ დოლარი გრანტია, ხოლო 330 194 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.²⁸



შპს „მზიანი მოსავალი“, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ს.სავანეთი²⁹

ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ ქვემო ქართლში განახორციელა შემდეგი პროექტები:

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი პროექტის მიზანი იყო სოფლად მცხოვრები ფერმერებისა და გლეხებისათვის, რომლებიც წლების მანძილზე მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებას ვერ ახერხებდნენ, ხვნის პროცესში დახმარება. პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ფერმერებმა და გლეხებმა სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; პროგრამის ფარგლებში დამზადდა საბანკო ბარათი, ე.წ. „აგრობარათი“. ოთხწლიანი პროგრამის განხორციელების შედეგად, პრაქტიკულად მიტოვებულ, ყამირად ქვეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდათ. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში ბენეფიციართათვის გამოყოფილი სარგებელი: 2016 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში ქვემო ქართლის რეგიონში განისაზღვრა 96,062 ბენეფიციარი. 2016 წელს ბენეფიციარებმა მიიღეს **5,014,990** ლარის

²⁷ <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100269>

²⁸ <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100247> <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100143>

²⁹ <http://www.prof->

[news.com/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A/](http://www.prof-news.com/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A/)

ღირებულების სარგებელი. დამუშავდა 19,288 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. 2015 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში განისაზღვრა 95,469 ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს **4,965,335** ლარის ღირებულების სარგებელი. ჯამში დამუშავდა 19,773 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2013-2017 წლებში გაცემული სესხები პროექტის მიზანი: აგროსექტორით საბანკო სისტემის დაინტერესება და მათი პროექტში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიღწევას, რამაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. დღეისათვის „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტში“ 13 ბანკი და 2 სალიზინგო ორგანიზაციაა ჩართული. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2015-2017წწ. მდგომარეობით ქვემო ქართლის რეგიონში გაიცა:

- საბრუნავი საშუალების მიზნობრიობით **4,258,500** ლარის ღირებულების 116 სესხი; **293,788** დოლარის ღირებულების 1 სესხი;
- ძირითადი საშუალების მიზნობრიობით **46,041,685** ლარის ღირებულების 499 სესხი; **9,456,696** დოლარის ღირებულების 101 სესხი.

აგროდაზღვევის პროგრამა. პროექტის მიზანი: აგრარულ სექტორში წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა დარგში აგროდაზღვევის კომპონენტის დანერგვას გულისხმობს. აგროდაზღვევის პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა. ქვემო ქართლის რეგიონში 2015-2017 წწ. გაცემულია 942 პოლისი. დაზღვეულ იქნა 7,765,931 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. სულ დაზღვეულია 2,762 ჰა მიწის ფართობი. ჯამში სააგენტოს სუბსიდიის თანხამ შეადგინა **431,620** ლარი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი პროექტის მიზანი: საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება. 2015-2017 წწ. ქვემო ქართლის რეგიონში დამტკიცებულია 2 პროექტი გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში - ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 812,790 აშშ დოლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა **325,116** აშშ დოლარი. დამტკიცებულია 2 პროექტი შემნახველი საწარმოების კომპონენტში - ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 660,388 აშშ დოლარი და 1,020,616 ლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა **250,000** აშშ დოლარი და **510,308** ლარი.

2015-2017 წლებში საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 970 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის ქვემო ქართლის რეგიონში 101.

2015-2017 წლებში „**მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის**“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედ 12 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს თანადაფინანსებით მიღებული აქვს 998 სკა, 4 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი), 4 კოოპერატივიდან თითოეულს 2200 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ავზები და 3 კოოპერატივს 3 ერთეული ფიჭის ასათლელი დანა. პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო კონტრიბუციამ შეადგინა **118,172** ლარი.

2015-2017 წლებში „**რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის**“ ფარგლებში 2 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელშიც გაერთიანებულია ჯამში 47 ადგილობრივი ფერმერი, (მობილიზებული ფურების რაოდენობა 772 შეადგენს) გადაეცა სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებგადამამუშავებელი აღჭურვილობა და ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მიიღეს ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობას. პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო კონტრიბუციამ შეადგინა **333,437** ლარი.

„**მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების**“ სახელმწიფო პროგრამაში ქვემო ქართლის რეგიონის 3 მუნიციპალიტეტიდან ჩართულია 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მათ 25 წლიანი იჯარით გადაეცემათ სათიბ-სამოვრები და საქონლის საკვებწარმოებისათვის თანადაფინანსებით ტრაქტორები გუთნით, როტაციული და სეგმენტური სათიბელათი, ფოცხით, მოთიბული მასის დამწნეხით და მისაბმელით ტვირთის ტრანსპორტირებისათვის. 2017 წელს პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო კონტრიბუციამ შეადგინა **407,445** ლარი.

7.3.2. მიწის მესაკუთრეობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მოგვარება (რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფერმერულ თუ სხვა სახის ბიზნესებში ბრუნვის გაზრდას, გამსხვილებას, რეინვესტირებასა და გარე ინვესტიციებს)

ფასდება 5.5. ამოცანის შესრულების შეფასებისას

7.3.3. საინვესტიციო პაკეტის მომზადება სავაჭრო ცენტრების გახსნაზე ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში, მაგისტრალური გზების გასწვრივ მშენებლობის სტადიაზე

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ღია წყაროებიდან³⁰ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში სავაჭრო ცენტრების გახსნაზე საინვესტიციო პაკეტის მომზადება არ მოხდარა	0

7.3.4. თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების წახალისება რეგიონის მუნიციპალურ ცენტრებში

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
მუნიციპალურ ცენტრებში სავაჭრო ქსელების განვითარების წახალისების მიზნით მონიტორინგის პერიოდში, მირითადად, დაიგემა ღონისძიებები	0,7

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
3	1	1	0	0	0	0

³⁰ www.mcageorgia.ge/

7.3.5. ლოჯისტიკური ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, რაც დაეხმარება მცირე და საშუალო მეწარმეებს საკუთარი პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ლოჯისტიკური ცენტრების შექმნის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

7.3.6. პარტნიორობის განვითარება ადგილობრივ მეწარმეებს შორის სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში და ხელოსნობაში/გამოყენებით ხელოვნებაში

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში და ხელოსნობაში/გამოყენებით ხელოვნებაში ადგილობრივ მეწარმეებს შორის პარტნიორობის განვითარების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

7.3.7. თაფლის, ბოსტნეულის, შალის გადამამუშავებელი საწარმოების გახსნის მხარდაჭერა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით (იხ.ამოცანა 7.3.1.)

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში მიმდინარეობდა თაფლის, ბოსტნეულის, შალის გადამამუშავებელი საწარმოების გახსნის მხარდაჭერის ღონისძიებები	2

7.3.8. სამშენებლო და სარემონტო საწარმოების განვითარების მხარდაჭერა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით (იხ.ამოცანა 7.3.1. და 7.3.11)

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში დაიწყო/მიმდინარეობდა სამშენებლო და სარემონტო საწარმოების განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებები	2

7.3.9. ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებასა და ახალი ბაზრების მოძიებაში; ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრების გამოკვლევაში ხელშეწყობა; ადგილობრივი პროდუქციის გამოფენების მოწყობა სხვადასხვა ქვეყნებში

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს. .

შეფასება	ქულა
სხვადასხვა ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქციის გამოფენების მოსაწყობად მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

შეფასება	ქულა
----------	------

მონიტორინგის პერიოდში რეგიონში წარმოებული პროდუქციისთვის ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრების გამოკვლევა არ მომხდარა, ადგილობრივი ბიზნესების უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირების ხელშეწყობისთვის ღონისძიებები არ ჩატარებულა	0
---	---

7.3.10. მცირე და საშუალო ბიზნესებსა და მსხვილ სამეწარმეო სუბიექტებს შორის პარტნიორობის ხელშეწყობა ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა აქტივობები მცირე და საშუალო ბიზნესებსა და მსხვილ სამეწარმეო სუბიექტებს შორის პარტნიორობის ხელშეწყობის მიზნით, ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად	2

7.3.11. პრიორიტეტულ სექტორებში, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სუბსიდირებული სესხების გაცემის წახალისება-მხარდაჭერის შესაძლებლობათა შესწავლა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ხდებოდა პრიორიტეტულ სექტორებში, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხების გაცემის წახალისება-მხარდაჭერა	3

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სამრეწველო კომპონენტით მხარდაჭერილია ქვემო ქართლის 19 მცირე და საშუალო საწარმოს მიერ სესხის მიღება. ინვესტიციამ 40,854,167 ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტი	წარმოებული პროდუქცია	ახალი/გაფართოება	ინვესტიცია (ლ)	დასაქმება
ბოლნისი	ტუფის, კირქვის ლოდები და ფილები	ახალი	1,315,000	35
გარდაბანი	ქლორისა და კაუტიკური სოდის წარმოება	ახალი	500,000	19
გარდაბანი	დაუმუშავებელი ალუმინის წარმოება	გაფართოება	3,204,686	40
გარდაბანი	ღვინის რეზერვუარების წარმოება	გაფართოება	350,000	10
გარდაბანი	საცხოვრებელი და სასადილო ოთახებისთვის ხის ავეჯის წარმოება	გაფართოება	1,922,000	38
გარდაბანი	ასფალტის წარმოება	გაფართოება	3,379,800	40
გარდაბანი	პლასტმასის სათლებს, ჭურჭლის და სხვა მასალის წარმოება	გაფართოება	264,000	5
გარდაბანი	გლინულა (კატანკა) წარმოება	გაფართოება	3,400,000	10
გარდაბანი	ბლოკის წარმოება	გაფართოება	940,500	28
მარნეული	გადახურვის მასალების წარმოება	გაფართოება	268,800	14
რუსთავი	სამშენებლო მასალის, დათბუნებული გადახურვის მასალების და კედლის პანელების წარმოება, სენდვიჩპანელი+EPS.	ახალი	4,800,000	60
რუსთავი	ცემენტის წარმოება	ახალი	400,000	12
რუსთავი	არმატურის,შველერისა და კუთხოვანას წარმოება	ახალი	3,600,000	100
რუსთავი	ბაზალტის არმატურის წარმოება	ახალი	2,300,000	12
რუსთავი	ლითონის კონსტრუქციის, ხიდების, გვირაბების წარმოება	გაფართოება	424,800	90

რუსთავი	LED ტელევიზორი TV 32'-40', ეკონომ ნათურები, OTT Box (myvideoTVbox)	გაფართოება	4,800,000	15
რუსთავი	პორტლანდ ცემენტის სახეობის 300 400 და 500 მარკის დაფასოებული და ნაყარი ცემენტი	ახალი	1,809,581	22
რუსთავი	მძიმე მრეწველობა, შავი მეტალურგია, არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმის წარმოება, მანგანუმი და მისი ნაწარმი ნარჩენებისა და ჯართის ჩათვლით.	ახალი	4,675,000	90
რუსთავი	პლასტიკური ბოთლების ნახევარფაბრიკატები	ახალი	2,500,000	30

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

7.3.12. რეგიონში მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციების ქსელის გაფართოების წახალისება და ხელშეწყობა

რეგიონში მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციების ქსელის გაფართოების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვარწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონში მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციების ქსელის გაფართოების წახალისებისა და ხელშეწყობის ღონისძიებები მონიტორინგის პერიოდში არ განხორციელებულა	0

7.3.13. რეგიონში სადაზღვევო მომსახურების განვითარება-სრულყოფის ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა პრიორიტეტულ სექტორებში, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სუბსიდირებული სესხების გაცემის წახალისება-მხარდაჭერის შესაძლებლობების შესწავლა	1

7.3.14. მუნიციპალური და თემის სოციალ-კულტურული მომსახურების განვითარების ხელშეწყობა არ ფასდება ამოცანის ძალზე ზოგადი ფორმულირების გამო.

7.3.15. სახელობო და პროფესიული განათლების მხარდაჭერა პროფესიული გადამზადების ცენტრებსა და დამსაქმებლებს შორის დიალოგის წახალისებით, საჭიროებებზე მორგებული კურიკულუმის განვითარებითა და სათანადო სასწავლო პირობების შექმნით.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ხდება სახელობო და პროფესიული განათლების მხარდაჭერა პროფესიული გადამზადების ცენტრებსა და დამსაქმებლებს შორის დიალოგის წახალისებით, საჭიროებებზე მორგებული კურიკულუმის განვითარებითა და სათანადო სასწავლო პირობების შექმნით.	3


მიზანი 8: ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის განვითარება

შეფასება მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 3 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 5 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 24 (100%).

მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა და ამოცანების შესრულება შეფასდა **13 ქულით (54%)**.

მიზნის მიღწევის შეფასებისთვის მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2016 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %-ით	ქულა
ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა (ფიქსირებულ აქტივებში)	2.8	9.4	+ 236 %	3
დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში	54.0	130.8	+ 142 %	3
ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში ბრუნვის მოცულობის დინამიკა	697.2	1410.4	+ 102 %	3



მაჩვენებელი	2013 (მლნ.ლარი)	2014 (მლნ.ლარი)	2015 (მლნ.ლარი)	2016 (მლნ.ლარი)	2017 (მლნ.ლარი)
ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში განხორციელებული ინვესტიციები (ფიქსირებულ აქტივებში)	2.8	8.4	8.8	8.5	9.4
დამატებული ღირებულების მოცულობა ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში	54.0	82.8	91.9	110.3	130.8
ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში ბრუნვის მოცულობა	697.2	785.1	972.4	1200.4	1410.4

ამოცანების შესრულება

8.1. საერთაშორისო სავაჭრო-პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების მხარდაჭერა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონის ბიზნესის საერთაშორისო სავაჭრო-პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების მხარდაჭერის მიმართულებით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

8.2. საზღვრისპირა სავაჭრო ურთიერთობების წახალისება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონის საზღვრისპირა სავაჭრო ურთიერთობების წახალისების მიმართულებით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

8.3. ელექტრონული ვაჭრობის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონში ელექტრონული ვაჭრობის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

8.4. ლოჯისტიკური-სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობების განვითარებისა და გაფართოების წახალისება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში გატარდა ღონისძიებები რეგიონში ლოჯისტიკური-სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობების განვითარებისა და გაფართოების წახალისების მიზნით	2

ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი სამაცივრე და შესანახი მეურნეობები, 2017

N	ადმინისტრაციული ერთეული	მეურნეობის ტიპი	რა სახის პროდუქციის შენახვა არის შესაძლებელი	წარმადობა მაქს. ატვირთვის შემთხვევაში (ტონა), 2017
1	მარნეული	სამაცივრე მეურნეობა	ხილ-ბოსტანი	3054
2	გარდაბანი	სამაცივრე/სასაწყობე	ბოსტნეული, ხილი, კვერცხი	940
3	თეთრიწყარო	სამაცივრე	კენკროვანი კულტურები	6
4	ბოლნისი	სამაცივრე მეურნეობა	ბოსტნეული და ხილი	1885
5	დმანისი	სასაწყობე	კარტოფილი, მარცვლეული	1760
6	წალკა	სასაწყობე მეურნეობა	ბოსტნეული, მარცვლეული	8200
სულ				15845

წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

8.5. მომსახურების სფეროში დასაქმებული პერსონალის (განსაკუთრებით სასტუმროებსა და რესტორნებში) კვალიფიკაციის ამაღლების მხარდამჭერ ღონისძიებათა ორგანიზება და წახალისება, - როგორც ტექნიკური კუთხით, ასევე ინგლისური ენის საკომუნიკაციო დონეზე შესწავლის მიმართულებით, რათა გაუმჯობესდეს რეგიონში ჩამოსულ სტუმართა, ვიზიტორთა და ტურისტთა მომსახურების ხარისხი; აღნიშნული მიზნით, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებების, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამის ინიციატივათა კოორდინაცია.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა რეგიონში მომსახურების სფეროში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მხარდამჭერი ღონისძიებები	2

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ 2017 წელს ქ.თეთრიწყაროში ჩატარდა ინგლისური ენის კურსები.

მიზანი 9: ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება

მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა მიზნის მიღწევის (შედეგების) 6 რაოდენობრივი და ამოცანის შესრულების 29 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 105 (100%).

მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა და ამოცანების შესრულება შეფასდა **46,4 ქულით (44 %)**.

მიზნის მიღწევის შეფასებისთვის მონაცემების აღება მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2015	2017	ზრდა/კლება, %	ქულა
შიდა ტურიზმი: 15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორების რაოდენობის დინამიკა	57.4	55.0	- 4,2 %	0
უცხოელი ტურისტები: 15 წლის და უფროსი ასაკის უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის დინამიკა	80,4	100,3	+ 24,8 %	1

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %	ქულა
ტურისტების განთავსების ობიექტებში საწოლი ადგილების რაოდენობის დინამიკა	500	548	+ 9,6 %	1

შიდა ტურიზმი: 15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, ათასი												
რეგიონი	წლიური, 2015				წლიური, 2016				წლიური, 2017			
	ვიზიტორების რ-ბა	%	ვიზიტების რ-ბა	%	ვიზიტორების რ-ბა	%	ვიზიტების რ-ბა	%	ვიზიტორების რ-ბა	%	ვიზიტების რ-ბა	%
ქვემო ქართლი	57,4	6,8	68,9	6,7	61,1	7,0	75,5	7,0	55,0	6,3	68,8	6,5
სულ საქართველო	840,3	100	1 034,1	100	877,0	100	1085,9	100	867,5	100	1057,9	100

წყარო: საქსტატი

15 წლის და უფროსი ასაკის უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, ათასი						
რეგიონი	წლიური, 2015		წლიური, 2016		წლიური, 2017	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ქვემო ქართლი	80,4	14,8	86,8	14,0	100,3	12,9
სულ საქართველო	541,9	100,0	619,7	100,0	779,3	100,0

წყარო: საქსტატი

ქვემო ქართლი	განთავსების ობიექტების რაოდენობა	საწოლი ადგილები
2013	18	500
2014	18	539
2015	18	539
2016	16	555
2017	16	548

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

კრიტერიუმი	2013 (მლნ.ლარი)	2016 (მლნ.ლარი)	ზრდა/კლება, %	ქულა
სასტუმროებისა და რესტორნების ინვესტიციების დინამიკა ფიქსირებულ აქტივებში	19.7	1.1	- 94 %	-3
სასტუმროებისა და რესტორნების დამატებული ღირებულების მოცულობის დინამიკა	3.2	11.7	+ 265 %	3
სასტუმროებისა და რესტორნების ბრუნვის მოცულობის დინამიკა	11.6	21.1	+ 81 %	3

წყარო: საქსტატი

წელი	ინვესტიციები სასტუმროებსა და რესტორნებში (ფიქსირებულ აქტივებში)		სასტუმროებისა და რესტორნების დამატებული ღირებულების მოცულობა მლნ. ლარი		სასტუმროებისა და რესტორნების ბრუნვის მოცულობა, მლნ. ლარი	
	საქართველო - სულ	ქვემო ქართლი	საქართველო - სულ	ქვემო ქართლი	საქართველო - სულ	ქვემო ქართლი
2013	112.3	19.7	296.4	3.2	779.6	11.6
2014	103.4	0.1	327.3	4.6	832.8	16.3
2015	204.0	0.9	416.7	7.3	1057.1	22.4
2016	227.6	0.2	608.0	7.9	1325.3	17.0
2017	...	1.1	...	11.7	1559.9*	21.1

წყარო: საქსტატი

ქვემო ქართლის სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა რაოდენობა 2013-2017 წლებში იხ. **N6 დანართში**.

ამოცანების შესრულება

ამოცანა 9.1. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

9.1.1. კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაცია, მათი დაცვა და მოვლა (საქართველოს კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით)

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა რეგიონის ცალკეული კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაციის, რესტავრირებისა და სათანადოდ მოვლის ღონისძიებები	1

მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა რეგიონის ცალკეული კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაციის, რესტავრაციისა და სათანადოდ მოვლის ღონისძიებები, 2014-2017 წლებში დახარჯული თანხა შეადგენს 203970 ლარს: განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ბოლნისის მუნიციპალიტეტში: ბოლნისის სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა გეოფიზიკური მეთოდით, აკვანებას წმინდა ბარბარეს ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება, სოფელ ჭაფალასა და სავანეთის სასაფლაოებზე არსებული მავზოლეუმების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, სათხეს ეკლესიის რეაბილიტაციის წინასაპროექტო კვლევა, სოფ. ხახალაჯვარის დარბაზული ეკლესიის რესტავრაციის პროექტი; სათხის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში: ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, სამშვილდის ნაქალაქარის კომპლექსური ძეგლის კვლევების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, ფიტარეთის ტაძრის მცირე რეაბილიტაცია (I ეტაპი);



ფიტარეთის ტაძარი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

დმანისის მუნიციპალიტეტში: აბულმუგის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, წოფის დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი;

წალკის მუნიციპალიტეტში: ავრანლოს კომპლექსური ძეგლების კვლევების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, სოფ. თრიალეთის ლუთერანული ეკლესიის მცირე რეაბილიტაციის პროექტი;

მარნეულის მუნიციპალიტეტში: წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი, სოფ.თაზაქენდი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი, ოფრეთის ხიდის რეაბილიტაციის პროექტი.

9.1.2. სათანადო ხარისხისა და რაოდენობის, სასტუმროების, რესტორნების, კაფეების, სწრაფი კვების ობიექტების, კემპინგის პუნქტების, განათების სისტემების, საზოგადოებრივი საპირფარეშოების, მანქანების პარკირებისა და სუვენირების მაღაზიების მოწყობის წახალისება-ხელშეწყობა ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
სათანადო ხარისხისა და რაოდენობის სასტუმროები, რესტორნების, კაფეები, სწრაფი კვების ობიექტები, კემპინგის პუნქტები, განათების სისტემები, საზოგადოებრივი საპირფარეშოები, მანქანების პარკირებისა და სუვენირების მაღაზიები მოწყობილია რეგიონის ცალკეული ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო	0,7

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
2	0	1	1	0	0	1



სასტუმრო და რესტორანი „გერმანული წისქვილი“, ქ. ბოლნისი

9.1.3. ნამდვილი სოფლის სახლების საოჯახო სასტუმროებად გადაქცევის ხელშეწყობა მცირე და მოშორებულ მთიან რეგიონებში, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებასთან ერთად

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონის მაღალმთიან დასახლებებში სოფლის სახლების საოჯახო სასტუმროებად გადაქცევის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

9.1.4. მონადირეებისა და მეთევზეებისთვის ქოხების, რეკრეაციული პავილიონებისა და თავლების აშენების ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
მონადირეებისა და მეთევზეებისთვის ქოხების, რეკრეაციული პავილიონებისა და თავლების აშენების ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	0

9.1.5. ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი ადგილობრივი გზებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ტურისტული მნიშვნელობის ისტორიულ-კულტურულ ძეგლების მცირე ნაწილთან მისასვლელი ადგილობრივი გზები და ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილია	1,2

გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
1	2	2	0	0	2

9.1.6. მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ქალაქებში, სოფლებში გზებზე და მაგისტრალ-ტრასებზე ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე ქუჩების სახელდებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშების და აზრების დამონტაჟება ქართულ და ინგლისურ ენებზე

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ქალაქების, სოფლების, გზებისა და მაგისტრალ-ტრასების მცირე ნაწილზე დამონტაჟებულია ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნები, ასევე ქუჩების სახელდებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშები და აზრები ქართულ და ინგლისურ ენებზე	1

ბოლნისსა და თეთრიწყაროში დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, რომელშიც განთავსებულია ქალაქისა თუ რეგიონის რუკა და ინფორმაცია აქ სანახავ ტურისტულ ობიექტებზე.

9.1.7. მუნიციპალური ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) დაფების მოწყობა, რათა ტურისტებს გაუადვილდეთ გადაადგილება რეგიონის ტერიტორიაზე.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მუნიციპალური ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) დაფების მოწყობის მიმართულებით ღონისძიებები არ გატარებულა	0

ამოცანა 9.2. პროგრამული ინიციატივების და მათი განხორციელების მხარდაჭერა

9.2.1. ტურიზმის განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება (რომელიც განსაზღვრავს და დააკონკრეტებს ამ სფეროს განვითარების ადგილობრივ პრიორიტეტებს)

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
მიმდინარეობს მუშაობა ტურიზმის განვითარების მუნიციპალური პროგრამებზე	1

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
2	2	1	1	0	1	0

9.2.2. რეგიონის და მისი მუნიციპალიტეტების ჭრილში, ტურისტული პოტენციალის პერიოდული შესწავლა, ტურისტული ნაკადების სათანადო აღრიცხვისა და ინფორმაციის შეგროვების სისტემის შექმნის მხარდაჭერა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ტურისტული პოტენციალის პერიოდული შესწავლა, ტურისტული ნაკადების სათანადო აღრიცხვა მოხდა რეგიონის და მისი მუნიციპალიტეტების ჭრილში, შექმნილია ინფორმაციის შეგროვების შესაბამისი სისტემა მუნიციპალიტეტების დონეზე	3

საქსტატის მიერ ხორციელდება საერთაშორისო და შიდა ვიზიტორების კვლევა, რომლის ფარგლებშიც ხელმისაწვდომია ინფორმაცია ქვემო ქართლში ტურისტული ნაკადების შესახებ კვარტალურ ჭრილში.

მუნიციპალიტეტებში სპეციალური სამუშაო ჯგუფების მიერ მოხდა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ლოკაციების, სასტუმროების, კვების და განთავსების ობიექტების სრული აღწერა. სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივით მომზადდა მასშტაბური საინფორმაციო ბაზა რეგიონის ტურისტული ლოკაციების, მათი მდგომარეობის, მუნიციპალიტეტებში განთავსების ობიექტების მითითებით და გადაეცათ ტუროპერატორებს. 2017 წელს შეიქმნა „ქალაქ რუსთავს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა და მონაცემთა ბაზა“.

9.2.3. ტურიზმის, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობების (ინფრასტრუქტურა, კადრები, წარმოება, მომსახურება, კლასტერიზაცია, და სხვ.) სათანადო შესწავლა და გამოკვეთა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
----------	------

რეგიონში ტურიზმის, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები ნაწილობრივ არის შესწავლილი	2
---	---

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ქვემო ქართლის ტურისტული რესურსების კვლევა/ინვენტარიზაცია, რომლის ფარგლებშიც შეფასებულ იქნა რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობა, ასევე აღრიცხული იქნა ბუნებრივი ძეგლები. კვლევაზე დაყრდნობით განისაზღვრა მიმართულებების განვითარების სახეობები.

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო ამჟამად მუშაობს ქვემო ქართლის რეგიონის ტურიზმის კონცეფციაზე, რისი მიზანიცაა ქვემო ქართლის რეგიონის ცნობადობის ამაღლება და ისეთი გზამკვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოს აღმასრულებელ დირექტორს შეხვედრები ჰქონდა ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან, სადაც გადაწყდა რომ ერთობლივად იმუშავენ ქვემო ქართლის რეგიონის ტურიზმის განვითარების კონცეფციის შექმნასა და განხორციელებაზე.

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ქვემო ქართლში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრები გაიმართა როგორც ტურიზმის დეპარტამენტში, ასევე ქვემო ქართლის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რომლის მიხედვითაც მომზადდა დოკუმენტი ტურიზმის მიმართულებით არსებულ პრობლემატიკის აღმოფხვრისა და ხელშეწყობის კუთხით.

სააგენტოს მიერ მომზადდა და ვებგვერდზე ინგლისურ და ქართულ ენებზე განთავსდა ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული პოტენციალის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, რაც ასევე ჩვენი რეგიონის ცნობადობის ასამაღლებლად საგარეო საქმეთა სამინისტროს წარედგინა უცხოეთში დიპლომატიური მისიებისათვის გასაცნობად. ამავე გვერდზე განვათავსეთ ქვემო ქართლში მდებარე ეკლესია-მონასტრების ამსახველი რუქა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

9.2.4. ტურიზმის სხვადასხვა სახეების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ამ კუთხით, გარდაზნის ალკვეთილისა და მასთან მიმდებარე ტერიტორიების, ასევე, ალგეთის ეროვნული პარკის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა ღონისძიებები გარდაზნის ალკვეთილისა და მასთან მიმდებარე ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის გამოყენების მიმართულებით	2

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა ღონისძიებები ალგეთის ეროვნული პარკისა და მასთან მიმდებარე ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის გამოყენების მიმართულებით	2

9.2.5. ტურისტული სააგენტოების, შესაბამისი კადრების და რეგიონში ტურისტული ნაკადების ორგანიზებული შემოდინების ხელშეწყობა; პარტნიორობის დამყარება ტურისტულ სააგენტოებთან, სავაჭრო პალატებთან და სხვა ბიზნეს ორგანიზაციებთან

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ტურისტული ნაკადების ორგანიზებული შემოდინების ხელშეწყობის მიზნით ტურისტულ სააგენტოებთან, სავაჭრო პალატებთან და სხვა ბიზნეს ორგანიზაციებთან პარტნიორობის დასამყარებლად მონიტორინგის პერიოდში მუნიციპალიტეტების უმრავლესობას ღონისძიებები არ განუხორციელებია	0,6

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
0	0	1	0	0	3	0

9.2.6. რეგიონში ტურისტული მარშრუტების აღდგენა და ტურისტული ქსელის გაუმჯობესება; ქვემო ქართლის ტრადიციული ტურისტული მარშრუტების აღდგენის გეგმის (ქვემო ქართლის ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მარშრუტები, დაწყებული თბილისში) და კონკრეტული ტურისტული მარშრუტების შემუშავება რეგიონში ტურიზმის მოცულობის თანაბრად განაწილებისთვის

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, სამხარეო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში აღდგენილია ტრადიციული ტურისტული მარშრუტები და შემუშავებულია ახლები; მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ტურისტული ქსელი	3

მოკვლევულ იქნა ქვემო ქართლის საფეხმავლო ბილიკები, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეკომენდირებული ბილიკების იდენტიფიცირება. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბილიკების მარკირება, რაც გულისხმობს მათ აღჭურვას საინფორმაციო დაფით (დატანილი იქნება ბილიკის სირთულე, აღწერა, ლაშქრობისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები), მიმართულების მანიშნებლებით და ნიშნულებით.

მონიტორინგის პერიოდში რეგიონში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები ტურისტულ ლოკაციებზე, მოხდა ახალი მარშრუტების შემუშავება. მაგალითად, მოეწყო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე დაშბაშის კანიონთან მისასვლელი გზა და განათებები; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში განხორციელდა მასშტაბური აღდგენითი სამუშაოები; მარნეულის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალი ველომარშრუტები.

9.2.7. ტურისტული პაკეტის ელემენტების ვიზუალური დამუშავების მხარდაჭერა, რაც შეიძლება მოიცავდეს ბუნებრივ სანახაობას, რეკრეაციულ ცენტრებს, ეკოლოგიურ მარშრუტებს, თავშესაფრებს, კულტურულ-ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, ეთნოგრაფიულ კოლექციებს, სახვითი ხელოვნების ცენტრებს, ტრადიციულ ფესტივალებს, ბაზრობებს და სხვ.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ტურისტული პაკეტის ელემენტების დამუშავდა ვიზუალურად: შეიქმნა ბუკლეტები, გზამკვლევები, ვიდეორგოლები და მისთ.	3

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადდა ორი ვიდეო კლიპი, რომელიც რეგიონის ტურიზმის პოტენციალს და „გერმანული“ სოფელ ასურეთის ღირშესანიშნაობებს ეხება.

9.2.8. ადგილობრივი ნატურალური პროდუქტების და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაცია; მათი რეკლამირება და მარკეტინგი ვებ-გვერდებით, ბილბორდებით, სარეკლამო ფურცლებით, ბროშურებით, ტურისტული გამოფენებით და სხვ.

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა ცალკეული ღონისძიებები ადგილობრივი ნატურალური პროდუქტების და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციისა და მათი რეკლამირებისათვის	1

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
0	1	1	3	0	2	0

9.2.9. სხვადასხვა სახის და მასშტაბის ტრადიციული სპორტული დღესასწაულების, შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების, კონკურსების, ოლიმპიადების აღდგენა-განვითარების ორგანიზება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
მუნიციპალიტეტების უმრავლესობა რეგულარულად ატარებს სხვადასხვა სახის და მასშტაბის ტრადიციულ სპორტული დღესასწაულებს, შეჯიბრებებს, ფოლკლორულ ფესტივალებს, და ა.შ ტურისტების მოზიდვის მიზნით	2

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
2	2	3	2	1	2	2

9.2.10. ტურიზმის ეფექტური მართვისათვის, პოტენციური სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ათვისება-განხორციელებაში კერძო სტრუქტურების ჩართვა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ აწარმოე საქართველოში-დან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. (იხ.ამოცანა 7.3.1.)

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ხორციელდებოდა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სტრუქტურებისათვის გაიცემოდა გრანტები	2

9.2.11. ტურისტული ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც შესაბამისი პოლიტიკის შექმნაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონის გაზრდა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
----------	------

ადგილობრივი ხელისუფლება ტურიზმის პოლიტიკის შექმნისას ითვალისწინებს მოსახლეობის/ცალკეული მოქალაქეების აზრს ან/და გამოკითხვის შედეგებს	1,4
--	-----

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
2	1	1	3	0	2	1

9.2.12. ახალი ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების გამოვლენა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები ახალი ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების გამოვლენის მიზნით	3

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა შეისწავლეს რეგიონში არსებული პრობლემები ტურიზმის მიმართულებით, რის შედეგადაც შეიქმნა დასურათებული დოკუმენტაცია არსებული და პერსპექტიული ტურისტული მარშრუტებისა და ობიექტების შესახებ, პრობლემების აღმოფხვრისა და გადაჭრის მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით და აღნიშნული დოკუმენტაცია წარედგინა ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას.

პროექტ „ღვინის გზის“ ფარგლებში მოხდა ისეთი ღვინის ობიექტების იდენტიფიცირება, რომლებიც ღვინის წარმოებასთან ერთად მზად არიან ადგილზე უმასპინძლონ ტურისტებს და შეთავაზონ მათ გარკვეული სერვისები (ღვინის დაგემოვნება, რთველში მონაწილეობა, ღვინის დაწურვაში მონაწილეობა, მასტერკლასები და აშ.). ამ ეტაპზე პროექტში ჩართულია 6 ობიექტი. მათთვის დამონტაჟდა „ღვინის გზის“ მანიშნებლები და ამ ობიექტებზე ინფორმაცია შესულია ადმინისტრაციის მიერ მომზადებულ სხვადასხვა სარეკლამო ბეჭდვით მასალებში.

2014-2017 წლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ოპერირებადი **ქვეპროგრამის „ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაცია“** ფარგლებში ქვემო ქართლში შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: არქეოლოგიური გათხრების განახლება ნეოლითური კულტურის ძეგლებზე „გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“ (ძვ. წ. მე-6 ათასწლეული), რომელიც ბოლოს შესრულდა XX საუკუნის 70-იან წლებში, რომელმაც გამოავლინა პირველი სამიწათმოქმედო კულტურის ნაშთები საქართველოში და შემდეგ აღარ გაგრძელდებულა. დაიწყო რა 2014 წელს, დღემდე გრძელდება არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ტორონტოს (კანადა) უნივერსიტეტის არქეოლოგების მიერ, რომლებმაც გათხარეს რამდენიმე ათეული კვადრატული მეტრი ძეგლისა; აღმოაჩინეს, აღწერეს და შეადგინეს დოკუმენტაცია მაშინდელი კულტურის ნაშთების - შენობების, სამეურნეო ნაგებობების,

კერამიკის ნატეხების, მცენარეთა და ცხოველთა ნაშთების შესახებ; შედგენილი იქნა მონაცემთა ელექტრონული ბაზა.



არქეოლოგიური გათხრები „გადაჭრილ გორაზე“, მარნეულის მუნიციპალიტეტი³¹

- განხორციელდა მოპოვებული არქეოლოგიური მასალის რადიოკარბონული დათარიღება ისრაელის ვეისმანის უნივერსიტეტში; არქეობოტანიკური და პალეობოტანიკური მასალის შესწავლა ეროვნული მუზეუმის და საფრანგეთის მონპელის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში; ღვინის ნაშთების ძიება ბიომოლეკულური ანალიზის მეთოდებით აშშ-ს პენსილვანიის უნივერსიტეტისა და ნასას ლაბორატორიებში; ისტორიული კლიმატის რეკონსტრუქცია იტალიის მილანის უნივერსიტეტში; - შეკრებილი სამეცნიერო ინფორმაცია საფუძვლად დაედო რამდენიმე მაღალრეიტინგურ ჟურნალში გამოქვეყნებულ ინგლისურენოვან სამეცნიერო სტატიებს (Maghradze et al. 2016, McGovern et al. 2017, Batiuk et al. 2017, Mariani et al. 2018) და საკონფერენციო მოხსენებებს, სადაც მოხსენიებულია ქვემო ქართლი და იქ განხორციელებული სამუშაოები. მათ შორის McGovern et al. 2017 სტატიამ დაადასტურა, რომ მსოფლიო მეღვინეობის ისტორია იწყებოდა საქართველოში, კერძოდ მარნეულში, 8000 წლის წინ. ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ 2017 წლის 14 ნოემბერს მსოფლიომ გაიცნო საქართველო და მარნეული, როგორც ღვინის სამშობლო, ინფორმაცია გავრცელდა მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალებით და ქართული ღვინო შეტანილი იქნა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც მსოფლიოს უძველესი ღვინო. ამ ფაქტმა უდიდესი როლი ითამაშა რეგიონის ვაზისა და ღვინის პოპულარიზაციაში და ცნობადობის გაზრდაში ღვინის მსოფლიო ბაზარზე.

- მარნეულის მუნიციპალიტთან, ქვემო ქართლის ადმინისტრაციასთან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან და ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით დაიწყო და ავითარებს ნეოლითური კულტურის ძეგლების დაცვის კონცეფციას და მუზეუმის შექმნის იდეას, რომელიც მოწოდებულია შექმნას ნეოლითური პერიოდის პირველი მუზეუმი საქართველოში და ამ კულტურის კვლევის სოლიდური სამეცნიერო ცენტრი რეგიონში. პროგრამის განხორციელების შედეგად უნდა ჩაითვალოს ტორონტოს (კანადა) უნივერსიტეტის მიერ მუდმივმოქმედი არქეოლოგიური სკოლის დაარსება (<https://twitter.com/GadachriliGora>) მარნეულში, ნეოლითური

³¹ <http://kvira.ge/382987>

კულტურის ძეგლების ბაზაზე, სადაც კანადელი სტუდენტები დაეუფლებიან არქეოლოგიის პროფესიას გამოცდილი პროფესორების ხელმძღვანელობით.

- მარნეულის მუნიციპალიტეტთან თანაშრომლობით 2016 წელს დაფუძნდა და ყოველწლიურად შემოდგომაზე იმართება „ღვინის დღის“ დღესასწაული, სადაც ხდება რეგიონში დამზადებული ღვინოების წარდგენა ფართო აუდიტორიისათვის, როგორც ამ რეგიონის მევენახეობა - მეღვინეობის პოპულარიზაციის ერთ-ერთი ღონისძიება.

- ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მარნეულის რაიონის ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა მის მიერ მევენახეობა-მეღვინეობის თემაზე გამოქვეყნებული წიგნები, რითაც ხელი შეუწყო ცოდნის გავრცელებას ამ მიმართულებით. - მარნეულის და თეთრიწყაროში რაიონში აღწერილი იქნა ველური ვაზის - კულტივირებული ვაზის წინაპრის - რამდენიმე პოპულაცია ექსპედიციური კვლევების შედეგად. ამჯერად მიმდინარეობს მათი გამრავლებისა და კოლექციაში დაცვის სამუშაოები. პროგრამას არ გააჩნია ცალკე ბიუჯეტი ქვემო ქართლისათვის. ამ რეგიონში განხორციელებული სამუშაოები გამოდის სააგენტოს შესაბამისი პროგრამის საერთო ბიუჯეტიდან, რომელიც წლების მიხედვით შემდეგი ოდენობის იყო: 310177 ლარი (2014 წელი), 282359 ლარი (2015 წელი), 259617 ლარი (2016 წელი), 153203 ლარი (2017 წელი). პროგრამა გრძელდება 2018 წელს და აგრძელებს წინა წლებში ქვემო ქართლში დაწყებულ აქტივობებს.

9.2.13. მზა საინვესტიციო პაკეტების შეთავაზება ინვესტორებისათვის

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით - საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვაროდეს.

შეფასება	ქულა
ინვესტორებისათვის მზა საინვესტიციო პაკეტების მოსამზადებლად მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

ამოცანა 9.3. ტურისტების მომსახურების დონის ამაღლება

9.3.1. რეგიონში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრ(ებ)ის შექმნა და კეთილმოწყობა; მოგზაურთა სააგენტოებისა და ტურისტული ცენტრების დაარსების მხარდაჭერა ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
4-დან 1 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ტურისტული სააგენტო/ტურისტული ცენტრი	0,75

ქ. ბოლნისში ფუნქციონირებს ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, რომელიც მუდმივად მარაგდება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან ბეჭდური მასალით. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ცენტრის თანამშრომლებს სეზონური უნიფორმებით და ტრენინგებით (მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით), ასევე ხორციელდება ცენტრის საქმიანობის მონიტორინგი.

ქ. მარნეულში 2018 წელს იგეგმება ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის (ჯიხური) მშენებლობა.

9.3.2. ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება; გიდების და სექტორში დასაქმებული სხვა სპეციალიზირებული პერსონალის მომზადება-გადამზადების ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ტარდებოდა ცალკეული ტრენინგები	2

2017 წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ ჩაატარა ინგლისური ენის კურსები ქ.თეთრიწყაროში, 2018 წელს ტრენინგები „საოჯახო სასტუმროს მართვა“ გაიმართა ქ.მარნეულსა და ქ.თეთრიწყაროში

9.3.3. გიდის მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა კვალიფიციური, ენების მცოდნე ეთნოგრაფებითა და სპეციალური წარმოდგენებით

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში ტურიზმის სფეროში კვალიფიციური, ენების მცოდნე ეთნოგრაფების დასაქმების მიზნით მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა ღონისძიებები	2

2017 წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ ქ.თეთრიწყაროში ჩაატარა ტრენინგი: „გიდის უნარ-ჩვევები“.

9.3.4. ტურიზმის სფეროში დაწყები ბიზნესებისთვის (საოჯახო სასტუმროები, ტურ-ოპერატორები და სხვ.) ხელსაყრელი პირობებით ფინანსური კაპიტალის (შეღავათიანი სესხები, გრანტები) ხელმისაწვდომობის წახალისება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ტურიზმის სფეროში დაწყები ბიზნესებისთვის (საოჯახო სასტუმროები, ტურ-ოპერატორები და სხვ.) ხელსაყრელი პირობებით ფინანსური კაპიტალის (შეღავათიანი სესხები, გრანტები) ხელმისაწვდომობის წახალისების მიზნით ტარდებოდა ცალკეული ღონისძიებები	1

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ 2017 წელს ქ.თეთრიწყაროში, ქ.მარნეულსა და ქ.დმანისში ჩაატარა ტრენინგები: აგროტურისტული ობიექტები მართვა და ოპერირება. ტრენინგი: საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშება 2018 წელს ჩატარდა ქ.მარნეულსა და ქ.თეთრიწყაროში (იხ. აგრეთვე ამოცანა 7.3.1.).

9.3.5. მომსახურების ფასისა და მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობის წახალისება-ხელშეწყობა; საუკეთესო ტურისტული ობიექტების, მომსახურების მიმწოდებლების, მენეჯერებისა და პერსონალის გამოვლენა-დაჯილდოება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საჯარო უწყებებმა ინფორმაცია ამოცანის შესრულების თაობაზე ვერ მოგვარდეს.

შეფასება	ქულა
რეგიონში საუკეთესო ტურისტული ობიექტების, მომსახურების მიმწოდებლების, მენეჯერებისა და პერსონალის გამოვლენა-დაჯილდოების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

9.3.6. რეგიონის მუნიციპალიტეტების ცენტრებში დამატებითი ბანკომატების განთავსების ხელშეწყობა ტურისტების საბანკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; ამ კუთხით, ბანკების დაინტერესების წახალისება, და ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საბანკო სექტორის თანამშრომლობის ინიცირება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
რეგიონის მუნიციპალიტეტების ცენტრებში განთავსებულია ქვეყანაში მოქმედი საშუალოდ 1 ან 2 ბანკის ბანკომატები	1,8

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
2	1	3	1	1	1	2

9.3.7. ტურისტული რუკების, გზამკვლელების და ბროშურების მომზადება და გავრცელება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
----------	------

მონიტორინგის პერიოდში დაიბეჭდა და გავრცელდა ტურისტული რუკები, გზამკვლევები	3
--	---

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მომზადდა გერმანულენოვანი ბროშურა საქართველოში არსებულ გერმანულ მემკვიდრეობაზე - „გერმანული დასახლებები საქართველოში“, სადაც შესულია ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით არსებულ , გერმანელების მიერ ჩამოყალიბებულ 23 დასახლებაზე და, მათ შორის, ქვემო ქართლში არსებულ დასახლებებზე (ბოლნისი, ასურეთი, სართიჭალა, მარნეული და სხვ.);

ქვემო ქართლის ღვინის ობიექტებზე ინფორმაცია შესულია ადმინისტრაციის მიერ მომზადებულ ღვინის გზის პროექტის რუკასა და ბროშურაში; ასევე, ქვემო ქართლის გამორჩეული ეკლესია-მონასტრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ადმინისტრაციის მიერ მოზმადებულ კატალოგში „საქართველო მართლმადიდებელი მომლოცველებისათვის“. აღნიშნული მასალა ვრცელდება ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში და საერთაშორისო ტურისტულ გამოფეხა-ბაზრობებზე.

9.3.8. ადგილობრივი სახვითი ხელოვნების ნიმუშებისა და სუვენირების წარმოების მხარდაჭერა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ადგილობრივი სახვითი ხელოვნების ნიმუშებისა და სუვენირების წარმოების მხარდაჭერის მიზნით მონიტორინგის პერიოდში რეგიონში გაიცა ცალკეული გრანტები/კრედიტები	1

ქ.თეთრიწყაროში პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიერ მიკრო გრანტით იქნა მხარდაჭერილი საოჯახო სასტუმრო „მხატვრის სახლი“ გახსნა, სადაც გამოფენილია ადგილობრივი სახვითი ხელოვნების ნიმუშები.



საოჯახო სასტუმრო „მხატვრის სახლი“, ქ.თეთრიწყარო³²

³² <https://www.facebook.com/theArtsandSociety/>

მიზანი 10: კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებების მოწესრიგება

მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა ამოცანების შესრულების 4 რაოდენობრივი და 5 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 27 (100%).

მონიტორინგის შედეგად მიზნის მიღწევა შეფასდა **10 ქულით (37%)**.

ამოცანების შესრულება

10.1. მოსახლეობისთვის ცენტრალური სისტემებით ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდების, ხარისხიანი და უწყვეტი ენერგომომარაგების და ბუნებრივი აირის უწყვეტი მიწოდების სრული უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა 3 კრიტერიუმით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან, ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით.

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %	ქულა
შინამეურნეობების უზრუნველყოფა ბინაში შეყვანილი წყალსადენის სისტემით	52.5%	55,8 %	+3.3 %	0

წელი	ქვემო ქართლში შინამეურნეობების განაწილება სასმელი წყლის ძირითადი წყაროების მიხედვით	(%)
2013	ბინაში შეყვანილი წყალსადენის სისტემა	52,5
	წყალსადენის ონკანი ეზოში ან უბანში	43,5
	ჭა ეზოში ან უბანში	3,7
	ბუნებრივი წყარო ეზოში ან უბანში	0,2
	სხვა	0,0
2014	ბინაში შეყვანილი წყალსადენის სისტემა	52,0
	წყალსადენის ონკანი ეზოში ან უბანში	44,8
	ჭა ეზოში ან უბანში	2,9
	ბუნებრივი წყარო ეზოში ან უბანში	0,4
	სხვა	0,0
2015	ბინაში შეყვანილი წყალსადენის სისტემა	49,6
	წყალსადენის ონკანი ეზოში ან უბანში	47,6
	ჭა ეზოში ან უბანში	2,7
	ბუნებრივი წყარო ეზოში ან უბანში	0,1
	სხვა	0,0
2016	ბინაში შეყვანილი წყალსადენის სისტემა	50,4
	წყალსადენის ონკანი ეზოში ან უბანში	47,6
	ჭა ეზოში ან უბანში	1,8
	ბუნებრივი წყარო ეზოში ან უბანში	0,2
	სხვა	0,0
2017	ბინაში შეყვანილი წყალსადენის სისტემა	55,8
	წყალსადენის ონკანი ეზოში ან უბანში	34,4
	ჭა ეზოში ან უბანში	7,2
	ბუნებრივი წყარო ეზოში ან უბანში	0,1
	სხვა	2,5

წყარო: სასტატო

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები 2014-2017 წლებში დაუფინანსდათ 7,939,975 ლარის ჯამური ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით (პროექტების ჩამონათვალი მოცემულია **N6 დანართში**).

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %	ქულა
ელექტროენერგიით შინამეურნეობების უზრუნველყოფა	100 %	100 %	0 %	0

ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების რაოდენობა (%)					
	2013	2014	2015	2016	2017
ქვემო ქართლი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

წყარო: საქსტატი

2015-17 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, სს "ენერგო-პრო-ჯორჯია" გეგმავდა ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამის გაგრძელებას ქსელში აბონენტების ინდივიდუალური ჩართვისა და აღრიცხვის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს ინფორმაციით, 2014-2017 წლებში ელექტრომომარაგების ქსელში ინდივიდუალური მრიცხველის საშუალებით ჩაერთო 127 დასახლებული პუნქტის 25 ათასამდე აბონენტი. სამუშაოებზე კომპანია "ენერგო-პრო ჯორჯიას" 8,5 მილიონ ლარამდე ინვესტიცია გაწია. კომპანიამ ინდივიდუალური მრიცხველების მონტაჟის კუთხით სახელმწიფოსთან ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება დაასრულა 2017 წელს.

კრიტერიუმი	2013	2017	ზრდა/კლება, %	ქულა
ბუნებრივი აირით შინამეურნეობების უზრუნველყოფა	63.1 %	86.3 %	+23.2 %	1

ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების რაოდენობა (%)					
	2013	2014	2015	2016	2017
ქვემო ქართლი	63,1	69,2	76,0	83,5	86,3
საქართველო	56,7	60,7	66,0	72,0	75,7

წყარო: საქსტატი

ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების 2015-17 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, იგეგმებოდა 113 სოფლის გაზიფიცირება და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს ინფორმაციით, 2014-2017 წლების განმავლობაში ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა 67 დასახლებული პუნქტის 18600-მდე აბონენტს. სამუშაოების ღირებულებამ დაახლოებით 31,5 მლნ.ლარი შეადგინა, მათ შორის, 3,586,953 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებიდან, ხოლო 27,839,700 ლარი შპს „სოკარ-ჯორჯია გაზის“ კერძო ინვესტიცია იყო.

ბუნებრივი აირის ცენტრალური მიწოდებით უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი დასახლებები და პოტენციური აბონენტები ქვემო ქართლის რეგიონში (2018)		
მუნიციპალიტეტი	დასახლებების რაოდენობა	პოტენციური აბონენტების რაოდენობა
ბოლნისი	13	1407
დმანისი	29	2391
გარდაბანი	2	370
მარნეული	22	2188
თეთრიწყარო	71	2831
წალკა	43	6079
სულ ქვემო ქართლი	180	15266

10.2. მუნიციპალურ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო დასახლებებში საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება და საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების აშენება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მუნიციპალურ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო დასახლებებში კანალიზაციო სისტემები რეაბილიტირებულია 50%-ზე ნაკლები მომხმარებლისათვის	1

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები 2014-2017 წლებში დაუფინანსდათ **1,027,408 ლარის** ჯამური ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში დაფინანსებული საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები

წელი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	ღირებულება (ლარი)
2014	თეთრიწყარო	ს. მუხათში (ფაბრიკის დასახლება) საკანალიზაციო სისტემის სამშენებლო სამუშაოები	515,168
2015	გარდაბანი	ს.თელეთში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	180,000
	გარდაბანი	ს. კრწანისში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	170,000
	გარდაბანი	ს. სართიჭალაში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	162,240

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

10.3. მუნიციპალიტეტებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის დანერგვა, ყველა დასახლებიდან ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა და „უკონტროლო“ ნაგავსაყრელების გაუქმება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
-----------------	-------------

მუნიციპალიტეტებში დამტკიცებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები, ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილია მუნიციპალური ცენტრიდან, დაბებიდან და კურორტებიდან, ასევე, სხვა დასახლებებიდან, მაგრამ არა ყველა სოფლიდან, მიმდინარეობს „უკონტროლო“ ნაგავსაყრელების ლიკვიდაციის პროცესი	2
---	---

მაგალითად, მარნეულის მუნიციპალიტეტში 2014-2017 წლებში განხორციელდა დაახლოებით 20 უკონტროლო ნაგავსაყრელის გასუფთავება, ასევე ეწყოფა დასუფთავების აქციები.

10.4. მუნიციპალურ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო დასახლებებში ქუჩების რეგულარული დასუფთავების უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მუნიციპალურ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო დასახლებებში ხდება ქუჩების, მოედნებისა და საზოგადოებრივი ადგილების დიდი ნაწილის რეგულარული დასუფთავება	2

10.5. ყველა დასახლების ხარისხიანი და იაფი ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები რეგიონის მუნიციპალიტეტებში სამთავრობო პროექტის ფარგლებში სწრაფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფის მიმართულებით	1

10.6. სახანძრო-სამაშველო სამსახურების სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში მდებარე ყველა სახანძრო-სამაშველო სამსახური აღჭურვილია სტანდარტების შესაბამისად	3

2014-17 წლებში ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე სახანძრო-სამაშველო სამსახურების სტანდარტებთან შესაბამისი აღჭურვის მიზნით განხორციელდა შემდეგი რონისძიებები:

- 2015 წელს ქ. მარნეულში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა სახანძრო-სამაშველო დანაყოფის შენობის დაზიანებული სახურავი;
- 2017 წელს ქ. რუსთავში, თბილისის ქუჩის მიმდებარედ აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახანძრო-სამაშველო დანაყოფის შენობა (ოთხმანქანიანი დეპო);
- ქვემო ქართლის რეგიონს გადაეცა 3 ერთეული სახანძრო-სამაშველო და 2 ერთეული სამაშველო დანიშნულების ავტოტექნიკა;

- ქვემო ქართლის რეგიონს გადაეცა 446 635 ლარის ღირებულების სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა (ჰიდრავლიკური გრეგატი, შემწოვი ხელსაწყოები, წყლის საქაჩი პომპები და ა.შ.) და 465 103 ლარის ღირებულების ინვენტარი.



სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი შენობა რუსთავში³³

10.7. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ქ. რუსთავსა და მუნიციპალურ ცენტრებს შორის, აგრეთვე მუნიციპალურ ცენტრებსა და შესაბამის დასახლებებს შორის სამგზავრო გადაყვანების უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
ქ.რუსთავსა და მუნიციპალურ ცენტრებს შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტით ხდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანები, სამგზავრო გადაყვანები რეგულარულად ხდება მუნიციპალურ ცენტრებსა და შესაბამის დასახლებების მცირე ნაწილს შორის	1

³³ <http://kvemokartli.gov.ge/news/region/100322>

მიზანი 11: სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება

მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა ამოცანების შესრულების 1 რაოდენობრივი და 11 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 36 (100%).

მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა **20,6 ქულით (57 %)**

სოციალური უზრუნველყოფის მაჩვენებლების დინამიკა ქვემო ქართლის რეგიონში 2013-2017 წლებში

რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა (წლის ბოლოს)

	2013	2014	2015	2016	2017
რეგისტრირებული ოჯახი, ერთეული	46030	46295	43965	31781	26751
მიმღები ოჯახი, ერთეული	8825	9119	9126	12073	12519

საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა (წლის ბოლოს)

	2013	2014	2015	2016	2017
მიმღებთა რიცხოვნობა, კაცი	74196	75943	77425	79826	82344

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ამოცანების შესრულება

11.1. რეგიონის მოსახლეობის საარსებო მინიმუმით სრული უზრუნველყოფა

შეფასებისთვის ადებულ იქნა ქვემო ქართლის რეგიონში ერთ სულზე მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების შეფარდება საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმთან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კრიტერიუმი	2013 (დეკემბერი)	2017 (დეკემბერი)	ზრდა/კლება, პროცენტული პუნქტი	ქულა
ქვემო ქართლის რეგიონში ერთ სულზე მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების შეფარდება საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმთან, %	124%	153%	+29,8	2

მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქვემო ქართლის რეგიონში, გაანგარიშებული ერთ სულზე (ლარი)	2013	2014	2015	2016	2017
1. შემოსავლები, სულ (2+3)	170.5	184.7	192.0	200.4	235.5
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	152.8	166.8	173.9	182.1	219.4
დაქირავებული შრომიდან	72.2	73.2	82.0	86.0	105.2
თვითდასაქმებიდან	12.7	14.3	14.5	13.9	21.2
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	10.8	16.3	21.7	19.2	24.0
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაზრიდან)	0.6	0.1	0.9	1.0	0.3
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	30.0	32.0	32.1	34.7	35.2
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	8.3	14.5	10.4	9.1	13.8

საჩუქრად მიღებული ფული	18.1	16.4	12.4	18.3	19.9
3. არაფულადი შემოსავლები	17.7	17.9	18.1	18.3	16.2
4. სხვა ფულადი სახსრები	28.6	28.2	31.7	34.9	32.7
ქონების გაყიდვა	2.8	4.6	4.6	7.3	1.5
ფულის შესხება ან დანაზოგის გამოყენება	25.7	23.6	27.1	27.6	31.2
5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	181.4	195.0	205.6	217.0	252.1
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	199.1	213.0	223.7	235.3	268.2

საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი საქართველოში (ლარი თვეში)	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
2013 წელი	133.5	132.2	131.5	130.5	132.8	132.6	128.2	129.4	130.8	131.7	133.6	137.4
2014 წელი	136.6	137.6	137.6	137.8	135.9	132.5	128.2	133.4	138.0	142.3	141.4	141.2
2015 წელი	141.9	141.7	143.4	142.2	143.4	143.0	137.8	139.8	143.4	144.7	146.8	143.9
2016 წელი	145.5	144.5	143.2	142.8	142.3	139.1	138.7	138.2	139.3	141.8	142.9	143.1
2017 წელი	147.3	148.9	150.3	151.3	153.5	154.4	148.1	148.3	149.5	154.1	155.7	153.7

წყარო: საქსტატი

11.2. მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის (მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მოხუცები, შშმ პირები) სოციალური სახლების მომსახურების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ტარდება ღონისძიებები მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური სახლების მომსახურების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად	2

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი მცირე საოჯახო ტიპის სახლი, რომელიც ემსახურება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს (მათ შორის შშმ ბავშვებს) და აწვდის მათ ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ მომსახურებას. აღნიშნული სახლები მდებარეობს ქ. რუსთავში (2012 წლიდან), გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოსა (2012 წლიდან) და სოფელ მარტყოფში (2014 წლიდან). მცირე საოჯახო ტიპის სახლები ფინანსდება ბენეფიციარების რაოდენობის გათვალისწინების მიხედვით, შესაბამისი წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის შესაბამისად.

ქალაქ რუსთავში, 2014 წლიდან ფუნქციონირებს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი, ხოლო 2016 წლიდან დღის ცენტრი, რომლებიც მომსახურებას უწევენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს. ამ სერვისების დაფინანსება ასევე ხორციელდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, გაწეული მომსახურებისა და ბენეფიციართა რაოდენობის მიხედვით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი, რომელიც შშმ პირებს უქმნის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობებს და ხელს შეუწყობს ბენეფიციართა გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებასა და სოციალურ რეაბილიტაციას.

11.3. შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი სამშენებლო სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
შშმ პირებისთვის ნაწილობრივ ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტროტუარები და გადასასვლელები, სხვა საჯარო ადგილები, საჯარო დაწესებულებების და კერძო ბიზნესის ობიექტები და საცხოვრებელი კორპუსები	1

შშმ პირებისთვის სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხდებოდა სამშენებლო რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, კერძო და სხვადასხვა სახელმწიფო პროექტების განხორციელების ფარგლებში სამშენებლო ნებარტვის გაცემის პროცესით.

11.4. სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტის შემდგომი გაფართოება და მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემის სრულად გადაჭრა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამები სრულად ფარავს გადაუდებელ ამბულატორიულ და გეგმიურ სტაციონარულ მომსახურებას პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და ქრონიკული დაავადებების ამბულატორიულ მკურნალობას, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებს გარეთ არსებული სერვისები მოსახლეობისათვის ფინანსურად ხელმისაწვდომია	3

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები სარგებლობენ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ განსხვავებული პაკეტით (ე.წ. „ასაკობრივი პაკეტი“), რაც ითვალისწინებს, როგორც ამბულატორიული, ასევე, სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას შესაბამისი ლიმიტებისა და თანაგადახდების გათვალისწინებით. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სხვა პირები, ასევე, ჩართულნი არიან „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“, შესაბამისი მომსახურების პირობებით.

ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განსაზღვრულია მთელი რიგი დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკა, სკრინინგი და მკურნალობა. აღნიშნული ღონისძიებების დროული განხორციელება ამცირებს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკს.

ქვემო ქართლში მცხოვრები პაციენტებისათვის სტაციონარული დახმარების აღმოჩენაზე 2014-2017 წლებში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 97,8 მლნ. ლარი, ხოლო ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში - 24 მლნ. ლარი.

11.5. რეგიონის მოსახლეობისთვის თანამედროვე სტანდარტების, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული საერთო პროფილის საავადმყოფოს გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონის მოსახლეობას ემსახურება თანამედროვე სტანდარტების, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული საერთო პროფილის საავადმყოფოები რუსთავში, მარნეულსა და სხვა მუნიციპალიტეტებში, რომლებიც გეოგრაფიულად ხელმისაწვდომია რეგიონის მთელი მოსახლეობისათვის	3

სამედიცინო პერსონალის რაოდენობა ქვემო ქართლში და სტაციონარული მომსახურების ძირითადი მაჩვენებლები (წლის ბოლოსათვის)

	2013	2014	2015	2016	2017
ექიმების რიცხოვნობა დაკავებული თანამდებობების მიხედვით, ათასი	1.2	1.3	1.2	1.4	1.5
საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა, ათასი	0.9	1.0	0.9	1.0	1.1
საავადმყოფო და სამედიცინო ცენტრი, ერთეული	16	20	18	19	19
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, ათასი	0.7	0.7	0.7	0.8	1.0

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



2014-2017 წლებში კერძო სექტორისგან სახელმწიფომ გამოისყიდა მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მდებარე საავადმყოფოები, მ.შ. ქვემო ქართლში, კერძოდ: 1 სტაციონარი ქ.წალკაში და 1 სტაციონარი ქ.თეთრწყაროში, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,1 მლნ ლარი გაიხარჯა.

სამედიცინო ცენტრი
ქ.თეთრიწყაროში

11.6. სათემო ამბულატორიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სოფლის ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ამოქმედება

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მოხდა რეგიონში სათემო ამბულატორიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მცირე ნაწილის რეაბილიტაცია	1

ამბულატორიული მომსახურების ძირითადი მაჩვენებლები (წლის ბოლოსათვის)

	2013	2014	2015	2016	2017
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა, ერთეული	200	205	216	209	211
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართების რიცხვი წლის განმავლობაში (პროფილაქტიკის ჩათვლით), ათასი	517.9	541.3	510.8	606.4	610.8

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2014 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ოფრეთში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის რანჩპარში, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. ორგანჩაიში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფ კობტაში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოში აშენდა და აღიჭურვა ახალი ამბულატორიები, რაზეც გაიხარჯა დაახლ. 1.8 მლნ. ლარი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე, პირველადი ჯანდაცვის ცენტრები კერძო საკუთრებაშია, ხოლო 2009 წლიდან სოფლის ექიმები წარმოადგენენ მეწარმე-ფიზიკურ პირებს. ხოლო მათი განთავსების ადგილი უმეტესწილად სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებაშია.

რეგიონის მუნიციპალიტეტების ამბულატორიულ ქსელში არსებული მდგომარეობა, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული სოციალურ ეკონომიკური საჭიროებების კვლევის მიხედვით, მოცემულია **N7 დანართში**.

შეფასება	ქულა
სოფლის ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ამოქმედების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

11.7. სასწრაფო დახმარების ბრიგადების აღჭურვილობის განახლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში სასწრაფო დახმარების ბრიგადების აღჭურვილობა სრულად არის განახლებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.	3

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სასწრაფო დახმარების ბრიგადების აღჭურვილობის განახლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014-2017 წლებში გაიხარჯა 2,886,035 ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების მშენებლობის პროექტები 2014-2017 წლებში დაუფინანსდათ 464,287 ლარის ჯამური ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში დაფინანსებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების მშენებლობის პროექტები

წელი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	ღირებულება (ლარი)
2017	ბოლნისი	ქ. ბოლნისში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა	158,000
2017	მარნეული	ქ. მარნეულში სასწრაფო სამედიცინო შენობის სამშენებლო სამუშაოები	152,000
2017	წალკა	ქ.წალკაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამშენებლო სამუშაოები	154,287

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

11.8. იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკომიგრანტების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფა და მათი სამეურნეო ინტეგრაციის ხელშეწყობა

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკომიგრანტების უმეტესი ნაწილი არის სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფილი	2

გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
1	2	2	0	0	2

2014 - 2017 წლებში ქვემო ქართლის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის შეძენილ იქნა 241 ბინა, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯულ იქნა 6 630 729.30 ლარი; გარდა ამისა, დევნილთა განსახლების ობიექტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 839 430.72 ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ ქვემო ქართლის რეგიონში რეგისტრირებულია 4 236 დევნილი ოჯახი, ხოლო საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულია 2 254 ოჯახი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დევნილთა უმეტესი ნაწილი არის უზრუნველყოფილი საცხოვრისით.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ტარდებოდა ღონისძიებები იძულებით გადაადგილებულ პირთა სამეურნეო ინტეგრაციისათვის	2

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამეურნეო ინტეგრაციის მიმართულებით სსიპ „საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ ახორციელებს საარსებო წყაროების შექმნასა და გაუმჯობესებაზე მიმართულ პროგრამებს. მათი სრული უმრავლესობა ფარავს ქვემო ქართლის რეგიონს. პროგრამების სამიზნე ჯგუფი და სფერო განსხვავებულია და მოიცავს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე თვითდასაქმებაზე ორიენტირებულ სხვა სექტორებს. 2016 წლიდან, სააგენტოს სხვადასხვა პროგრამებით ისარგებლა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებმა 74-მა იძულებით გადაადგილებულმა პირმა.

შეფასება	ქულა
ეკომიგრანტების მცირე ნაწილი არის სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფილი	1

2014 - 2017 წლებში ქვემო ქართლის რეგიონში ეკომიგრანტებისათვის შეძენილ იქნა 45 სახლი, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯულ იქნა 991 600.00 ლარი. ეკომიგრანტთა მცირე ნაწილი არის უზრუნველყოფილი საცხოვრისით.

შეფასება	ქულა
ეკომიგრანტების სამეურნეო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები, პრაქტიკულად, არ გატარებულა	0,6

გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
0	2	0	0	0	2

მიზანი 12: განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება

მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა ამოცანების შესრულების 10 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 30 (100%).

მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა **18,8 ქულით (63 %)**

ამოცანების შესრულება

12.1. საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემის სრულად გადაჭრა და პედაგოგების/პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება

შეფასება მოხდა ოთხი კრიტერიუმით, მ.შ. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და ორი კრიტერიუმით - მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონის საჯარო სკოლების უმეტესობის ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებულია სტანდარტების შესაბამისად	2

სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონში

	2013/2014	2014/2015	2015/2016	2016/2017	2017/2018
სკოლების რაოდენობა, ერთული	269	269	268	266	266
მოსწავლეთა რიცხოვნობა, კაცი	65772	66054	66046	67450	68585

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (2017)

მუნიციპალიტეტი	დაწყებითი (1-6)	დაწყებითი-საბაზო (1-9)	დაწყებითი-საბაზო-საშუალო (1-12)	სულ
ბოლნისი		4	30	34
გარდაბანი	1	5	30	36
დმანისი		11	16	27
თეთრი წყარო		10	18	28
მარნეული	1	17	57	75
რუსთავი			35	35
წალკა		4	27	31
სულ:	2	51	213	266

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2014-2017 წლებში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე განხორციელდა 124 საჯარო სკოლაში ნაწილობრივი რეაბილიტაციის 244 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელზეც დაიხარჯა 15 048 180 ლარი. აშენდა ორი ახალი სკოლა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამღერეთში და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ დიოკნისეში, რომლის ღირებულებამ შეადგინა 4 168 172

ლარი. 2017 წელს დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის N1 საჯარო სკოლის (ფოლადაურის დაწყებითი) და ქალაქ მარნეულის N1 საჯარო სკოლის მშენებლობა, რომლის სავარაუდო ღირებულებაც 1 888 599 ლარამდე.



ახალაშენებული სკოლა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამღერეთში³⁴

შეფასება	ქულა
ჩამოყალიბებულია საჯარო სკოლების პედაგოგების/პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემა	3

მასწავლებლების რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონში (2017)

მუნიციპალიტეტი	კერძო სკოლა			საჯარო სკოლა		
	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	სულ
ბოლნისი	43	2	45	693	271	964
გარდაბანი				1032	175	1207
დმანისი				327	198	525
თეთრი წყარო				473	72	545
მარნეული	13	4	17	1756	460	2216
რუსთავი	288	31	319	1227	77	1304
წალკა				454	157	611
სულ	344	37	381	5962	1410	7372

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პედაგოგების/პერსონალის პროფესიული მომზადების, განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უწყვეტ

³⁴ <http://www.ttimes.ge/archives/38857>

რეჟიმში ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, ატარებს ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, კონსულტირებებს და ა.შ. პედაგოგების/პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ქვემო ქართლის რეგიონში (2014-2017) სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საერთო ჯამში ცენტრის მიერ 10 922 პედაგოგი გადამზადდა, მ.შ. 2014 წელს - 1260 პედაგოგი; 2015 წელს - 3 877 პედაგოგი და 377 დირექტორი; 2016 წელს - 4 824 პედაგოგი; 2017 წელს - 584 პედაგოგი.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში 2016 - 2017 წწ. ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებული ტრენინგების მოდული 1-ის მიხედვით - "მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები" - ტრენინგი გაიარა 900-მდე მასწავლებელმა; მე-2 მოდულით „სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებით“ განსაზღვრული ტრენინგი გაიარა 500-მდე მასწავლებელმა; მესამე მოდულის „სასწავლო პროცესის პოზიტიურად მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“ მიხედვით“ გადამზადდა 420 მასწავლებელი.

გარდა ამისა, ჩატარდა *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები* მთელი საქართველოს მასშტაბით შემდეგი საგნობრივი მიმართულებებით: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, მათემატიკა, ინგლისური, გეოგრაფია. ქვემო ქართლიდან ტრენინგი გაიარა 552 მასწავლებელმა.

2016-2017 წლებში, **ლიდერობის აკადემიის** ფარგლებში პირველი მოდულით ტრენინგი გაიარა საჯარო სკოლის 170-მდე საჯარო სკოლის (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი) დირექტორმა. ლიდერობის აკადემია 2-ის ფარგლებში, საჯარო სკოლების ქართულენოვანი დირექტორებისათვის და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისთვის ჩატარებული ორი მოდულით ტრენინგი გაიარა 220-მდე სკოლის დირექტორმა და ფასილიტატორმა. ლიდერობის აკადემია 2-ის მე-3, მე-4 და მე-5 მოდულებით გადამზადდა 210 მონაწილე, ხოლო მე-6 მოდულით ტრენინგი გაიარა 300-მდე საჯარო სკოლის მონაწილემ, რომელთა შორის იყვნენ საჯარო სკოლის დირექტორები, სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორები და საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში დაიკვება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგების/პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ჩამოყალიბება და შეიქმნა შესაბამისი ნორმატიული ბაზა	1

მონიტორინგის პერიოდში (2014-17) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით დამტკიცდა „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.“

მონიტორინგის პერიოდის შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის №97/ნ ბრძანებით დამტკიცდა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“. აღნიშნული ტრენინგ-მოდულის შესაბამისად, 2018 წლის ივლისიდან, დაიწყო რეგიონული მუნიციპალიტეტების სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მეთოდისტების/სასწავლო პროგრამის კოორდინატორების გადამზადება.

2018 წლის ბოლომდე გადამზადდებიან სკოლამდელი განათლების დაწესებულებების (მათ შორის, ქვემო ქართლის რეგიონის) მეთოდისტები/სასწავლო პროგრამის კოორდინატორები მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც შემდგომში ხელს შეუწყობენ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტების დანერგვას საბავშვო ბაღებში. ხოლო, სერტიფიცირებულ

მეთოდისტებს/სასწავლო პროგრამის კოორდინატორებს საშუალება მიეცემათ ტრენინგები ჩაუტარონ სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელებს.

შეფასება	ქულა
საჯარო სკოლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა სრულად არის გადაჭრილი	3

„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული 2018 წლის 2 თებერვლის მემორანდუმის ფარგლებში, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებები დელეგირებული იქნება მუნიციპალიტეტებისთვის, შესაბამისად, 2019 წლიდან საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია გახდება.

შეფასება	ქულა
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების უმეტესობის ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებულია სტანდარტების შესაბამისად	2,3

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
3	2	3	3	1	2	2

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (რგპფ-ს ჩათვლით) მუნიციპალიტეტებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობასა და მათი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე გახარჯული თანხების ოდენობა, ათასი ლარი

წელი	რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო
2014	17	265.3	386	32.9	155.7	-
2015	19	1164.4	566	1400	42.6	334.8
2016	95.9	1201.3	792	964	179.7	838.2
2017	13.2	1338.6	526	181	135.1	149.2

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის პროექტები (იხ. [დანართი N8](#)) 2014-2017 წლებში დაუფინანსდათ 10,573,653 ლარის ჯამური ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით.

ამდენად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობასა და მათი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე 2014-2017 წლებში საჯარო ფინანსებიდან გაიხარჯა 10,765 ათასი ლარი.

შეფასება	ქულა
----------	------

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა ნაწილობრივ არის გადაჭრილი	2
--	---

რუსთავი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
3	2	1	3	1	1	2

12.2. ადგილობრივ საჭიროებათა გათვალისწინებით, რეგიონში მრავალპროფილიანი პროფესიული გადამზადების ცენტრების შექმნა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონში ფუნქციონირებს მრავალპროფილიანი პროფესიული გადამზადების ცენტრები	3

პროფესიული განათლების მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2013	2014	2015	2016	2017
საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა	6	7	7	7	6
ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა	875	685	742	564	442
კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა	874	432	471	274	293
მასწავლებლების რიცხოვნობა	83	121	135	138	112

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

12.3. რეგიონის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში უკვე არსებული და აკრედიტირებული უნივერსიტეტის რუსთავში გადმოტანა, სტუდენტებისთვის განკუთვნილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო საცხოვრებლის აშენება

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
აკრედიტირებული უნივერსიტეტის რუსთავში გადმოტანის, სტუდენტებისთვის თანამედროვე სტანდარტების საუნივერსიტეტო საცხოვრებლის აშენების მიმართულებით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონში

	2012/2013	2013/2014	2014/2015	2015/2016	2016/2017	2017/2018
სახელმწიფო	-	-	-	-	-	-
კერძო	2	2	4	2	2	2

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

12.4. რეგიონში კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციისა და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

შეფასება	ქულა
რეაბლიტირებულია არსებული კულტურული დაწესებულებების ნაწილის ინფრასტრუქტურა	1,5

გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
1	2	3	1	1	1

ქვემო ქართლის რეგიონში თეატრების, მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების მუშაობის მონაცემები

	2013	2014	2015	2016	2017
თეატრების რიცხვი, ერთეული	2	2	2	2	2
ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, ერთეული	317	421	477	501	522
მაყურებელთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	26	52	70	71	72
მუზეუმების რიცხვი, ერთეული	10	10	10	10	11
დამთვალიერებელთა რიცხვი, ათასი კაცი	22.8	21.3	20.7	19.6	24.8
ექსკურსიების რიცხვი, ერთეული	576	838	840	838	1008
გამოფენების რიცხვი, ერთეული	27	29	32	41	45

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (რგპფ-ს ჩათვლით) მუნიციპალიტეტებში კულტურული დაწესებულებების მშენებლობასა და მათი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე გახარჯული თანხების ოდენობა, ათასი ლარი

წელი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი
2014	162	776,4	4	44
2015	446		34	34,5
2016	10,2		95	28,3
2017	334,3		18	102

შეფასება	ქულა
რეაბლიტირებულია არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ნაწილი	1,4

გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა
1	1	3	1	1	1

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (რგპფ-ს ჩათვლით) მუნიციპალიტეტებში სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე გახარჯული თანხების ოდენობა, ათასი ლარი

წელი	გარდაბანი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი
2014	-	-	-	46,7
2015	538,7	133	169	54,3
2016	1124,2	244	49	112,8
2017	939,8	101,5	59	21,4

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ (შემდგომში უფლებამონაცვლე - საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო) პროგრამა "იცხოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა"-ს ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში მოაწყო 96,743.37 ლარის ღირებულების ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობები, რომლებიც შემდგომში გადაეცა შესაბამის მუნიციპალიტეტებს. კერძოდ, 2014 წ. - დმანისსა და თეთრიწყაროში; 2015 წელს - რუსთავში; მარნეულსა და გარდაბანში; 2016 წელს ბოლნისში და 2017 წელს წალკაში.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში გარე სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟი

წელი	მუნიციპალიტეტი	ღირებულება (ლარი)
2014	დმანისი	13362.57
	თეთრიწყარო	13390.51
2015	რუსთავი	13593.39
	მარნეული	13593.40
	გარდაბანი	13593.40
2016	ბოლნისი	14370.49
2017	წალკა	14839.54

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს სპორტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის პროექტები დაუფინანსდათ **1,455,515 ლარის** ჯამური ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები

წელი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	ღირებულება
2015	გარდაბანი	ქ. გარდაბანში სპორტული მოედნების მოწყობა	70,000
	გარდაბანი	სოფელ კრწანისში და სოფელ კუმისში სპორტული მოედნების მოწყობა	70,000
	გარდაბანი	სოფელ ნორიოში და სოფელ მარტყოფში სპორტული მოედნების მოწყობა	60,000
2017	ქ. რუსთავი	სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია	392,968
	ქ. რუსთავი	სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია	433,374
	ქ. რუსთავი	სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია	429,173

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მიზანი 13: ქმედითი გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელება

მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა ამოცანების შესრულების 17 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 51 (100%).

მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა **23 ქულით (45%)**.

ქვემო ქართლის რეგიონში გარემოსდაცვითი მაჩვენებლების დინამიკა 2013-2017 წლებში

მაჩვენებელი	2013	2014	2015	2016
ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა (კუბ. მეტრი)	46 980	56 817	52 496	44 222
ტყის უკანონო ჭრა (კუბ. მეტრი)	229	6 636	1 783	1 738
ტყის ფონდი (ათასი ჰექტარი)	144	144	144	146
აქედან, ტყით დაფარული (ათასი ჰექტარი)	131	131	131	133
ტყის თესვა და დარგვა (ჰექტარი)	-	-	0	1
ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა (ჰექტარი)	-	-	-	-
წყლის აღება ბუნებრივი ობიექტებიდან (მლნ. კუბ. მეტრი)	900	1 641	1 328	1 624
წყლის გამოყენება (მლნ. კუბ. მეტრი)	746	1 164	1 555	1 568
ჩამდინარე წყლის ჩაშვება ზედაპირულ წყალსატევებში (მლნ. კუბ. მეტრი)	564	1 114	962	1 047
სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებები (ათასი ტონა)	388.8	471.8	338.3	337.6
მათ შორის:				
დაჭერილი და გაუვნებელყოფილი (ათასი ტონა)	375.4	457.6	328.3	326.4
ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული (ათასი ტონა)	13.4	14.2	10.0	11.3

წყარო: საქსტატი

ამოცანების შესრულება

13.1. რეგიონის ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

ფასდება ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
დამტკიცებულია/ მოწონებულია რეგიონის ნარჩენების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.	3

13.2. მუნიციპალიტეტებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა

შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონის მუნიციპალიტეტებში დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმები	3

ქვემო ქართლის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში შემუშავდა და დამტკიცდა ნარჩენების მართვის 5-წლიანი სამოქმედო გეგმები, ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით. ამჟამად მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს მუშაობა ნარჩენების სეპარირების გეგმებზე. დაწყებულია მუშაობა ნარჩენების სეპარირების დანერგვის მიზნით: მარნეულის მუნიციპალიტეტში შ.პ.ს „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელმა საწარმომ“ პოლიეთილენის ბოთლებისთვის სპეციალურად დამზადებული ურნები - ლითონის კონსტრუქციის ბადურები დადგა. პოლიეთილენის ბოთლებისათვის განკუთვნილი 15 ბადურა, პირველ ეტაპზე ქ. მარნეულში 13 ადგილას დაიდგა.³⁵

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს სპეცტექნიკის შესაძენად 2014-2017 წლებში დაუფინანსდათ 1 პროექტი 483,475 ლარის ჯამური ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლის რეგიონში 2014-2017 წლებში სპეცტექნიკის შესაძენად დაფინანსებული პროექტი

წელი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	ღირებულება (ლარი)
2014	რუსთავი	ნაგვის შემკრები კონტეინერების შემენა (700 ერთეული)	483,475

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

13.3. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ნაგავსაყრელზე ნარჩენების გატანის, გადამუშავებისა და კომპოსტირების უზრუნველყოფა

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან და სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში მოქმედებდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე მუნიციპალური ნაგავსაყრელები, სადაც ხდებოდა ნარჩენების მიღება და კომპოსტირება	1

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე რეგიონული ნაგავსაყრელი არ ფუნქციონირებს, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე მუნიციპალური ნაგავსაყრელებიდან ნარჩენების გადამუშავებას არც ერთი არ ახორციელებს, ხორციელდება მხოლოდ ნარჩენების მიღება და კომპოსტირება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მდებარე, თანამედროვე სტანდარტების რუსთავ-გარდაბნის ახალ ნაგავსაყრელზე დას ხვა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

³⁵ <http://marneuli.gov.ge/arqivi/siaxleebi1/1413-marneulshi-polietilenis-bottlebistvis-axali-urnebi-daidga.html>

13.4. იაღლუჯას სახიფათო ნარჩენების კონსერვაცია

ფასდება ერთი კრიტერიუმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტიდან და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
დასრულებულია იაღლუჯას პოლიგონის დროებითი კონსერვაცია	3

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტის „საქართველოში არსებული მოდპესტიციდების ლიკვიდაცია და მათი ლიკვიდაციის საწყისი ღონისძიებები“ ფარგლებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობით, განხორციელდა იაღლუჯას მოდ-პესტიციდების (მდგრადი ორგანული დამბინძურებლები) ნაგავსაყრელზე 230 ტონა პესტიციდის მოგროვება, შეფუთვა და გატანა ბელგიასა და საფრანგეთში გაუვნებლობის მიზნით. ასევე შემოიღობა სამარხის ტერიტორია 4ჰა ფართობით და გატარდა კონსერვაციის დროებითი ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი და შეფასებულია იაღლუჯას შხამქიმიკატების პოლიგონი, შემუშავდა და წარმოდგენილი იქნა იაღლუჯას შხამ-ქიმიკატების პოლიგონის რემედიაციის/კონსერვაციის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლის განხორციელებისთვის საჭიროა ფინანსური მხარდაჭერის მოძიება.

13.5. ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განსაკუთრებით მოწყვლადი ტერიტორიების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ჩამოყალიბებულია განსაკუთრებით მოწყვლადი ტერიტორიების მონიტორინგის სისტემა. ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმა რეგიონის დონეზე არ შემუშავებულა.	2

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი, სააგენტოს დებულების თანახმად, 2004 წლიდან ახორციელებს გეგმიურ მონიტორინგულ კვლევებს რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური მოვლენების და პროცესების განვითარების უბნებზე და კერებში. ყოველწლიური კვლევების შედეგები ასახულია სააგენტოს მიერ ყოველწლიურად გამოცემულ საინფორმაციო ბიულეტენებში (საქართველოში საანგარიშო წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი მომდევნო წლისთვის), რომელშიც მოცემულია კონკრეტული ობიექტებისთვის საშიში გეოლოგიური პროცესებით მიყენებული ზიანი, გეოლოგიური პროცესების დინამიკური მდგომარეობა, საშიშროების რისკი და პროცესების ზემოქმედების შესარბილებლად ან აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. ბიულეტენი გადაეცემა როგორც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს, ასევე დაინტერესებულ სამინისტროებს და უწყებებს.

13.6. ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

13.7. გადაუდებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების გეგმის შემუშავება და ქარსაცავი ზოლების აღდგენა

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
გადაუდებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების გეგმის შემუშავებისა და ქარსაცავი ზოლების აღდგენის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	0

13.8. ტყის კულტურების დარგვით გაშენება, ე.წ. „ენერგეტიკული პლანტაციების“ შექმნა (ვერხვი, აკაცია) და პრიორიტეტულ უბნებზე ქარსაცავი ზოლების გაშენება (აკაციის გამოყენების საკითხი განხილულ უნდა იქნეს სსიპ-ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან)

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ტყის კულტურების დარგვით გაშენების, ე.წ. „ენერგეტიკული პლანტაციების“ შექმნის, პრიორიტეტულ უბნებზე ქარსაცავი ზოლების გაშენების მიზნით ღონისძიებები არ გატარებულა	0

ქარსაცავებისა და ენერგეტიკული პლანტაციების გაშენება მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა. ქვემო ქართლში განხორციელდა შემდეგი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები: 2016 წელს მოეწყო 2- ტყის დროებითი სანერგე ფოლადაურის სატყეოს ტერიტორიაზე (0,4; 0.4 ჰა), საიდან მიღებული თესლნერგებითაც 2019 წელს განხორციელდება ტყის აღდგენითი (ტყის გაშენების) ღონისძიებები.

გადაუდებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ფარგლებში 2014-2015 წლებში განხორციელდა ფოთლოვანების მავნებლების „ცქვლეფია მზომელა“-სა და „მოზამთრე მზომელას“ წინააღმდეგ (მუხნარ-რცხილნარი), აკაციის მეშვეობით შეწამვლა ბიოლოგიური პრეპარატით „ლეპიდოციდი“.

13.9. გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
----------	------

გარემოსდაცვით საკითხებზე რეგიონის მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა რამდენიმე კამპანია	3
--	---

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით მონიტორინგის პერიოდში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- **ცნობიერების ასამაღლებელი ლექცია-სემინარები სკოლის მოსწავლეებისთვის.** მოსწავლეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ცენტრი მართავს ლექცია-სემინარებს, მაგ., 2017 წელს გაიმართა შეხვედრა ბოლნისის 21-ე, "დავითიანისა" და "დისველის" სკოლის მოსწავლეებთან³⁶.
- **გარემოსდაცვითი კამპანია ვერცხლისწყლის შესახებ.** გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მოსწავლეებისთვის 2016-2017 წლებში მიმდინარეობდა ვერცხლისწყლის კამპანია, რომლის ფარგლებშიც რუსთავის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლისთვის ლექცია-სემინარები გაიმართა, რის შემდეგაც მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ესეების კონკურსში. რუსთავის სკოლების ოთხ ფინალისტ მოსწავლესა და მათ პედაგოგებს შესაბამისი სერტიფიკატი და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. კონკურსი პროექტის - „მინამატას კონვენციის რატიფიცირებისა და მისი აღსრულების მიზნით საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება“ - ფარგლებში გაიმართა³⁷.
- **საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები გარდაბნის მუნიციპალიტეტში.** გარდაბანში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლებმა გარდაბნის გამგებლის მოადგილესთან, ადგილობრივ ფერმერებთან და დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს. შეხვედრის მიზანი გარდაბანში ქარსაცავების, ნიადაგის დაცვისა და საძოვრების მართვის საკითხებში არსებული პრობლემების დადგენა და მათი ანალიზი იყო. შეხვედრა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ერთობლივი პროექტის „ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვის“ ფარგლებში გაიმართა. ამავე პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი - „ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა“ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ფერმერებისთვის. ტრენინგის მიზანი გადაწყვეტილების მიმღებ პირთა, ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის ცნობიერების ამაღლება; ასევე, ამ ჯგუფებისთვის ნიადაგის დეგრადაციის კუთხით არსებული პრობლემების, მიწებისა და ლანდშაფტების მდგრადი მართვის თანამედროვე და ეფექტური გზების, მეთოდების გაცნობაა. ტრენინგი თეორიულ ნაწილთან ერთად, პრაქტიკულ სავლელ გასვლასაც მოიცავდა³⁸.

13.10. ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიათაშორის გარემოსდაცვით თანამშრომლობაში და საქმიანობებში რეგიონის ჩართულობის უზრუნველყოფა

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
----------	------

³⁶ <https://goo.gl/3bSx21> goo.gl/fgm9gq
³⁷ <https://goo.gl/Aoqx8G> goo.gl/oy2L9Z
³⁸ <https://goo.gl/UCne1U> goo.gl/HyxGCR
<https://goo.gl/uEBabV> goo.gl/qrMBDj

მონიტორინგის პერიოდში ტრანსსასაზღვრო ან ტერიტორიათაშორისი გარემოსდაცვითი პროექტები განხორციელდა ორივე მოსაზღვრე ქვეყანასთან	3
---	---

ტრანსსასაზღვრო პროექტები

დონორი/ განმახორციელებელი	პროექტის სახელწოდება/ დარგი	მიზნობრივი ტერიტორია	ბიუჯეტი/ დაწყება და დასრულება
გერმანიის ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტრო (BMZ) / KfW/ ტრანსსასაზღვრო ერთობლივი სამდივნო (TJS)	ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო სამხრეთ კავკასიაში (TJS) (III ფაზა) / დაცული ტერიტორიები (ბიომრავალფეროვნება)	საქართველო აზერბაიჯანი სომხეთი	5,200,000 ევრო/ 2015-2019
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF) / გაეროს განვითარების პროგრამის სტამბულის რეგიონული ოფისი UNDP Istanbul Regional HUB	მტკვარი II: წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა მდინარე მტკვრის აუზში ტრანსსასაზღვრო შეთანხმებული ქმედებების და ეროვნული გეგმების განხორციელების საშუალებით (Kura II) /წყლის რესურსები	საქართველო აზერბაიჯანი	5,329,452 დოლარი, 194,881,670 დოლარი (co-financing by GEO and AZE) 2016-2020
ევროკავშირი (EU) / ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) / გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) / ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონსორციუმი	ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის (EUWI+) /წყლის რესურსები	საქართველო აზერბაიჯანი სომხეთი ბელორუსი მოლდოვა უკრაინა	24,5 მილიონი ევრო 2016-2020
ევროკავშირი (EU) / Hulla & Co. Human Dynamics K.G.	საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვის პროექტი (EPIRB) /წყლის რესურსები	საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა	7,500,000 ევრო, 2012-2016

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

13.11. გარდაზნის აღკვეთილისა და ალგეთის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის განვითარება

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში გარდაზნის აღკვეთილის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ჩატარდა გარკვეული სამუშაოები /განხორციელდა პროექტები	2

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში ალგეთის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ჩატარდა გარკვეული სამუშაოები /განხორციელდა პროექტები	2

13.12. მიზანშეწონილობის შემთხვევაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის დამატებითი სადგურის გახსნა ქ.რუსთავში და ასევე ახალი სადგურის მონტაჟი ქ.ბოლნისში

შეფასება მოხდა ორი კრიტერიუმით, მონიტორინგის პერიოდში ამოცანის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჯარო უწყებებმა ვერ მოგვაწოდეს.

შეფასება	ქულა
ქ.რუსთავეში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის დამატებითი სადგურის გახსნის მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა	0
ქ.ბოლნისში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი სადგურის მონტაჟის მიზნით მონიტორინგის პერიოდში სამუშაოები არ ჩატარებულა	0

13.13. წყლის ცალკეული ობიექტების დაბინძურებისა და წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესების პრობლემების ნაწილობრივი გადაჭრისკენ მიმართული ღონისძიებების ჩატარება

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა რეგიონში წყლის ცალკეული ობიექტების დაბინძურებისა და წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესების პრობლემების ნაწილობრივი გადაჭრისკენ მიმართული ღონისძიებები	1

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ახორციელებს რეგიონში მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგს. 2017 წლის დეკემბერში მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში წყლის ხარისხისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის მიზნით, მოეწყო 3 ავტომატური სადგური. მონიტორინგის შედეგები აისახება ყოველწლიურ საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საჯაროა და განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე - www.nea.gov.ge.

მიზანი 14: მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარების, გენდერული უთანასწორობის შემცირების, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის უზრუნველყოფა

მიზნის მიღწევის შეფასება მოხდა ამოცანების შესრულების 2 რაოდენობრივი და 5 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა იყო 21 (100%).

მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა **14 ქულით (67 %)**.

ამოცანების შესრულება

14.1. ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს/მედიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და ბიზნესსექტორსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის წახალისება

ფასდება ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორს/მედიასა და ბიზნეს-სექტორს შორის თანამშრომლობა, მუნიციპალიტეტების სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების გარდა, კიდევ სხვა ფორმატებშიც ხორციელდება	2

ვარშავის გამოცდილების გათვალისწინებით და პოლონელი ექსპერტების ჩართვით 2015 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში პირველად განხორციელდა სამოქალაქო (თანამონაწილეობითი) ბიუჯეტის მექანიზმი. ეს იყო საპილოტე პროექტი სახელწოდებით „ლოკალური აქტივობა - თვითმმართველობის ბიუჯეტში მონაწილეობით მარნეულში“, რომელიც განხორციელდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებულ „დემოკრატიის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, პოლონური ფონდის „სხვა სივრცე“ (Other Space Fundation) და ა/ო „ერთიანი კავკასიას“ მიერ, მუნიციპალიტეტის გამგეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით. შედეგად, საჯარო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა მოქალაქემ, რომელთა ინიციატივიანმა ნაწილმა მუნიციპალიტეტს 49 პროექტი წარუდგინა, საიდანაც 34 პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსები - 1,5 მლნ. ლარი მუნიციპალიტეტმა 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყო და ეს პროექტები განხორციელდა. სამოქალაქო ბიუჯეტის გამოცდილება 2016 წელს გაუზიარეს სხვა მუნიციპალიტეტებს, ხოლო თავად მარნეულში პროცესი განმეორდა და მოსახლეობამ 137 პროექტი წარადგინა, რომელთაგან 50-ის გათვალისწინება დაიგეგმა 2017 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში.

რუსთავის მუნიციპალიტეტმა ევროკავშირის პროექტის – „სამოქალაქო ორგანიზაციები და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში პროექტით – „მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“ მიიღო მონაწილეობა და გრანტი მოიპოვა. ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტი 416 665 ევროს შეადგენს. პროექტს რუსთავის მერია, ნიდერლანდების სამეფოს მუნიციპალიტეტების ასოციაციასა და მუნიციპალიტეტების საერთაშორისო საკონსულტაციო ცენტრთან პარტნიორობით ახორციელებდა.

თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის საპილოტე პროექტი ქ.თეთრიწყაროს ცენტრალური უბნების განვითარების ხედვების შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართვის მიზნით 2016 წელს განხორციელდა „მწვანე კავკასიამ“, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

თეთრიწყაროში განხორციელებულ თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესში წამყვან როლს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ასრულებდა.

14.2. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

ფასდება ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი ღონისძიებები, შედეგად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებსა და მერიებში გენდერული თანაფარდობა გაუმჯობესდა, მაგრამ არა უმეტეს 40%/60%-სა	2

წელი	მერიები/გამგეობები				საკრებულოები			
	თანამდებობის პირები		მოხელეები		თანამდებობის პირები		აპარატის თანამშრომლები	
	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი
2017	90	191	466	592	4	13	9	17

გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით იმართება ცალკეული ღონისძიებები.³⁹

14.3. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ მიმართული სპეციალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ მიმართული სპეციალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების შეფასება მოხდა ერთი კრიტერიუმით, ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოდან და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
დამტკიცებულია და ხორციელდება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ მიმართული სპეციალური პროგრამები	3

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტომ, ახალგაზრდების შემეცნებისა და განვითარებაზე მუნიციპალიტეტში სამართლებრივი და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდის ცნობადობის თვალსაზრისით, ეთნიკური უმცირესობების უფლებების რეალიზაციის მიმართულებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად განახორციელა შემეცნებითი პროექტი.

„ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“, ა(ა)იპ „რეგიონების კულტურულ-საგანმანათლებლო და ბიზნეს განვითარების ასოციაცია“ და „უნიკა ჯგუფი“ აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ორგანიზებით ეთნიკური უმცირესობების, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლების ინოვაციური მეთოდის

³⁹ <http://kvemokartli.gov.ge/news/society/100182>

დანერგვის პროექტის განხორციელებაში, რომლის პრეზენტაციაც პარლამენტის რესპუბლიკის დარბაზში გაიმართა. ეს არის ინოვაციური პროექტი, რომელსაც სწავლების მეთოდიკით დღეს ანალოგი არ აქვს. პროექტი მოიცავს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლისთვის, როგორც ქართული ენის, ასევე, ტექნიკურ-ჰუმანიტარული საგნების, ინოვაციური მეთოდებით, აპლიკაციების, ნახატი ფილმებისა და ვიზუალური ეფექტების გამოყენებით სხვადასხვა დონეზე ცოდნის მიღებას. რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია დისტანციური სწავლებაც. ასეთივე სწავლების მეთოდებია შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, კერძოდ, უსინათლოთა, ყრუ-მუნჯთა და ეტლით მოსარგებლეთათვის.

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ოფისში ა(ა)იპ „რეგიონების კულტურულ-საგანმანათლებლო და ბიზნეს განვითარების ასოციაციასთან“ პროექტის ფარგლებში არაერთი შეხვედრა შედგა.

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს, ა(ა)იპ „რეგიონების კულტურულ-საგანმანათლებლო და ბიზნეს განვითარების ასოციაციის“ და „უნიკა ჯგუფი“-ს მიერ ბოლნისსა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა შესაბამისი სასწავლო კონკურსები სახელწოდებით „დედაენა ქართული“, რომელშიც თითქმის ყველა ქართული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. საზეიმო ცერემონია, სოფ. ტანძიაში სულხან-საბას სახლ-მუზეუმსა და მარნეულში „კიდევაც დაიხრდებიან“ მონუმენტთან გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ქვემო ქართლის გუბერნიის ხელმძღვანელი პირები და მუნიციპალიტეტის მერები. საზეიმო კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და სპეციალურად მოწვეულმა აჭარის ა.ი.პ მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სკოლის პოლკლორულმა გუნდმა „ლაშ“.

14.4. სკოლამდელი ასაკის ბავშვებში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების შემოღება

ფასდება ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მონიტორინგის პერიოდში შეიქმნა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში სახელმწიფო ენის სწავლების ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზა	1

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები.“ სტანდარტები ითარგმნა ეროვნული უმცირესობების ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული). აღნიშნული სტანდარტების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტის დანერგვის ხელშესაწყობად, დაგეგმილია ქართული ენის სწავლა - სწავლების კომპონენტის გაძლიერება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

ამასთანავე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშესაწყობად, 2013 წელს შემუშავებულია პროგრამა „ნენე, დუდუ და წიკო“ (აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო, ბავშვის ალბომი, ბავშვის სამუშაო რვეული), რომელიც დანერგილია ეროვნული უმცირესობების სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში.

14.5.სკოლაში სახელმწიფო ენის უკეთ სწავლების უზრუნველყოფა, პედაგოგების მომზადება-გადამზადება, სასწავლო ლიტერატურით სკოლების უზრუნველყოფა

ფასდება ერთი კრიტერიუმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
რეგიონის სკოლებში ისწავლება სახელმწიფო ენა, ინერგება პედაგოგების მომზადება-გადამზადების სისტემა, მიმდინარეობს სკოლების უზრუნველყოფა სასწავლო ლიტერატურით	3

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქვეპროგრამის - „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ ფარგლებში, ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მივლენილია ქართლის, როგორც მეორე ენის 82 კონსულტანტ-მასწავლებელი, 70 დამხმარე მასწავლებელი და 27 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ქვემო ქართლის არაქართულენოვანი სკოლების 457 ადგილობრივ მასწავლებელს ჩაუტარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი. ენის ფლობის დადასტურების შემდეგ ენის კურსის მსმენელებს ჩაუტარდათ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგ-მოდულები: „სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება“ (189 მსმენელი) და „ინკლუზიური სწავლება არაქართულენოვან სკოლებში“ (57 მსმენელი).

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2018-2019 სასწავლო წელს ქვემო ქართლის იმ არაქართულენოვან სკოლებს, სადაც წარმოდგენილია კონსულტანტ-მასწავლებელი გადაეცემათ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის განსაზღვრული დამხმარე ლიტერატურა.

14.6.მედიასაშუალებების გამოყენებით, ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესახებ ეთნიკური უმცირესობების ენებზე ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა

შეფასდა ერთი კრიტერიუმით, ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
მედიასაშუალებების გამოყენებით, ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესახებ ეთნიკური უმცირესობების ენებზე ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფის მიზნით მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა ცალკეული ღონისძიებები /პროექტები	2

საქართველოს მთავრობის 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებზე ორიენტირებული სტრატეგიების ნაკრებს წარმოადგენს, ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებისთვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ამ დოკუმენტის მიზანია „უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ უმთავრესად ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების დაფინანსების და მათი გავრცელების მეშვეობით; „სამაუწყებლო პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ენებზე მათი თემატიკის გაშუქება და მონაწილეობის უზრუნველყოფა“ ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული გადაცემების მეშვეობით; „მედიის ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქვეყნის კოდექსის პოპულარიზების გზით.

2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან ჩანს, რომ სტატები გამოქვეყნდა გაზეთებში „გურჯისტანი“ და „ვრასტანი“, საინფორმაციო მასალები ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შესახებ გავრცელდა ეთნიკურ უმცირესობებს შორის, ხოლო საინფორმაციო კამპანიები და სოციალური რეკლამები უმცირესობების ენებზე გადაიცა რეგიონული მედიისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით.

2016 წლის სამოქმედო გეგმა⁴³ იმავე აქტივობებს მოიცავდა, რასაც 2015 წლის გეგმა: სტატიების გამოქვეყნებას გაზეთებში „გურჯისტანი“, „ვრასტანი“ და „სვაბოდნაია გრუზია“, ბროშურებისა და სხვა საინფორმაციო მასალების გავრცელებას ეთნიკური უმცირესობების ენებზე და საინფორმაციო კამპანიების გაშვებას რეგიონული მედიისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით⁴⁰.

14.7. ადგილობრივ თვითმმართველობაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისება.

ადგილობრივ თვითმმართველობაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისების მიზნით მონიტორინგის პერიოდში გატარებული ღონისძიებები ფასდება ერთი კრიტერიუმით, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

შეფასება	ქულა
ადგილობრივ მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა ცალკეული პროექტები/ ღონისძიებები თვითმმართველობაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისების მიზნით, მუნიციპალიტეტების საკრებულოებსა და მერიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა პროცენტულად რეგიონის პოპულაციაში მათი ჯამური პროცენტული წილის ნახევარზე ნაკლებია	1

ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებში

წლები	მერიები (გამგებები)				საკრებულოები				%
	თანამდებობის პირები		მოსამსახურეები		თანამდებობის პირები		აპარატის თანამშრომლები		
	სულ	მ.შ. ეთნ. უმცირესობა	სულ	მ.შ. ეთნ. უმცირესობა	სულ	მ.შ. ეთნ. უმცირესობა	სულ	მ.შ. ეთნ. უმცირესობა	
2016 ⁴¹	82	11	1001	172	88	21	112	8	16,5
2017	104	12	1023	167	90	20	92	5	15,6

ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა ქვემო ქართლის მოსახლეობაში, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით

მუნიციპალიტეტი	მოსახლეობა	მ.შ. ქართველი	მ.შ. ეთნიკური უმცირესობა
ქ. რუსთავი	125,103	114,819	10,284
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	53,590	16,565	37,025
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	81,876	44,398	37,478
დმანისის მუნიციპალიტეტი	19,141	6,345	12,796

⁴⁰ მათა მიქაშაძე, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში: მედიის მეშვეობით ჩართულობიდან გაძლიერებისაკენ. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, 2016 წლის ივლისი

⁴¹ ა/ო „მწვანე კავკასიას“ კვლევის მიხედვით <http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/index.php>

თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	21,127	17,424	3,703
მარნეულის მუნიციპალიტეტი	104,300	8,952	95,348
წალკის მუნიციპალიტეტი	18,849	8,802	10,047
სულ ქვემო ქართლი	423,986	217,305	206,681
წყარო: საქსტატი		51.25%	48.75%

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში საჯარო მოხელეებისათვის მოქმედებს სახელმწიფო ენის სწავლების და საჯარო მმართველობის კურსები. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით 2014 წლიდან ისარგებლა 11.413 ბენეფიციარმა. ენის სწავლების არეალი მოიცავს 113 სოფელსა და 488 მობილურ ჯგუფს. სახელმწიფო ენის სწავლების მიზანია საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა შეისწავლონ სახელმწიფო ენა და სრულფასოვნად მოახდინონ ინტეგრირება ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში.



ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის სწავლების და საჯარო მმართველობის კურსდამთავრებულები (<http://www.zspa.ge>)

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის საჯარო სამსახურში მუშაობის მსურველი ახალგაზრდებისათვის დახმარების მიზნით ა/ო მწვანე კავკასიამ, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრთან პარტნიორობით, 2016-17 წლებში განახორციელა პროექტები „თვითმმართველობის სკოლა ქვემო ქართლის სტუდენტებისათვის“. და „ახალგაზრდული ინიციატივა ეთნიკური უმცირესობის ინფორმირებულობისთვის“, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის “რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში” მხარდაჭერით. ამ პროექტების ფარგლებში გათვალისწინებული ტრენინგ-კურსის - „თვითმმართველობის სკოლის“ - სასწავლო პროგრამა მოიცავდა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლას, სტუდენტებისათვის შემუშავდა და გამოიცა


დამხმარე სახელმძღვანელო „ადგილობრივი თვითმმართველობა“. ტრენინგები ჩატარდა 105 სტუდენტს, რომლებიც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისათვის კვოტირების სისტემის საფუძველზე (1+4) პროგრამით სწავლობენ.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის №1365 განკარგულებით დამტკიცებული „ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია“ არ შეიცავს მისი მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების ნაწილს, შესაბამისად, ამოცანების შესრულების მონიტორინგისათვის მასში არ არის განსაზღვრული წარმატების/შედეგის კონკრეტული ინდიკატორები. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა სპეციალურად მონიტორინგის მიზნებისთვის, უნიკალური მეთოდოლოგიის შემუშავების აუცილებლობა, რომლითაც სტრატეგიის თითოეული მიზნისთვის შერჩეულ იქნა რაოდენობრივი კრიტერიუმები, ხოლო ამოცანების განხორციელების შესაფასებლად - რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი კრიტერიუმები, რაც იძლევა როგორც სტრატეგიის ცალკეული მიზნის, ასევე მთლიანად სტრატეგიის განხორციელების მდგომარეობის შეფასების საშუალებას.

მიზნის მიღწევისა და ამოცანების შესრულების მიმართულებით მონიტორინგის პერიოდში (2014-2017 წლებში) განხორციელებული აქტივობების შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისას ძირითადად გათვალისწინებულ იქნა საჯარო ინსტიტუციებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და, სადაც შესაძლებელი იყო, ის გადამოწმდა ღია წყაროებით - ელექტრონულ მედიაში და სხვა ინტერნეტ-რესურსებზე განთავსებული ინფორმაციის მეშვეობით. საჯარო უწყებების მიერ გაცემული ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების რესურსს პროექტი არ ითვალისწინებდა.

შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად ჩატარებული მონიტორინგის შედეგებით, ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის ამოქმედებიდან 4 წლის შემდეგ, 2017 წლის დასასრულისათვის, მისი ცალკეული მიზნების მიღწევის მდგომარეობა განსხვავებულ დონეზეა (27-დან 71%-მდე), მთლიანობაში **სტრატეგიის მიზნები 44%-ით არის მიღწეული** (იხ. **დანართი N10**)



მონიტორინგმა აჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევებში სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულების დადებითი შეფასება განაპირობა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ღონისძიებებთან თანხვედრამ, რომლებსაც ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუციები ახორციელებენ ქვეყნის მასშტაბით,

მ.შ. ქვემო ქართლის რეგიონში. „ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიაში“ არ არის განსაზღვრული ცალკეულ სფეროებში მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები, შესაბამისად, სტრატეგიის განხორციელებაზე მთლიანად მთავრობაა პასუხისმგებელი. რთულია იმის განსაზღვრა, ცალკეული სამთავრობო უწყებები თუ მუნიციპალიტეტები საკუთარი პროგრამების დაგეგმვისას პრაქტიკაში რამდენად ითვალისწინებენ რეგიონული განვითარების სტრატეგიით დასახული ამოცანების განხორციელების საჭიროებას, - არ არსებობს ნორმატიული ბაზა, რომელიც მათ ამას დაავალდებულებდა და არც სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამების განმსაზღვრელ დოკუმენტებში მოიძებნება მითითება რეგიონის განვითარების სტრატეგიის კონკრეტული მიზნის თუ ამოცანის შესრულებასთან კავშირზე. ეს გარემოება ნათლად გამოვლინდა საჯარო ინსტიტუციებიდან ინფორმაციის გამოთხოვისას, როდესაც რიგ უწყებებს გაუჭირდათ მათ მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონზე გახარჯული ფინანსების გამოკვეთა. რიგ შემთხვევებში იგრძნობოდა, რომ ცენტრალური საჯარო უწყებებისთვის რამდენადმე მოულოდნელი იყო რეგიონული განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე სამოქალაქო მონიტორინგის მიზნით ინფორმაციის მოთხოვნა. ერთ-ერთმა სამთავრობო სტრუქტურამ, მის კომპეტენციაში არსებული ინფორმაციის გაცემის ნაცვლად, „მწვანე კავკასიას“ უპასუხა, რომ აღნიშნული სტრატეგია არ არის შემუშავებული მათ მიერ, მათ საკუთარი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გააჩნიათ და „შესაბამის უწყებასთან“ გადაამისამართა.⁴²

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით და ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2014-2017 წლების პერიოდში განხორციელების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, **მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტრატეგიის დოკუმენტის განახლება, რაც რეკომენდებულია მოხდეს მთავრობის მიერ 2016 წელს დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“⁴³ პრინციპების დაცვითა და თითოეული მიზნის მიღწევაზე (შედეგებზე) პასუხისმგებელი სამთავრობო სტრუქტურ(ებ)ის მითითებითა და შედეგების ინდიკატორების განსაზღვრით.**

აღსანიშნავია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის დღევანდელი მოწყობის მოდელში რეგიონის დონეზე არ არსებობს ინსტიტუცია, რომელსაც ექნებოდა საკმარისი ფინანსური და სხვა რესურსები რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის ან მისი შესრულების კოორდინაციისათვის მაინც. ძირითადად, სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო რესურსები არის ცენტრალურ უწყებებში (სამინისტროებსა და მათ სსიპ-ებში), ნაკლებად - მუნიციპალურ დონეზე. ისეთ რეგიონულ ინსტიტუციებს, როგორცაა სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი (მისი მცირერიცხოვანი აპარატით) და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო, არ გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილებები, რომ პასუხისმგებლობა აიღონ სტრატეგიის განხორციელებაზე, და არც საამისოდ საჭირო ფინანსურ რესურსს განკარგავენ. თუმცა, როგორც მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, სწორედ რეგიონის მასშტაბით მოქმედი ინსტიტუციები არიან

⁴² შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საპასუხო წერილი „მწვანე კავკასიას“ N1985 20/09/2018

⁴³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №629 პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე, 2016 წლის 30 დეკემბერი, <https://matsne.gov.ge/document/view/3526319?publication=0>

მაქსიმალურად დაინტერესებული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებით და, შესაძლებლობის ფარგლებში, აქტიურად შეაქვთ წვლილი მისი ამოცანების მიღწევაში.

სტრატეგიის ცალკეული მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების დაუკონკრეტებლობით დიდწილად არის განპირობებული ის მდგომარეობა, რომ სტრატეგიით განსაზღვრული 172 ამოცანიდან 55-ის შესრულების მდგომარეობა მონიტორინგის შედეგად 0 ან 1-ზე ნაკლები ქულით შეფასდა:

ამოცანების რაოდენობა, რომელთა შესრულება შეფასდა 1-ზე ნაკლები ქულით

მიზნის №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	სულ
ამოცანების რაოდენობა სულ	6	10	38	7	6	10	24	5	28	7	8	4	13	6	172
შეფასებულები 0 ან <1 ქულით	-	9	16	-	-	4	10	3	8	-	-	1	4	0	55
%		90%	42%			40%	42%	60%	29%			25%	31%	0%	32%

როგორც ცხრილიდან ჩანს, „ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიით“ განსაზღვრული ამოცანების მესამედის განხორციელების მიმართულებით ჯერ ნაბიჯები არ გადადგმულა, ან ასეთი ღონისძიებები უმნიშვნელოა. უპირატესად, ეს ეხება შემდეგ მიზნებს: 3. სამრეწველო და ენერჯო სექტორების პოტენციალის განვითარება, 7. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, 8. ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის განვითარება, 9. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება და სხვ. მონიტორინგის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამგვარი „თეთრი ლაქების“ გამოვლენა და შემდგომი წლების პროგრამების დაგეგმვისას სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მუნიციპალური ორგანოების მხრიდან მათ მიმართ ყურადღების მიქცევა იყო. ამოცანების შესრულებაში „თეთრი ლაქების“ ამგვარი სიუხვე ნათლად მიანიშნებს იმ კანონზომიერებაზე, რომ ცენტრალიზაციის პირობებში სახელმწიფო ინსტიტუტები, პოლიტიკისა და სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისას ნაკლებად სენსიტიურები არის რეგიონული და ადგილობრივი სპეციფიკის მიმართ.

ამჟამად ერთადერთ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელის მიმართვა რეგიონული განვითარების სტრატეგიების განხორციელებაზე რამდენადმე გამყარებულია ნორმატიული ბაზით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (რგპფ) წარმოადგენს. ასეთი საფუძველი შექმნილია იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების რგპფ-დან დაფინანსების აუცილებელი წინაპირობა გახდა მათი ასახვა რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში. კერძოდ, ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებსა და კრიტერიუმებში 2015 წლის 25 ნოემბერს შევიდა ცვლილება⁴⁴, რომლის მიხედვითაც დაფინანსების ერთ-ერთი კრიტერიუმად შემოღებულ იქნა პირობა, რომ ფონდში წარსადგენი პროექტი ასახული უნდა იყოს შესაბამისი სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოწონებულ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში (მუხლი 3, ქვეკუთხეტი "ბ").

⁴⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №594 "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2015 წლის 25 ნოემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3061014>

თავად რგპვ სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ (კოდი 5608) ფონდს წარმოადგენს (არ არის ინსტიტუციონალიზებული). მისი განკარგვა ხდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით,⁴⁵ საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ.

ამდენად, რეგიონული განვითარების სტრატეგიების განხორციელების რეალური ფინანსური ინსტრუმენტი, მოქმედი ნორმატიული ბაზის მიხედვით, ხელთ აქვს კოლეგიურ სამთავრობო ინსტიტუციას - საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას (ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით,⁴⁶ ხოლო მისი დებულება დამტკიცდა №297 28.09.2010 დადგენილებით.⁴⁷ პრაქტიკაში ამ კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომლის დებულებით,⁴⁸ სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის ძირითად ამოცანებში შედის: კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა (მუხლი 10.დ) და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შედგენის მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით (მუხლი 10.დ), ხოლო რგპვ-დან გამოყოფილი თანხებით პროექტების განხორციელებას კურირებს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული და სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების კოორდინაცია (მუხლი 11.ა).

ცენტრალური ხელისუფლების მიერ რგპვ-ს სახსრების გადანაწილების ფორმულა რეგიონების ან მუნიციპალიტეტების მიხედვით რაიმე ნორმატიული აქტით დადგენილი არ არის, თუმცა, როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ფონდის სახსრების გადანაწილება რეგიონების მიხედვით მეტ-ნაკლებად უახლოვდება შესაბამის რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობის პროცენტულ მაჩვენებელს:

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2013-2017 წლებში გამოყოფილი ფინანსები, რეგიონების მიხედვით, ლარი

რეგიონი	2013-2015	%	მოსახლეო ბა %, 2014	2016	%	მოსახლეო ბა %, 2016	2017	%	მოსახლეო ბა %, 2017
გურია	39,292,924	7.3%	5.0%	12,707,076	7.3%	5.0%	11,734,236	6.2%	5.0%

⁴⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №23 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ, 2013 წლის 7 თებერვალი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1842752>

⁴⁶ საქართველოს მთავრობის №172 დადგენილება საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ, 2010 წლის 25 ივნისი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1025719>

⁴⁷ საქართველოს მთავრობის №297 დადგენილება საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 28 სექტემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4033522>

⁴⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება №594 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, 2016 წლის 27 დეკემბერი <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3510143?publication=0>

იმერეთი	127,276,371	23.5%	23.6%	40,723,629	23.3%	23.2%	48,318,890	25.4%	23.0%
კახეთი	72,143,215	13.3%	14.0%	21,856,785	12.5%	14.1%	26,276,117	13.8%	14.1%
მცხეთა-მთიანეთი	31,858,771	5.9%	4.1%	11,141,229	6.4%	4.2%	11,919,649	6.3%	4.2%
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	22,102,385	4.1%	1.4%	8,897,615	5.1%	1.4%	8,201,342	4.3%	1.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	90,547,379	16.7%	14.7%	27,452,621	15.7%	14.6%	30,650,089	16.1%	14.5%
სამცხე-ჯავახეთი	44,405,026	8.2%	7.1%	14,594,974	8.3%	7.0%	14,442,594	7.6%	7.0%
შიდა ქართლი	47,670,505	8.8%	11.6%	16,329,495	9.3%	11.6%	18,061,697	9.5%	11.6%
ქვემო ქართლი	65,727,902	12.1%	18.5%	21,272,098	12.2%	19.0%	20,714,747	10.9%	19.2%
სულ:	541,024,478			174,975,522			190,319,361		


როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის რეგიონში განსახორციელებელი პროექტებისთვის მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში ცენტრალურ ხელისუფლებას გამოყოფილი ჰქონდა რეგიონის მოსახლეობის წილობრივ მაჩვენებელთან შედარებით ნაკლები სახსრები - **რგპფ-დან გამოყოფილი იყო ფონდის თანხების 10,9-12,1% მაშინ, როცა რეგიონის მოსახლეობა 18,5-19,2%-ს შეადგენს.**

2014-2017 წლებში რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან ქვემო ქართლში განხორციელებულ პროექტებზე გაიხარჯა 83 მილიონ 173,8 ათასი ლარი. რაც შეეხება რგპფ-დან დაფინანსებული პროექტების შინაარსს და რეგიონის განვითარების სტრატეგიის ამოცანებთან შესაბამისობას, საამისოდ ხდება 3-წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება, რისთვისაც 2015 წლის 20 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №1750 განკარგულებით დამტკიცდა სახელმძღვანელო, როგორც რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების გზამკვლევი.⁴⁹ სახელმძღვანელოში გაწერილია სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, კერძოდ:

- სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს წარმართავს **სამხარეო საკონსულტაციო საბჭო** (მუხ. 4);
- საქმიანობის ორგანიზებას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია (მუხლები 5 და 6);
- სამუშაო პროცესის წარმატებული განხორციელების მიზნით შესაძლოა შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებიც რეკომენდაციებს წარუდგენენ საბჭოს (მუხლები 7-9);
- საბჭო განიხილავს რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში მიმართავს მერებს პროექტებში ცვლილებების შეტანის წინადადებით და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას (მუხლები 10-12);
- პროცესის კოორდინაციას ახორციელებს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია, რომელიც უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა გადასამუშავებლად დაუბრუნოს საბჭოს (მუხლი 13);
- სახელმძღვანელო დოკუმენტის III თავში გაწერილია საბჭოებისა და სამთავრობო კომისიის მიერ პროექტების შერჩევის პროცედურისა და კრიტერიუმების სახელმძღვანელო პრინციპები, ეტაპები (2 ფილტრი) და კრიტერიუმები (მუხლები 14-19);
- საბჭო ახორციელებს ყველა პროექტის ანალიზს და უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განახლებას (მუხლები 20-21).

